დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
4-10 სექტემბერი
N39 1503
ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# მემ МЕНТО!

# სალომეს ქაჯანყება



საქართველოს პრეზიდენტად ვერშემდგარი ზურაბიშვილი სააკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა!



2-3

ნაცი დეკანოიძის რეფორმირებულმა უკრაინულმა პოლიციამ ქართველი კაცი

# დახვრიტა!

4



5

# 4 თვეში დარჩა!

10-13



„ასავალ-დასავალის" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 28 დეკემბერს!

ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.GE

2018 წლის
24 - 30 დეკემბერი
N52 (1257)
ფასი 2 ლარი
და 50 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს ზვიად გამსახურდიას საქმე თვითმკვლელობიდან მკვლელობის მუხლზე გადაკვალიფიცირდა!

25+5=?

2-3

პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერით, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიების დრო ხუთი წლით გახანგრძლივდება!

4-5

ლაშა
ნადარეიშვილი



## და როდესაც სისხლის ფერად...

მერამდენე
წვეთავს ცრემლი,
სისხლის წვეთიც —
მერამდენე...
ტაძრისაკენ
რაკი ვერ ვლი,
ეს ყორნებიც
ვერ განდევნე!

რამდენ ცოდვას
იტევს მზე და
რამდენ სევდას
ფუთავს მთვარე, —
ყაზიბეგის
თოვლის ზედანს
მტერი ისევ
უთვალთვალებს!

ამა სოფლის
დასასრულო,
ამა სოფლის
დასაბამო,
მინდა, ლოცვა
აღვასრულო,
არ მოვიდეს
სხვა საღამო!

... და როდესაც
სისხლის ფერად
გადაღებავს
ჟამი ძახველს,
გინდ მცხეთაში
მიხმე ბერად,
გინდა —
ომში დამიძახე!



უწვიმდურები 29 აგვისტოს ღამეს ხელებს იფშვნეტდნენ და კბილებს აკაწკაწებდნენ იმის მოლოდინში, რომ კოკისპირული წვიმა ერთი-ორი ადამიანის სიცოცხლეს მაინც შეიწირავდა!

# უწვიმდურთა სამიზნე

6-7



თავსხმა წვიმაში თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე გალუმპული თბილისის მერი! — ეს არის საუკეთესო პასუხი უწვიმდურთა ტაბყანზე!

# სალომეს

***მსოფლიო ისტორიისათვის ცნობილია „ნიკას აჯანყება“, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 532 წელს კონსტანტინოპოლში, იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობისას მოხდა. ვინაიდან ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული საცირკო პარტიის — პრასინების წარმომადგენლები ერთმანეთის ამოსაცნობად იყენებდნენ შეძახილს — „ნიკა“, რაც ბერძნულად ნიშნავს — „გაიმარჯვე, მათი ბუნტი ისტორიაში „ნიკას აჯანყების“ სახელით შევიდა.***





სალომე ზურაბიშვილი თბილისის იპოდრომზე. 2005 წელი

**ქაჯანყებული სალომე გახდება საქართველოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტი, რომლის წინააღმდეგაც იმპიჩმენტი აღძრეს!**

## კონსტანტინოპოლის იპოდრომზე დაწყებული „ნიკას აჯანყება“ დამარცხდა, ხოლო „სალომეს ქაჯანყება“, რომელიც თბილისის იპოდრომიდან იღებს სათავეს, მარცხისათვის არის განწირული!

რაც შეეხება **„სალომეს ქაჯანყებას“,** ეს გახლავთ საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის **აჯანყება** იმ პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ, რომლის უდიდესი ძალისხმევის გარეშეც იგი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატიც ვერ გახდებოდა.

რა თქმა უნდა, შეგვეძლო, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ პრეზიდენტ ზურაბიშვილის მოქმედებებისათვის პირდაპირ და მარტივად გვეწოდებინა **სალომეს აჯანყება,** მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში **ქაჯანყება** უფრო ადეკვატური და ზედგამოჭრილი სიტყვაა, რადგან ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი მანევრები უკიდურესი პოლიტიკური **ქაჯობის** გამოვლინება გახლავთ.

გარდა ამისა, ყველაზე დასამახსოვრებელი განცხადება, რაც კი სალომე ზურაბიშვილს ქართული პოლიტიკის ზედაპირზე თითქმის 20-წლიანი ტივტივის განმავლობაში გაუკეთებია, სწორედ **ქაჯებს** და **ქაჯობას** უკავშირდება. გაგახსენებთ, რომ ეს მოხდა 2005 წელს, როცა სააკაშვილის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადაყენებულმა ზურაბიშვილმა საზოგადოებას თბილისის იპოდრომზე უხმო და განაცხადა:

> *„მე დღეს მინდოდა ეს შეხვედრა თქვენთან, რომ მსოფლიომ დაინახოს — საქართველოში **ქაჯები** კი არ მოდიან, **ქაჯები** მიდიან!“*

სხვათაშორის, **„ნიკას აჯანყებაშიც“** და **„სალომეს ქაჯანყებაშიც“ იპოდრომი** საკვანძო ლოკაციაა!

საქმე ის არის, რომ იმპერატორ **იუსტინიანეს** წინააღმდეგ პრასინების ბუნტი, რომელსაც **„ნიკას აჯანყება“** ეწოდა, კონსტანტინოპოლის იპოდრომზე დაიწყო, ხოლო თბილისის იპოდრომზე **სალომე ზურაბიშვილის** მიერ წარმოთქმული ფრაზა — **„ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიან“** — საფუძვლად დაედო ახალ ტერმინს **„სალომეს ქაჯანყება“.**

ასე და ამგვარად, **სალომე ზურაბიშვილი** გახლავთ პოლიტიკური **ქაჯი,** რომელიც არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას, არამედ საკუთარ ამომრჩეველსაც **აუჯანყდა** და მოკავშირედ გაუხდა თავის მიერვე **ქაჯებად მონათლულ ნაცებს!**

საქართველოს ხელისუფლების, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის წინააღმდეგ **სალომეს ქაჯანყება** სისხლის სამართლის სამი დამნაშავის — **გიგი უგულავას, ჟორიკა რურუასა და ირაკლი ოქრუაშვილის** შეწყალებით დაიწყო, კიდევ ერთი სისხლის სამართლის დამნაშავის — **ნიკა გვარამიას** შეწყალებამ კი სალომეს **ქაჯანყება** უფრო მკვეთრი და რადიკალური გახადა.

**სალომეს ქაჯანყების** ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და სახელმწიფოებრივად სახიფათო გამოვლინება იყო მისი გამოსვლა 2023 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, როცა ხელისუფლება ღიად დაადანაშაულა ანტიდასავლურობაში და ბოდიში მოუხადა ოკუპანტების მიერ დახვრეტილი **გიორგი ანწუხელიძისა და გიგა ოთხოზორიას** ოჯახებს, აქაოდა — „ქართული ოცნება“ პრორუსულ პოლიტიკას ატარებს, რითიც მარტო თქვენ კი არა, მთელ საქართველოს შეურაცხყოფსო!

**ქაჯანყებული სალომე** იგივე პათოსით გამოვიდა პარლამენტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის დროსაც, როცა განაცხადა, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს, რადგან მისი ხელისუფლება რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკით ევროპელ პარტნიორებთან ურთიერთობას აზიანებს!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ქაჯანყებული სალომე** ზურაბიშვილი საბოლოოდ დაუბრუნდა იმ პოლიტიკური **საქაჯეთის** წიაღს, რომელსაც 2005 წელს ფიზიკურად განუდგა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სულიერად, იდეურად და მორალურად არც არასოდეს გამოთხოვებია!

„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში **სალომეს ქაჯანყების** კიდევ ერთი გამოვლინების — **„ყირიმის პლატფორმის საერთაშორისო სამიტში“** მისი მო-



თბილისის იპოდრომი




კონსტანტინოპოლის სასახლის კვარტალი და იპოდრომი

## „ნიკას აჯანყებაშიც“ და „სალომეს ქაჯანყებაშიც“ იპოდრომი საკვანძო ლოკაციაა!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**განათლებული ახალგაზრდობა** ქვეყნის წინსვლისა და ძლიერების, მისი უკეთესი ხვალინდელი დღის აუცილებელი პირობაა. ამიტომ, **განათლება ჩვენი მთავრობისთვის, პირადად ჩემთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია** და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი განვითარებაში.

**გილოცავთ და წარმატებულ, საინტერესო სტუდენტობის გზას, თქვენ მიერ დასახული მიზნების მიღწევას გისურვებთ.** „იმედინიუსი“



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

მივიღეთ გადაწყვეტილება, **პრეზიდენტის მიმართ აღიძრას იმპიჩმენტის პროცედურა,** ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა საქართველოს კონსტიტუციის წინაშე.

„იმედინიუსი“



**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

სამწუხაროდ, ისტორიას შემორჩება ფაქტი, რომ **საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის უმაღლესი კანონი დაარღვია.**

ოპოზიციასთან ხვეწნას არ ვაპირებთ, რადგან მკაფიოდ დააფიქსირეს **ზურაბიშვილის** მიმართ მხარდაჭერა, როდესაც ის **კონსტიტუციას არღვევს** — ვხედავთ, ერთი „მესიჯბოქსი“ აქვთ პრეზიდენტს და „ნაცკლასტერს“.

„იმედინიუსი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

პრეზიდენტმა იმდენი **თხარა, თხარა,** რომ **იმპიჩმენტი გამოთხარა.**

„ინტერპრესნიუსი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

იმპიჩმენტის მიზანია **ყველა პოლიტიკური ძალის ლუსტრაცია,** თუ ვინ მუშაობს შეხმატკბილებულად ქვეყნის ნამდვილი ინტერესების დასაზიანებლად.

„ინტერპრესნიუსი“

# ქაჯანყება

ნაწილეობის შესახებ დავწერეთ და აღვნიშნეთ, რომ

**ზურაბიშვილი ნაციონალური მოძრაობიდან 18 წლის წინათ გამოვიდა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა დღემდე არ გამოსულა სალომე ზურაბიშვილიდან!**

ახლა, როცა **ქაჯანყებულმა სალომემ** საქართველოს კონსტიტუცია თავზე გადაიხია და მთავრობის ნებართვის გარეშე გაემგზავრა ევროპელ ლიდერებთან შესახვედრად, შეგვიძლია, კიდევ უფრო დარწმუნებითა და დაზუსტებით ვთქვათ — **საქართველოს პრეზიდენტად არჩეული, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტად ვერშემდგარი ზურაბიშვილი სააკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა!**

საქართველოს მთავრობა, რომელიც კონსტიტუციით არის უფლებამოსილი, პრეზიდენტს საგარეო ვიზიტებზე თანხმობა მისცეს ან არ მისცეს, ეჭვობს, რომ **ქაჯანყებული სალომე** ეცდება, ევროპელი ლიდერები დაარწმუნოს, თითქოს საქართველოს პრორუსული და ანტიდასავლური ხელისუფლება ჰყავს, რის გამოც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს!

როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, **ქაჯანყებულ სალომესა** და კოლექტიურ ნაცმოძრაობას უცხოეთში ერთი პატრონი ჰყავთ — **გლობალური ომის პარტია,** რომელიც დაინტერესებულია, საქართველომ წლის ბოლოს კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს, რის შემდეგაც რადიკალური ძალები რევოლუციისა და ე.წ. ქართული მაიდნის მოწყობას ეცდებიან, რათა დაამხონ ხელისუფლება, რომელიც უარს ამბობს საქართველოს ომში ჩართვასა და ე.წ. მეორე ფრონტის გახსნაზე!

სწორედ ამ მოტივით, საქართველოს მთავრობამ კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენა და ზურაბიშვილს გერმანიაში, უკრაინაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ბელგიაში, დანიაში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და ისრაელში სამუშაო ვიზიტებზე თანხმობა არ მისცა, თუმცა, **ქაჯანყებული სალომე** ევროპელ ლიდერებთან შესახვედრად მაინც გაემგზავრა, რითიც საქართველოს კონსტიტუცია უხეშად და დემონსტრაციულად დაარღვია!




საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა კი პირდაპირი საფუძველია იმისათვის, რომ პარლამენტში მისი იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს!

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის იმპიჩმენტს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის, ანუ 100 დეპუტატის ხმა სჭირდება, „ქართულ ოცნებას“ კი ამის რესურსი არ გააჩნია. შესაბამისად, **ქაჯანყებული სალომე** იმპიჩმენტის გზით რომ გადააყენონ, ოპოზიციის ხმებია საჭირო, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიცია, უპირველეს ყოვლისა კი, ნაციონალური მოძრაობა, ზურაბიშვილის გადაყენებას მხარს არ დაუჭერს და იმპიჩმენტის პროცედურა ჩანასახშივე განწირულია.

მიუხედავად ამისა, მმართველი გუნდი მაინც აპირებს პარლამენტში **ქაჯანყებული სალომეს** იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრას, რადგან, როგორც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ხელისუფლება ვალდებულია, კონსტიტუციის მოთხოვნები აღასრულოს!

**2018 წელს, როცა „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის გასაპრეზიდენტებლად ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ხოლო ნაცოპოზიცია ყველაზე ბინძურ ხერხებს მიმართავდა, რათა ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება არ დაეშვა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2023 წელს „ქართული ოცნება“ ზურაბიშვილის იმპიჩმენტს მოინდომებდა, ნაცოპოზიცია კი მისი იმპიჩმენტის მთავარი ხელშემშლელი იქნებოდა!**

**ისე, ხომ არ დადგა მომენტი, როცა „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, რომლებიც სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ბილბორდებზე სალომე ზურაბიშვილის მაგივრად იყვნენ გამოჯგიმული, მისი დღევანდელი ქაჯანყების გამო პასუხისმგებლობა იგრძნონ და ქართველ ხალხს ბოდიში მაინც მოუხადონ?!**

ცხადია, „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს, **ქაჯანყებული სალომე** იმპიჩმენტის გზით გადააყენოს, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა აღიძვრება, საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტოა!

**ქაჯანყებული სალომე,** რომელიც აქამდე საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტი იყო, ახლა გახდება **საქართველოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტი, რომლის წინააღმდეგაც იმპიჩმენტი აღძრეს!**

ვერ გეტყვით, რამდენად აღელვებს ეს **ქაჯანყებულ სალომეს,** რომელსაც, ნაცოპოზიციის იმედად, თავი ქუდში აქვს, მაგრამ ახლა ნამდვილად რეალურია საფრთხე, რომ „ქართულ ოცნებაზე“ დაბოღმილმა და ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილთან კრიჭაში ჩამდგარმა ზურაბიშვილმა მსჯავრდებული სააკაშვილი შეიწყალოს!

სხვანაირად რომ ვთქვათ — **სააკაშვილის შეწყალება სალომეს ქაჯანყების აპოთეოზი იქნება!**

და მაინც, **კონსტანტინოპოლის იპოდრომზე დაწყებული „ნიკას აჯანყება“** დამარცხდა, ხოლო **„სალომეს ქაჯანყება“, რომელიც თბილისის იპოდრომიდან იღებს სათავეს,** მარცხისათვის არის განწირული!

მართალია,

**„ქართულ ოცნებას“ ქაჯანყებული სალომეს იმპიჩმენტისათვის ხმები არ ჰყოფნის, მაგრამ ზურაბიშვილს პოლიტიკურ და მორალურ განაჩენს გამოუტანს ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი ხმა, რომელიც ქართველ ხალხს ეკუთვნის!**

## სალომეს ქაჯანყების აპოთეოზი სააკაშვილის შეწყალება იქნება!

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**ვახო შაქარიშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი*



**სალომე ზურაბიშვილსა და კოლექტიურ ხაბეიშვილებს** შორის ზღვარი წაიშალა, ის პრეზიდენტის სავარძლიდან ავანგარდში ჩაუდგა **ქვეყნის არევის და ხელისუფლების რევოლუციის გზით ცვლილების პროცესს.** ამ ყველაფრის შემდეგ, მას უნდობლობა გამოუცხადა იმ ხალხმა, ვინც ის პრეზიდენტად აქცია! ახლა უკვე **ის პარტია იწყებს იმპიჩმენტის პროცედურებს,** რომელსაც ძალიან დიდი პოლიტიკური ფასი დაუჯდა ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება.

„იმედინიუსი“

**ლევან ბერძენიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია!** ანუ დაარღვია ქვეყნის იურიდიული არსებობის საფუძველი, რომლის დაცვის გარანტიც თავად უნდა იყოს! ჩვენ იმიტომ გვინდა ევროპა, რომ **ასე გვსმენია, გაგვიგია და გვჯერა, რომ ევროკავშირში გაბატონებულია, უპირველეს ყოვლისა, კანონის უზენაესობა და კანონის პატივისცემა!**

„იმედინიუსი“

**ნინო ბურჩხაძე**
*ექსპერტი*



აბა, ახლა ვინ მეტყვის, რომ **ქალბატონი სალომე** უსამშობლო აგენტი არ არის! ნახეთ, ვინ დაუდგა დამცველად მის **ანტიკონსტიტუციურ ქმედებას** — ისევ ის მოსყიდული ევროპარლამენტარები, ვინც თავისი განცხადებებით ძირს უთხრიან ჩვენს ევროპულ მომავალს.

„იმედინიუსი“

**პეტერ ფიშერი**
*საქართველოში გერმანიის ელჩი*



2023 წლის მეორე ნახევარში მთავარი ამოცანაა, უზრუნველვყოთ, რომ **დეკემბერში საქართველომ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.**

„ინტერპრესნიუსი“

# ნაცი დეკანოიძის რეფორმირებულმა უკრაინულმა პოლიციამ ქართველი კაცი დახვრიტა!



ხატია დეკანოიძე უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსის მუნდირში

***2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, როცა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს, მისმა ყოფილმა მაზლმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო ვიდეო ჩაწერა, რომელშიც ყოფილ რძალს ხოტბა-დიდება შეასხა და ქებით მეცხრე ცაზე აიყვანა.***

დეკანოიძის მხარდამჭერ წინასაარჩევნო ვიდეოში **სააკაშვილმა** განსაკუთრებული აქცენტი მის პოლიციურ კარიერაზე გააკეთა:

> ***„ხატია იყო საქართველოს საპოლიციო რეფორმის ერთ-ერთი ფუძემდებელი... უკრაინელებმა გვითხრეს, რომ მათ ზუსტად ისეთივე პოლიციის შექმნა სურდათ, როგორიც საქართველოში გვქონდა. მე მათ დაუყოვნებლივ შევთავაზე ხატია დეკანოიძის საქართველოდან ჩამოყვანა. ხატია გახდა უკრაინის ეროვნული პოლიციის შემქმნელი, დამფუძნებელი და პირველი ხელმძღვანელი. დღეს თუ უკრაინაში რამე მუშაობს, ეს არის პოლიცია. თითოეულმა უკრაინელმა კარგად იცის, რომ ეს ხატია დეკანოიძის დამსახურებაა“.***

ჰოდა, **ხატია დეკანოიძის მიერ რეფორმირებული უკრაინული პოლიცია** 2023 წლის 29 აგვისტოს ზუსტად ისე მოიქცა, როგორც იმავე **ხატია დეკანოიძისა და ნაცბანდის მიერ რეფორმირებული ქართული პოლიცია** იქცეოდა 2012 წლამდე — **ქართველი კაცი ქუჩაში დახვრიტა მეუღლისა და ორი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ!**

შემთხვევა 2023 წლის 29 აგვისტოს, უკრაინის ქალაქ დნიპროში მოხდა, საპატრულო პოლიციის მიერ მოკლული მოქალაქე კი 38 წლის **ჯუმბერ სილაგავა** გახლავთ!

უკრაინული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საპატრულო პოლიციამ დნიპროში, ნაგოიანის გამზირზე, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის „იაგუარის“ მარკის ავტომობილი გააჩერა, რომელსაც მოქალაქე **ჯუმბერ სილაგავა** არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. **მძღოლს, რომელსაც მანქანაში ცოლ-შვილი ეჯდა, პატრულთან სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა და პოლიციელმა სილაგავას სამი ტყვია ესროლა... ზურგში!**

მიაქციეთ ყურადღება: **ჯუმბერ სილაგავას** პოლიციელმა ზურგში ესროლა, თანაც — სამჯერ, რაც ავტომატურად გამორიცხავს სროლას თავდაცვისა თუ აუცილებელი მოგერიების მიზნით!

## შეუიარაღებელ მოქალაქე სილაგავას საპატრულო ეკიპაჟისათვის შიშველი ხელებით ისეთი რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია, რომ მის განეიტრალებას ზურგში სამი ტყვიის სროლა დასჭირვებოდა?

ან რაღა საჭირო იყო მეორე და მესამე გასროლა, როცა ზურგში ერთი ტყვიის მოხვედრაც სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მოქალაქეს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაეკარგა?



გია ლორთქიფანიძე და მიხეილ სააკაშვილი



ზურაბ ადეიშვილი და დავით საყვარელიძე

## უკრაინელი ხალხი თავიდანვე რომ აღდგომოდა წინ უკრაინაში სააკაშვილის, ადეიშვილის, დეკანოიძის, ლორთქიფანიძის, საყვარელიძისა და სისხლიანი ნაცრეჟიმის სხვა წარმომადგენელთა გაპარპაშებას, ვინძლო, ომის ქარცეცხლშიც არ გახვეულიყო!

## კვირგვინოსნები

**შარლ მიშელი**
*ევროპული საბჭოს პრეზიდენტი*



ევროკავშირი მზად უნდა იყოს **2030 წლისთვის** ახალი წევრების მისაღებად.

„რეზონანსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*პოლიტოლოგი*



**შარლ მიშელის** განცხადებიდან ჩანს, რომ ევროკავშირში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს და **კანდიდატის სტატუსს მაინც მოგვცემენ,** „ქართული ოცნების“ ჯინაზე.

„რეზონანსი“

**ირაკლი ლაბარია**
*ექსპერტი*



გამოვიდა **შარლ მიშელი** და **ევროკავშირის გაფართოება 2030 წლამდე გადაიდოო** — ქვეყნები თითქმის **20 წელია, კანდიდატები არიან, წევრობას ელოდებიან** და კიდევ დაიცადეთო.

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



**შარლ მიშელის** განცხადებამ **სულ აურია დალაგებული კარტები ნაცებს და მათ ანასხლეტებს.** არადა, რა თქვა ახლა ამ კაცმა ისეთი, **2030 წელს ევროკავშირში ყველა კანდიდატს მივიღებთო.** მანამდე ჯერ კიდევ 7 წელია და ეს იმას უფრო ჰგავს, **„ჩერეზ პიატ ლეტ პამაგუ, გენაცვალე“-ო!**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ქალბატონ კელისა და მის ბანდას** ჩემთან დაკავშირებით შესასრულებელი ამოცანა მინდა, გავუადვილო: გირჩევთ, თქვენს დაქვემდებარებულ **„ქილერების“ საზოგადოებაში** უკვე აპრობირებულ გზას მიმართოთ — **მოკლული შვილის საფლავზე მამაც აafეთქოთ!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ჯუმბერ სილაგავასათვის ზურგში სამი ტყვიის სროლა და ახალგაზრდა კაცის ცოლ-შვილის თვალწინ დახვრეტა იმაზე მეტყველებს, რომ ანტიადამიანური და ჯალათური სულისკვეთება, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ქართულ პოლიციაში იყო გამეფებული, დღეს ნაცი დეკანოიძის მიერ რეფორმირებულ უკრაინულ პოლიციაშია ჩაბუდებული!



ჯუმბერ სილაგავა შვილებთან ერთად, რომელთა თვალწინაც უკრაინის პოლიციამ დახვრიტა



ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში, თუ საპატრულო ეკიპაჟი აგრესიული მოქალაქის დაშოშმინებას ვერაფრით შეძლებდა, პოლიციელს მისთვის ზურგში კი არა, ფეხებში უნდა ესროლა!

**იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ პოლიციელს ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლაც კი არ მოუხდენია — პირდაპირ ზურგში დააჭედა სამი ტყვია მოქალაქე სილაგავას, რომელიც, მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების თვალწინ ადგილზე გარდაიცვალა!**

**ნაცი დეკანოიძის** რეფორმირებული უკრაინული პოლიციის მიერ **38 წლის ჯუმბერ სილაგავას** ქუჩაში დახვრეტა თავისთავად გვახსენებს იმავე **დეკანოიძისა და ნაცბანდის რეფორმირებული ქართული პოლიციის** მიერ ჩადენილ ანალოგიურ დანაშაულებს, რომლებსაც უდანაშაულო ქართველი ახალგაზრდების სიცოცხლე შეეწირა!

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

**დეკანოიძისა და ნაცბანდის მიერ რეფორმირებულმა ქართულმა პოლიციამ** 2004 წლის 23 ნოემბერს თბილისში, დიდუბის ეკლესიასთან, დახვრიტა 19 წლის **ბუტა რობაქიძე,** მოკლულს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდო და კრიმინალური ბანდის წევრად გამოაცხადა!

**დეკანოიძისა და ნაცბანდის მიერ რეფორმირებულმა ქართულმა პოლიციამ** 2006 წლის 2 მაისს, თბილისში, ჩოგბურთის კორტებთან, ავტომობილში ჩაცხრილა 22 წლის **ზურა ვაზაგაშვილი,** რომელიც ასევე კრიმინალური ბანდის წევრად შერაცხა და გამოაცხადა, თითქოს თანამზრახველებთან ერთად საყაჩაღოდ მიდიოდა!

**დეკანოიძისა და ნაცბანდის მიერ რეფორმირებულმა ქართულმა პოლიციამ** 2008 წლის 8 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, დახვრიტა 31 წლის **გიორგი გამცემლიძე,** რომელიც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემდეგ პატრულის ბრძანებას არ დაემორჩილა და ავტომობილი არ გააჩერა!

**ჯუმბერ სილაგავასათვის** ზურგში სამი ტყვიის სროლა და ახალგაზრდა კაცის ცოლ-შვილის თვალწინ დახვრეტა იმაზე მეტყველებს, რომ ანტიადამიანური და ჯალათური სულისკვეთება, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ქართულ პოლიციაში იყო გამეფებული, დღეს **ნაცი დეკანოიძის მიერ რეფორმირებულ უკრაინულ პოლიციაშია** ჩაბუდებული!

**როგორც ჩანს, ნაცმა დეკანოიძემ უკრაინელ პოლიციელებსაც სწორედ ის ასწავლა, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ქართველ პოლიციელებს ასწავლიდა – ცივ-სისხლიანობა, შეუბრალებლობა, ადამიანის სიცოცხლის არაფრად**




**ჩაგდება, კანონის ფეხებზე დაკიდება და მხოლოდ პარტიის პოლიტიკური ინტერესების მსახურება!**

ხომ თქვა სააკაშვილმა — **უკრაინელებს ზუსტად ისეთი პოლიცია სურდათ, როგორიც მე შევქმენი საქართველოშიო?**

**ჰოდა, მიიღეს უკრაინელებმა ზუსტად ისეთი პოლიცია, როგორიც სააკაშვილმა შექმნა საქართველოში!**

ალბათ, საბედისწერო ნიშანდობლიობაა ისიც, რომ **ნაცი დეკანოიძის მიერ რეფორმირებული და ორბვამა მერაბიშვილის თარგზე მოჭრილი უკრაინული პოლიციის** ძალმომრეობას მაინცდამაინც ქართველი კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა!

სხვათაშორის, უკრაინული საინფორმაციო საშუალებები, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას **ზელენსკის რეჟიმი** აკონტროლებს, **პოლიციის მიერ დახვრეტილ ჯუმბერ სილაგავას** კრიმინალური დაჯგუფების წევრად აცხადებენ ისევე, როგორც ამას სააკაშვილის „ჭიბის მედია" აკეთებდა **ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, ზურა ვაზაგაშვილისა თუ გიორგი გამცემლიძის** შემთხვევაში...

**ე.ი. ადამიანი კი არა, კრიმინალი მოვკალითო!**

**ე.ი. თუ ადამიანი კრიმინალია,** იმას სიცოცხლის უფლება არა აქვსო!

**ე.ი. რა საჭიროა გამოძიება და მტკიცებულებები,** პროკურატურა და სასამართლო, კრიმინალს სადაც გადაეყრები, იქვე უნდა მიახვრიტოო!

**ეჰ, ფაშისტურ-ბოლშევიკური ტიპის პროპაგანდაშიც როგორ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ზელენსკის რეჟიმი სააკაშვილის რეჟიმს!**

არადა, **უკრაინელი ხალხი თავიდანვე რომ აღდგომოდა წინ უკრაინაში სააკაშვილის, ადეიშვილის, დეკანოიძის, ლორთქიფანიძის, საყვარელიძისა და სისხლიანი ნაცრეჟიმის სხვა წარმომადგენელთა გაპარპაშებას, ვინძლო, ომის ქარცეცხლშიც არ გახვეულიყო!**

**იმედია, უკრაინელი ხალხის უმრავლესობა დღეს მაინც ხვდება და აცნობიერებს, რომ მისი უბედურების სათავე სწორედ ზელენსკი-სააკაშვილის ჰიბრიდული რეჟიმია, რომლის ძალაუფლებაც ქართველი და უკრაინელი „ბუტა რობაქიძეებისა" და „სანდრო გირგვლიანების" სისხლით იკვებება!**

ჯაბა ხუბუა

## კვირგვინოსნები



**არნო ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის" მთავარი რედაქტორი*

როგორ ასწავლის დემოკრატიას შეერთებული შტატები, სადაც **შავკანიანის მოკვლა არცთუ შორეულ წარსულში ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა?** როგორ ასწავლის სასამართლო რეფორმას ამერიკა, **სადაც ზანგები მონები იყვნენ და სადაც არცთუ დიდი ხნის წინ ჩამოხსნეს აბრები „მხოლოდ თეთრკანიანებისთვის"?!** ისინი გაანადგურეს თუ შავი დღისთვის გადაინახეს? როგორ შეიძლება, სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ ისინი, **ვინც ატომური ბომბები სამოქალაქო მოსახლეობის თავზე ჩამოყარა?**



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*

არ მგონია, ციხეში ჩამსვან, რადგანაც **ყველა საქმე თაღლითურად აქვთ აღძრული.** მე ცუდი ადამიანები მდევნიან, მაგრამ **ახლა უფრო მეტი მხარდამჭერი მყავს,** ვიდრე ოდესმე.

„იმედინიუსი"



**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*

მნიშვნელოვანია, რომ **გვერდით გავწიოთ ის ადამიანები,** რომლებიც ცდილობენ, **დააბნიონ ქართველები, გაყონ საზოგადოება,** შეინარჩუნონ პოლარიზაცია.

„პირველი არხი"



**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*

ჩვენ ვსაუბრობთ **დიდ გაფართოებაზე,** რაც ასევე გამოწვევაა თავად ევროკავშირისთვის, პირველად გვაქვს თარიღის შეთავაზება, **2030 წელი,** გულწრფელად ვიმედოვნებ, ეს მოხდება.

„პირველი არხი"



**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*

**ევროკავშირმა შეცდომა დაუშვა,** როდესაც სამეულიდან განგვაცალკევა. ვგულისხმობ **უკრაინისა და მოლდოვისთვის** სტატუსის მინიჭებას, **საქართველოსთვის** კი გარკვეული პირობის დაწესებას.

„ახალი თაობა"

# უწვიმდურთა სამიზნე

***2015 წლის 13 ივნისის ღამეს ვერეს ხეობაში წყალდიდობის გამო დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი საქართველოსა და, მეტადრე, თბილისის მოსახლეობის მეხსიერებაში იმხელა კვალი დატოვა, რომ დედაქალაქის მცხოვრებნი განსაკუთრებით აღელვა 2023 წლის 29 აგვისტოს, ედუარდ შევარდნაძეზე 1995-ში განხორციელებული ტერაქტის 29-ე წელს, მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.***

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, **2023 წლის 29 აგვისტოს ღამეს, 3-საათიანი წვიმის შედეგად, თბილისში ორჯერ მეტი ნალექი მოვიდა, ვიდრე 2015 წლის 13 ივნისის ღამეს, როცა 6 საათის განმავლობაში წვიმდა.** მიუხედავად ამისა, 29 აგვისტოს ღამით მოსულ კოკისპირულ წვიმასა და წყალდიდობას ადამიანური მსხვერპლი არ მოჰყოლია. ზოგან ქუჩები დაიტბორა, ზოგან ხეები წაიქცა, ზოგან კოლექტორები გაიჭედა, ზოგიერთი კორპუსის ბინებში წყალი ჩავიდა, ზოგიერთ მოქალაქეს ავტომობილი დაუზიანდა და სხვა ამისთანები, მაგრამ **არავინ დაღუპულა, არავინ დაობლებულა, არავინ დაქვრივებულა და არავის ცხოვრებას დაუკარგავს აზრი...**



საააკაშვილი და ხაზეიშვილი

დარწმუნებული ვართ, კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებივრე ნაცბელადი და ნაცსექტის ფორმალურ მმართველობაში მყოფი კოლექტიური ხაზეიშვილი იმედგაცრუებული დარჩნენ იმით, რომ 29 აგვისტოს ღამემ ადამიანური მსხვერპლის გარეშე ჩაიარა!

მოკლედ რომ ვთქვათ, გაგვიმართლა და იოლად გამოვძვერით, რადგან ინფრასტრუქტურული თუ მატერიალური ზარალი, რაც დედაქალაქსა და მოსახლეობის ერთი ნაწილის კერძო საკუთრებას მიადგა, ადამიანების სიცოცხლესთან მოსატანიც არ არის!

სამაგიეროდ, **ძალიან არ გაუმართლა ნაცმოძრაობად სახელდებულ სექტას, რომელიც ყოველ წყალდიდობას, ყოველ ღვარცოფს, ყოველ მეწყერსა თუ ხანძარს სტიქიურ უბედურებად კი არა, სტიქიურ ბედნიერებად მიიჩნევს, პოლიტიკური სარგებლის მიღების საშუალებად აღიქვამს და ხელისუფლებისათვის მტკივნეული დარტყმის მიყენების შანსად განიხილავს!**

ასე იყო **2015 წლის 13 ივნისის** სტიქიური უბედურების დროსაც და სულ ახლახანაც, როცა შოვში ჩამოწოლილმა მეწყერმა დიდი ტრაგედია დაატრიალა!

ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ **2023 წლის 29 აგვისტოს ღამეს** ნაცმოძრაობის ე.წ. ლიდერშიპი ხელებს იფშვნეტდა და კბილებს აკაწკაწებდა იმის მოლოდინში, რომ კოკისპირული წვიმა და წყალდიდობა ერთი-ორი ადამიანის სიცოცხლეს მაინც შეიწირავდა, რის შემდეგაც **ლევან ხაბეიშვილი** საგანგებო ბრიფინგს მოარტყამდა და მოქალაქეების დაღუპვაში პირდაპირ ხელისუფლებას დასდებდა ბრალს!

**დარწმუნებული ვართ, კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებივრე ნაცბელადი და ნაცსექტის ფორმალურ მმართველობაში მყოფი კოლექტიური ხაზეიშვილი იმედგაცრუებული დარჩნენ იმით, რომ 29 აგვისტოს ღამის წვიმამ და წყალდიდობამ ადამიანური მსხვერპლის გარეშე ჩაიარა!**

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ **სწავებივით ლეშზე დაგეშილ ნაცხროველთა** გაწბილებაში საკუთარი წვლილი არამხოლოდ განგებამ, არამედ **თბილისის მერმა კახა კალაძემაც** შეიტანა, როცა საწვიმარი ლაბადა მოისხა, რეზინის ჩექმა ჩაიცვა და მთელი ღამის განმავლობაში ფეხით შემოიარა ყველა ის უბანი, ქუჩა თუ ობიექტი, სადაც უხვმა ნალექმა განსაკუთრებული პრობლემები შექმნა.

**სოციალურ ქსელში გავრცელდა 29 აგვისტოს ღამეს მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ საწვიმარი ლაბადით შემოსილი თბილისის მერი წყლით გავსებულ რეზინის ჩექმებს იხდის, წყალს გადაღვრის და ისევ იცვამს...** კახა კალაძისაგან ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან **საზოგადოებამ იგი ჯერ კიდევ 2015 წლის 13 ივნისის საბედისწერო ღამეს და მომდევნო დღეებში იხილა თავფეხიანად ტალახში ამოგანგლული, როცა შიშველი ხელებით ცდილობდა განსაცდელში ჩაცვენილ მოქალაქეთა დახმარებას და შემდეგ უკვე სტიქიისაგან იავარქმნილი ვერეს ხეობის გაწმენდით სამუშაოებშიც მონაწი-**



თბილისის მერი კახა კალაძე 2023 წლის 29 აგვისტოს ღამის კოკისპირული წვიმის დროს





**გვიან ღამით, თავსხმა წვიმაში, უზან-უზან მოსიარული და თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე გალუმპული თბილისის მერი! – ეს არის საუკეთესო პასუხი სააკაშვილ-ხაზეიშვილთა და სხვა უწვიმდურთა ტატყანზე!**

# უწვიმდურები 29 აგვისტოს ღამეს ხელებს იფშვნეტდნენ და კბილებს აკაწკაწებდნენ იმის მოლოდინში, რომ კოკისპირული წვიმა ერთი-ორი ადამიანის სიცოცხლეს მაინც შეიწირავდა!

**ლეობდა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებთან და რიგით მოქალაქეებთან ერთად.**

თუნდაც მხოლოდ ეს კადრები — **თბილისის მერი კოკისპირულ წვიმაში ლაბადითა და წყლით სავსე რეზინის ჩექმებით რომ დგას თანამოქალაქეთა გვერდით — ნამდვილი პოლიტიკური განაჩენია ლეშისმოყვარე ნაცსვავებისათვის, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, 29 აგვისტოს ღამეს ტრაგედია დატრიალებულიყო და მერე ეს თბილისის მერიისა თუ მთლიანად საქართველოს ხელისუფლების უუნარობა-უმოქმედობისათვის დაებრალებინათ!**

გვიან ღამით, თავსხმა წვიმაში, **უზან-უზან მოსიარულე და თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე გალუმპული თბილისის მერი!** — ეს არის საუკეთესო პასუხი სააკაშვილ-ხაბეიშვილთა და სხვა უწვიმდურთა პოლიტიკურ ტატყანზე!

უწმინდურთა და უწვიმდურთა ენის სარსალზე!

ჰო, **უწვიმდურები არიან ისინი, ვინც 29 აგვისტოს ღამეს მოსულ კოკისპირულ წვიმას იმედით შეჰყურებდნენ და ნატრობდნენ, უხვ ნალექს რაც შეიძლება მძიმე შედეგები გამოეწვია, რაც შეიძლება მეტად დაეზარალებინა თბილისი და თბილისელები, ხოლო, თუ ადამიანების სიცოცხლესაც შეიწირავდა, მთლად უკეთესი იქნებოდა ჩასაფრებული გიენებისათვის!**

ჰო, სწორედ ასეთი უწვიმდურებით არის სავსე ნაცსექტა!

ჰო, დიდი უწვიმდურობა და უწმინდურობაა წვიმის, წყალდიდობის, ღვარცოფისა თუ სხვა რამ სტიქიური უბედურებისაგან საკუთარი პოლიტიკური ბედნიერების გამოძერწვის მცდელობა!

**მთავარი უწვიმდური** კი „ვივამედის“ ლუქს-პალატაში კოტრიალობს!

**მთავარი უწვიმდური** „ვივამედის“ ლუქს-პალატიდან ასე გამოეხმაურა 29 აგვისტოს ღამეს თბილისში მოსულ კოკისპირულ წვიმას:

> *„დღეს უკვე ცხადად ჩანს, რომ ხელისუფლების უპასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე, რის გამოც ჩვენი მოსახლეობა ზარალდება. ჩვენს ქვეყანაში ინგრევა სახლები, გზები, ნადგურდება კურორტები, ზოგიერთს კი ჰგონია, რომ ყველაფერს სტიქიას დააბრალებენ.*
>
> *აბა, ივანიშვილის რეზიდენციასთან ყოფილიყო ნიაღვარი? მთელი მთავრობა შიშველი ხელებით დადგებოდა“.*

ამას ამბობს **უწვიმდური სააკაშვილი,** რომელიც გასართობად და განსაცხრომად დარბოდა მაშინ, როცა საქართველოში წყალდიდობისა და ღვარცოფის გამო ადამიანები იღუპებოდნენ!

მაგალითად, **2012 წლის 12 მაისს, როცა თბილისში მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ და მოვარდნილმა ღვარცოფმა ორთაჭალაში 5 ადამიანის, მათ შორის, ორი მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა,** პრეზიდენტი სააკაშვილი ჯერ **სლოვენიაში გაფრინდა** ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად, იქიდან კი **მილანში გადაფრინდა** ბრენდულ მაღაზიებში საშოპინგოდ!

დიახ, 2012 წლის 12 მაისს სააკაშვილი სამუშაო ტანსაცმლით კი არ შეიმოსა და სტიქიით დაზარალებული ადამიანების გვერდით კი არ დადგა, **როგორც ღარიბაშვილი და კალაძე მოიქცნენ 2015 წლის 13 ივნისის ღამეს ან როგორც იმავე კალაძემ 2023 წლის 29 აგვისტოს ღამეს გააკეთა,** არამედ მილანში გაფრინდა ძვირფასი ტანსაცმლის შესაძენად!

აბა, ნახეთ: 2023 წლის **29 აგვისტოს ძლიერმა წვიმამ თბილისს ზიანი რომ მიაყენა, ამაში „მილანის“ ყოფილ ფეხბურთელ კალაძეს ადანაშაულებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც მილანში საშოპინგოდ გაფრინდა 2012 წლის 12 მაისს, როცა თბილისში ძლიერმა წვიმამ 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა!**

სწორედ ამაში და ასეთ რაღაცებში გამოიხატება სააკაშვილისა და მისი სექტის უწვიმდურობა!

მხოლოდ ასეთ **უწვიმდურებს** შეუძლიათ, თავიანთი პოლიტიკური ბედნიერება სტიქიურ უბედურებაზე ააგონ ან სცადონ მაინც ამის გაკეთება!

საქართველოში კოკისპირული წვიმა ბევრჯერ მოსულა და კიდევ ბევრჯერ მოვა, მაგრამ **ნაცსექტის უწვიმდურობას** ვერასოდეს გარეცხავს და ვერაფრით წაშლის!

**ნაცსექტა სააკაშვილ-კეზერაშვილ-ხაბეიშვილ-დედიანბუდიანად საკუთარი უწვიმდურობის მორევში ჩაიხრჩობა!**

*ჯაბა ხუბუა*


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2015 წლის 15 ივნისი საქართველოში გლოვის დღეა!

2015 წლის 15-21 ივნისი

N24 (1076)

ფასი 2 ლარი და 50 თეთრი

2015 წლის 13 ივნისის შემზარავი ტრაგედიის ერთადერთი მიზეზი:

2-4 სააკაშვილის ნაცხროვის უმეცრება და მატრაბაზობა!

ტრაგედია უგრიმოდ

ირაკლი ღარიბაშვილს, სააკაშვილისაგან განსხვავებით, საკუთარი ხალხი უმძიმეს წუთებში არ მიუტოვებია და გასართობად და „საშოპინგოდ“ საზღვარგარეთ არ გაფრენილა!

თბილისი. 2015 წლის 13 ივნისი

2012 წლის 13 მაისი. თბილისში მომხდარი წყალდიდობის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, სააკაშვილი კი მილანში „შოპინგობს!“


ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე 2015 წლის 13 ივნისის სტიქიური უბედურების დროს



კახა კალაძე „მილანში“ თამაშის დროს

**2023 წლის 29 აგვისტოს ძლიერმა წვიმამ თბილისს ზიანი რომ მიაყენა, ამაში „მილანის“ ყოფილ ფეხბურთელ კალაძეს ადანაშაულებს სააკაშვილი, რომელიც მილანში საშოპინგოდ გაფრინდა 2012 წლის 12 მაისს, როცა თბილისში ძლიერმა წვიმამ 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა!**

*შოვში დატრიალებული სტიქიური უბედურებიდან, რასაც ათეულობით ადამიანის, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვების სიცოცხლე შეეწირა, ერთი თვე მიილია, მაგრამ ტრაგიკულ ფაქტებს დასასრული არ უჩანს!*

# ჯარისკაცის სიკვდილი

## შოვში გაჩერებული გულები და სა-შოვ-არზე გამოსული სიკვდილი, რომელიც არ ჩერდება!




ჰო, კურორტ **შოვში,** რომელიც 2023 წლის 3 აგვისტოს ჩამოწოლილმა ღვარცოფმა მთლიანად გაანადგურა და მიწის პირიდან წაშალა, სიკვდილი არ ისვენებს!

თითქოს სა-**შოვ**-არზე გამოვიდაო სიკვდილი!

თითქოს არ ჰყოფნის ის სიცოცხლეები, 3 აგვისტოს უცაბედად და ერთბაშად რომ წაიღო შოვიდან!

თითქოს ვერ ძღება ტიალი და მუხთალი!

ჯერ იყო და, სტიქიიდან ოთხი დღის შემდეგ, 2023 წლის 7 აგვისტოს, შოვში გულის შეტევით გარდაიცვალა **პოლიციის მაიორი, 48 წლის მირიან ჭელიძე,** რომელიც უბედურების ზონაში მიმდინარე სამაშველო ღონისძიებების ფარგლებში, საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა. იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში მიყვანამდე, სასწრაფო დახმარების რეანიმობილში დალია სული.

გასულ კვირას კი ნაღვარცოფალში კიდევ ერთი ქართველის სიცოცხლე ჩაქრა!

2023 წლის 29 აგვისტოს, შოვში მიმდინარე სამაშველო ღონისძიებების 27-ე დღეს, გულის შეტევით გარდაიცვალა **50 წლის ჯარისკაცი — საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მეათე ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის უფროსი ინსტრუქტორი თემურ ხარჩილავა.**

იგი აფხაზეთიდან დევნილი იყო და ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში ცხოვრობდა!

ისიც ითქვა, რომ **თემურ ხარჩილავას** სტიქიის ზონაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ვადა სწორედ იმ დღეს ეწურებოდა, როცა გული გაუჩერდა!

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების კი არა, სიცოცხლის ვადა ეწურებოდა თურმე!**

სა-**შოვ**-არზე გამოსული სიკვდილი!

**შოვში** გაჩერებული გულები!

**ვერ გაუძლეს, ვერა, გულიანმა ქართველმა პოლიციელმა და გულიანმა ქართველმა ჯარისკაცმა იმ ცოდვას და უბედურებას, რომელიც დუღს და გადმოდუღს ღვარცოფის მიერ დამარხული შოვის მინისგულიდან!**

**დოქსოპულო ხაბეიშვილი ან ხაბეიშვილის-ნაირი დოქსოპულო ნაცი უნდა იყო, რომ გული არ დაგიმძიმოს, გული არ შეგიკუმშოს, გული არ გაგიჩეროს და გული არ გაგიხეთქოს შოვის ტრაგედიამ,**

მეუღლისა და სამი პატარა შვილის დამკარგავი კაცის უბედურებამ, ერთი ოჯახიდან ერთ დღეს გამოსვენებულმა ცხრა კუბომ, ღვარცოფული მასიდან და მდინარის შლამიდან ამოყვანილმა მთელმა თუ ნაწილებად დაფლეთილმა დიდმა და პატარა ცხედრებმა...

პოლიციელი **მირიან ჭელიძე** და ჯარისკაცი **თემურ ხარჩილავა** ამ ყველაფერს საკუთარი თვალებით უმზერდნენ იქვე, ტრაგედიის ადგილას, სადაც სამაშველო ღონისძიებებში იღებდნენ მონაწილეობას!

აბა, არცერთი ნაცსექტანტი დღემდე არ ჩასულა შოვში და სათოფეზე არ გაჰკარებია ტრაგედიის ადგილს, მარტო შორიდან ასარსალებენ ორკაპა ენებს — **შოვში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით პარლამენტში საგამოძიებო კომისია უნდა შევქმნათო!** მეტიც,

**არცერთ ნაცსექტანტს მადლობაც კი**

# ტრაგედია

## კვირგვინოსნები

**რიკარდ იოზვიაკი**
*რადიო „თავისუფლების" ბრიუსელის ბიუროს მთავარი რედაქტორი*



საქართველოს, სავარაუდოდ, **მისცემენ კანდიდატის სტატუსს, მაგრამ დაამატებენ უფრო მეტ პირობას** და პოტენციურად ერთ-ერთი შეიძლება იყოს საგარეო პოლიტიკასთან კავშირში — მაგალითად, **ევროკავშირის სანქციებთან მიერთების დაწყება.**

„ახალი თაობა"

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



რუსეთს აწყობს აქ **რევოლუცია და ფუნდამენტური არეულობა,** ისეთი, რომ აქ **ჩინეთიდან ევროპისკენ მიმავალი სატრანზიტო ხაზები აღარ შემოვიდეს** და სფერო კვლავ რუსეთს დაუბრუნდეს. **დეგნანი** დასავლეთის იმ პოლიტიკის განსახიერებაა, რომელიც **ცდილობს, ერთი მხრივ, ნაციონალების აღორძინებას და, მეორე მხრივ, „ქართული ოცნების" დისკრედიტაციას,** ანუ, პრაქტიკულად, რუსეთზე მუშაობს.

„კვირის პალიტრა"

**ოლექსი რეზნიკოვი**
*უკრაინის თავდაცვის მინისტრი*



უკრაინის მომავალი როლია, იყოს **ევროპის ფარი აღმოსავლეთში, უსაფრთხოების დონორი კონტინენტზე,** განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონში.

„რეზონანსი"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**უკრაინის მხრიდან** ქართული სახელმწიფოს მიმართ გრძელდება **არაჯანსაღი დამოკიდებულება,** არადა, საქართველო ყველაფერს აკეთებს უკრაინელი ხალხის დასახმარებლად.

„რეზონანსი"

**სერგო ჩიხლაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*



პოლიტიკურ ძალებს და საზოგადოებას **გვმართებს აქტიურობა,** რომ მალე მოვაახლოოთ პერიოდი, რასაც **„ქართული ოცნების" ხელისუფლებიდან გაშვება ჰქვია.**

„ინტერპრესნიუსი"

# პოლიციელის

# სიკვდილი




**შოვში გულგაჩერებული პოლიციელი მირიან ჭელიძე და შოვში გულგაჩერებული ჯარისკაცი თემურ ხარჩილავა გმირები არიან!**

**არ დასცდენია გმირი მაშველების, გმირი პოლიციელებისა და გმირი ჯარისკაცების მისამართით, რომლებიც უკვე ერთი თვეა,**

**სტიქიური უბედურების ზონაში მუშაობენ და იმუშავებენ მანამ, სანამ ბოლო დაღუპულის ცხედარს არ იპოვიან!**

და ამას აკეთებენ არამარტო იმიტომ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განკარგულებაა — სანამ ყველა დაღუპულის გვამს არ მივაგნებთ, სამაშველო ღონისძიებები არ შევწყვიტოთო!

**ამას აკეთებენ გულით, მთელი გულით!**

ამიტომაც გაჩერდნენ პოლიციელ **მირიან ჭელიძისა** და ჯარისკაც **თემურ ხარჩილავას გულები!**

**შოვში გახეთქილი გულები!**

სა-**შოვ**-არზე გამოსული სიკვდილი!

**შოვში** გულგაჩერებული პოლიციელი **მირიან ჭელიძე** და **შოვში** გულგაჩერებული ჯარისკაცი **თემურ ხარჩილავა** გმირები არიან!

პოლიციელი **მირიან ჭელიძე** კრიმინალურ დაჯგუფებასთან შეიარაღებული შეტაკებისას ბანდიტის ტყვიით არ მომკვდარა, მაგრამ ის ნამდვილი გმირია, რომელიც მისი სამშობლოსა და მშობელი ხალხის თავსდამტყდარ უბედურებას გადაჰყვა!

**ჯარისკაცი თემურ ხარჩილავა ომში მტრის ტყვიით არ დაღუპულა, მაგრამ ის ნამდვილი გმირია, რადგან**

**მშობლიურ მიწაზე მოკვდა მაშინ, როცა ღვარცოფში დანთქმულ თანამოძმეთა ძებნა-შველის ღონისძიებებში მონაწილეობდა!**

### ბოლოთქმა

თუ **ნიკო ლორთქიფანიძის** ერთ შედევრში დატრიალებულ ტრაგედიას გმირები არ ჰყავს, შოვის ტრაგედია გმირებიანი ტრაგედიაა, ანუ **ტრაგედია გმირებით!** ნიკო ლორთქიფანიძის კიდევ ერთი შედევრიც რომ გავიხსენოთ, ქართველი კაცის**გული** ემიგრაციაში სამშობლოს მონატრებამ დააჭკნო, დაწვა და დაფერფლა, **თემურ ხარჩილავასა და მირიან ჭელიძის გულებმა** კი სამშობლოშივე შეწყვიტეს ფეთქვა, სამშობლოს თავზე დატრიალებული უბედურების გამო! **შოვში გაჩერებული გულები და სა-შოვ-არზე გამოსული სიკვდილი, რომელიც არ ჩერდება!**




**შოვი დღე,** რომელიც საქართველოს **შოვში** 2023 წლის 3 აგვისტოს გაუთენდა, ჯერაც არ დამთავრებულა!

**ნუთუ ეს წუთისოფელზე გრძელი დღეა?**

***ჯაბა ხუბუა***

# გმირებით


დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.COM
2023 წლის 7 - 13 აგვისტო
N 35 1499
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი
საქართველოს შოვი დღე გაუთენდა!

### კვირგვინოსნები

**ნანი ბრეგვაძე**
*მომღერალი*



**რაც რაჭაში მოხდა, ჩემთვის უდიდესი ტრაგედიაა.** რომ ვიხსენებ, სულ ვტირი, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ **რაჭველი ვარ,** ეს ჩვენი საქართველოა, ჩვენი კუთხე, ყველას გვეხება... **შოვი აუცილებლად უნდა აღდგეს და ასეც იქნება.** ყველაფერი კარგად იქნება!

„კვირის პალიტრა“

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*რეჟისორი*



შოვის უბედურებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ **მეცნიერებს უნდა მოვუსმინოთ და დავუჯეროთ. ქართველი მეცნიერების წინაშე ყველა ხელისუფლება სცოდავდა.** დამნაშავეა ყველა, ვინც ვერ ხვდება, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავლისთვის განათლებას... სამწუხაროა, რომ საქართველოში ოდითგანვე **უცხოელებს უფრო უსმენდნენ, ვიდრე ადგილობრივ სპეციალისტებს.**

„კვირის პალიტრა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



როგორი **ღვარცოფი, ტალახი და შლამიც მთელი 11 წლის განმავლობაში დააგროვა „ქართულმა ოცნებამ“ — სიბინძურე და ჭუჭყი ქართულ პოლიტიკაში** — სწორედ ამ ღვარცოფს გადაყვებიან ეგენი.

„ახალი თაობა“

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა** საქართველოს პრემიერ-მინისტრს საგანგებოდ მიმართავს და 4 თვით ადრე, ვიდრე ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ხანდაზმულად გამოცხადდება, საქმის გახსნას ითხოვს:*

# ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ხანდაზმულად გამოსაცხადებლად 4 თვეღა რჩება!



ნარე, მივმართავ ისევ და ისევ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს: **ბატონო ირაკლი, აიღეთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გენერალური პროკურატურის თაროდან ჩამოიღეთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე, რომელიც, ჩემი ინფორმაციით, გამოძიებული და დასრულებულია!**

**— საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ ეს საქმე დასრულებულია?**

— ეს ინფორმაცია მაქვს იმ ადამიანებისგან, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობას იძიებდნენ!

**— მერედა, რა გითხრეს, ეს მკვლელობა**

## *იგორ კვესელავა:*

# ბატონო ირაკლი, აიღეთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გენერალური პროკურატურის თაროდან ჩამოიღეთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე!

## „ბატონო ირაკლი, მოძებნეთ გენერალ მიხეილ ოსაძის საქალალდე და გამოამზეურეთ ზვიადის მკვლელები!“



— საქვეყნოდ ცნობილია, რომ **2018 წლის 31 დეკემბერს** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ხანდაზმულად უნდა გამოცხადებულიყო. ამის გამო ძმებმა — **კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა** 2018 წლის 14 დეკემბერს გენერალური პროკურატურის მისაღებში მშრალი შიმშილობა დაიწყეს. მეთერთმეტე დღეს პირველი პრეზიდენტის შვილებმა პარლამენტის, პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილისა** და გენერალური პროკურორ **შალვა თადუმაძის** ერთობლივი ძალისხმევით შიმშილობა შეწყვიტეს, რადგან მიიღეს ასპროცენტიანი გარანტია, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას კიდევ 5 წელი დაემატებოდა. ეს დამატებული 5 წელი, სულ რაღაც, ოთხ თვეში, **2023 წლის 31 დეკემბერს** იწურება, მაგრამ გენერალურ პროკურატურას ამ საქმეზე ყურიც არ შეუბერტყავს. მოკლედ,

**ქართულ სახელმწიფოს 2023 წლის 31 დეკემბრამდე ჯერ კიდევ აქვს შანსი, ჩამოიწმინდოს საუკუნის სირცხვილი და გახსნას ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობა.**

მოგეხსენებათ, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეს „მკვლელობის“ კვალიფიკაცია **ირაკლი ღარიბაშვილის** პრემიერ-მინისტრობის პირველ ჯერზე მიენიჭა. აქედან გამომდი-

**იყო თუ თვითმკვლელობაო?**

— დიახ, **ეს მკვლელობა იყო!** ზვიად გამსახურდია მხოლოდ ძველ ხიბულაში, **კარლო ლურწკაიას ოჯახში** არ მოუკლავთ... პრეზიდენტს კლავდნენ მაშინ, როცა **ბესო ქუთათელაძე** საქართველოს დამაქცევრებს შეეკრა და მთაწმინდის სატელევიზიო ანძა **კიტოვანსა და მის ბანდას ჩააბარა;** ზვიად გამსახურდიას კლავდნენ მაშინ, როცა გენერალმა **ლევან შარაშენიძემ და ოთარ ხატიაშვილმა** პრეზიდენტს სატელეფონო კაბელი გადაუჭრეს და ზვიად გამსახურდიას კომუნიკაციის ყოველგვარი საშუალება მოუსპეს; გამსახურდიას კლავდნენ მაშინ, როცა 1992 წლის 6 იანვარს **გიორგი შენგელაია და გუგა კიკაბიძე** ავტომატების კაკანით მისდევდნენ დედაქალაქიდან გასული პრეზიდენტის კორტეჟს; ზვიად გამსახურდიას კლავდნენ მაშინაც, როცა **ჯანსუღ კახიძე, მერაბ მამარდაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, ლანა ღოღობერიძე და სხვა იარაღასხმული თუ უიარაღო პუტჩისტები** მთელ მსოფლიოს „უმტკიცებდნენ“, რომ გამსახურდია „ფაშისტი“ იყო, რომელიც ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავდა და ოსებს ერთ შვილზე მეტის ყოლის უფლებას უკრძალავდა; ზვიად გამსახურდიას მაშინაც კლავდნენ, როცა ე.წ. „გენერლებმა“ — **თამაზ დუმბაძემ, ზურაბ ნაირაშვილმა და ჯემალ ჭუმბურიძემ** ვერაზე შესაფერისი სატელეფონო ჯა შეარჩიეს, საიდანაც გამსახურდიას „კოლხური კოშკი“ ხელისგულზე ჩანდა და პრეზიდენტის აფეთქება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა...

ნებისმიერ შემთხვევაში, რაც 1993 წლის 31 დეკემბრისა და 1994 წლის 1 იანვრის ღამეს მოხდა, ეს **იყო პრეზიდენტის თვითმკვლელობამდე მიყვანა,** რაც შევარდნაძის ინტერესებში შედიოდა. არ გამოვრიცხავ, რომ საისტორიო ბედისწერამ შესაძლოა, სწორედ ირაკლი ღარიბაშვილს დააკისრა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნა და ეს შემთხვევითი არ გახლავთ, რადგან მისი ოჯახის წევრი, გენერალი თამაზ თამაზაშვილი, რომელიც პრემიერ-მინისტრის სიმამრია, იმ საშინელ დღეებში, როცა ზვიად გამსახურდიას ზარბაზნებს უშენდნენ, „კოლხურ კოშკში“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცოლ-შვილს პუტჩისტების თავდასხმისგან იცავდა. მიმაჩნია, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება და გამოამზეუროს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე. ვიმეორებ — **ჩემმა ნაცნობმეგობრებმა, რომლებიც გამსახურდიას მკვლელობას იძიებდნენ, პირდაპირ მითხრეს, რომ საქმე გამოძიებული და დასრულებულია და მისაღებია მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება!**

**— შევარდნაძეს უნდა დაედოს ხელი, როგორც მკვლელობის ორგანიზატორს?**

— დიახ, სწორედ შევარდნაძეს უნდა დაედოს ხელი, როგორც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთსა და ორგანიზატორს, მაგრამ ამით საქმე არ მთავრდება. გარდა შევარდნაძის, როგორც პირველი პრეზიდენტის მკვლელის საშინელი დანაშაულისა, **საქმეში იკვეთება მაშინდელი ამერიკისა და რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა დანაშაულებრივი გარიგება შევარდნაძესთან.** კერძოდ,

**ამ გარიგების თანახმად, საქართველო უნდა დაშლილიყო ოთხ ნაწილად – აფხაზეთად, ცხინვალის რეგიონად და**




## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ირაკლი ღარიბაშვილი** აშში არ იმყოფება ბოტოქსის გასაკეთებლად, როგორც თქვენი პრეზიდენტი **სააკაშვილი** იმყოფებოდა. **ირაკლი ღარიბაშვილი თავის შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე არ ასწავლის, არ ხარჯავს უშველებელ თანხებს პირადი მიზნების რეალიზაციისთვის.** არც მის შვილს მიუღია ისეთი ქულები, რომელიც სწავლების დროს არ დაიმსახურა. **ირაკლი ღარიბაშვილს** არასდროს უღალატია იმ პრინციპისთვის, რაც მისივე ინიციატივით არის შეტანილი კონსტიტუციაში და რაღაც თემებზე თუკი სხვადასხვა მოსაზრებები გვაქვს, ეს ამერიკელებისთვის გასაკვირი არ არის. მცდელობა და კითხვა — **„მაშინ, როცა ამერიკას აკრიტიკებს, რატომ არის ამერიკაში“,** იმდენად უსუსურია, რომ ადეკვატური პასუხის გაცემაც არ მინდა.

„რეზონანსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მთავარეპისკოპოსი*



ახალგაზრდებო, **ვიღაცის მონები არ იყოთ,** ფულს არ უყუროთ, ეს **რუსი იქნება, ევროპელი, ჩინელი, ამერიკელი თუ ნებისმიერი — „პავლიკა მოროზოვებად“** არ უნდა იქცეთ.

„ახალი თაობა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



თუ „ოცნება“ რამე სისულელეს არ ჩაიდენს, **არ მგონია, ცხელი შემოდგომა იყოს.** მარტო ნაცმოძრაობა „ოცნებას“ ვერ დაამარცხებს.

„ახალი თაობა“






# „რა ნახა გუგუშვილმა: ზვიად გამსახურდიას მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?“



## „დიახ, ეს მკვლელობა იყო!“

**სამეგრელოს ფედერაციულ რესპუბლიკად.**

გეგმის თანახმად, სამივე ეს კვაზი-სუბიექტი რჩებოდა რუსეთს, ხოლო დანარჩენი საქართველო — ამერიკის შეერთებულ შტატებს. აფხაზეთი და ცხინვალი შევარდნაძემ რუსეთს მართლაც ჩააბარა, ხოლო სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივება ვერ მოხერხდა. ამიტომ იყო, რომ სამეგრელოში შევარდნაძემ და მისმა ჯალათებმა, რომლებიც ხშირად არა სამხედროები, არამედ ე.წ. „ელიტარული ინტელიგენციის“ წარმომადგენლები იყვნენ, წამოიწყეს საშინელი მარბიელი ლაშქრობები, როცა სამეგრელოს აუპატიურებდნენ, ძარცვავდნენ, ცეცხლში წვავდნენ და მთელ კუთხეს „პროვინციულ ფაშიზმთან“ აიგივებდნენ.

**სამეგრელოს დედსამშობლოსგან ჩამოშორების უზინძურესი და მზაკვრული გეგმა შევარდნაძესა და მის ამფსონებს ჩაეშალათ... ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან კავშირშია და სწორედ ამის გამოაშკარავებას ერიდებიან!**

**— მაინც პირველი პრეზიდენტის მკვლელობის თემას ვუტრიალებ! ბოლოს და ბოლოს, ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს წინაშეა ორი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურის ჩვენება. 2010 წელს **კონსტანტინე გამსახურდიას** კომისიას საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა **იგორ გიორგაძემ** სიტყვასიტყვით ასეთი რამ განუცხადა:

*„მე ვადასტურებ, რომ ჟურნალ „ზავტრასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვთქვი: სახელმწიფო მეთაურს მოვახსენე, ზვიად გამსახურდია ალყაში მყავს-მეთქი! მან თქვა: ზვიად გამსახურდია მე ცოცხალი არ მჭირდებაო! რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ ზვიადი მოკლეს, მის მკვლელობაში თანხა იყო გადახდილი და, რაც მთავარია, შემსრულებლები, რომლებმაც ამის შესახებ იციან, მზად არიან, ჩვენება მისცენ გამოძიებას...* ***ავთო იოსელიანმა,*** *მახსოვს, გააკეთა განცხადება, ჩვენ ვაკონტროლებთ მის გარემოცვას და გარემოცვის გარემოცვასო... ვინ გაისროლა, ეს უკვე დეტალია, მაგრამ პირველი გარემოცვის გარეშე ის ამას ვერ გააკეთებდა!“*

იმავე კომისიას **თენგიზ სიგუამ** ასეთი რამ უთხრა —

*„ოფიციალური ვერსიაა, რომ პრეზიდენტმა „სტეჩკინით“ მოიკლა თავი. „სტეჩკინი“ ვინც იცის, ეს არის მძიმე იარაღი, 1 კილოგრამზე მეტი, თვითმკვლელობის შემდგომ იატაკზე უნდა ეგდოს და ხელიც გადავარდნილი უნდა ჰქონდეს, ამას ნებისმიერი ექსპერტი დაგიდასტურებთ. ეს არის ინსცენირებული, რომ მას ეს იარაღი უკავია და მუცელზე უდევს. იარაღი არის ნივთმტკიცება, ხოლო ის არის გაპრიალებული, გაპოხილი, არავითარი ანაბეჭდი მასზე არ არის“.*

ახლა მე ვკითხულობ: რატომ დაზეთა, გაწმინდა და გააპრიალა **როგიზონ მარგველანმა** იარაღი? რატომ დაწვეს ის ქვეშაგები, რომელზეც ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას ოჯახში იწვა? რატომ თქვა **კარლო ღურწკაიას ცოლმა ლუდმილა ღურწკაიამ** — „მე ყველაფერს ვიტყვი, რაც თქვენ გააკეთეთო!“ — და ამის განცხადებიდან სულ მოკლე ხანში ეს ქალი საეჭვო ვითარებაში რატომ მოკვდა? იმ საღამოს ზვიად გამსახურდიას საქციელი თვითმკვლელის საქციელს არანაირად არ ჰგავდა... პრეზიდენტი სუფრიდან ადგა, განაცხადა — ხვალ დილით ადრე უნდა წავიდეთო და დაწვა!

**— მაშინ რატომ მოხდა, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ უარი თქვა ზვიად გამსახურდიას გვამის გაკვეთაზე და ბესარიონ გუგუშვილსა და ქალბატონ მანანას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც გამსახურდიას გარდაცვალების თემა მათ შორის სადავო არასოდეს გახდებოდა?**

— **მანანა არჩვაძე-გამსახურდია** გროზნოში ჩასულმა **როგიზონ მარგველანმა** დაარწმუნა, რომ ზვიადმა თავი მოიკლა. არ ვიცი, რა არგუმენტები დაულაგეს ქალბატონ მანანას წინ, მაგრამ

**დღევანდელი გადასახედიდან უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ის ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას კარლო ღურწკაიას სახლში მიყვნენ, თავიდან**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*



გენერალი თამაზ თამაზაშვილი

**„არ გამოვრიცხავ, რომ საისტორიო ბედისწერამ შესაძლოა, სწორედ ირაკლი ღარიბაშვილს დააკისრა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნა და ეს შემთხვევითი არ გახლავთ, რადგან მისი ოჯახის წევრი, გენერალი თამაზ თამაზაშვილი, რომელიც პრემიერ-მინისტრის სიმამრია, იმ საშინელ დღეებში, როცა ზვიად გამსახურდიას ზარბაზნებს უშენდნენ, „კოლხურ კოშკში“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცოლ-შვილს პუტჩისტების თავდასხმისგან იცავდა!“**

## კვირგვინოსნები

**ანა ჯაჯაძე**
*ცოტნე გამსახურდიას მეუღლე*



მესამე წელია, **ცოტნე სახლში დაბრუნებას ელის, საკუთარი მამის მიერ დანატოვარ სახლში.** კიდევ ერთი მზაკვრობა ცხოვრებისა — რას იფიქრებდა მრავალმხრივ განწირული **ზვიად გამსახურდია,** რომ არც მის **ერთადერთ ანდერძს** ეწერა აღსრულება... ან... იქნებ იფიქრა კიდეც?!... და **ეს ანდერძიც** სწორედ იმიტომ დაწერა ჯერ კიდევ 1988 წელს, უჩუმრად და მალულად...

„ფეისბუქი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ხაზარაძეს** მინდა მივმართო, ამ **ნამუსგარეცხილ პოპულისტს:** შენთვის ყველაფერი მოსულა და სხვისთვის არა? **ლისის რეკრეაციაში შენთვის შეიძლება დიდი პროექტების განხორციელება და სხვისთვის არა?**

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



ევროპაში აცნობიერებენ, რომ, **თუკი საქართველო მიიღებს სტატუსს,** ეს იქნება ხელისუფლებაში **„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ვადით დარჩენის გარანტია.** უნდათ მათ ეს? აი, ასე დგას ეს საკითხი. ჩემი აზრით, მათ ეს არ უნდათ.

„რეზონანსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



დღევანდელ ვითარებაში ორ პარტიას აქვს **5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა** გარანტირებული — **ნაციონალურ მოძრაობას და „ქართულ ოცნებას“.** ყველა დროში ყველა გამოკითხვით და ყველა პარამეტრით, **„ქართული ოცნება“ მიიღებს მეტ პროცენტს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა** და მანდატები ორ პარტიას შორის თუ გადანაწილდა, მაშინ **„ქართულ ოცნებას“ ექნება უმრავლესობა პარლამენტში და ძალაუფლებას შეინარჩუნებს.**

„რეზონანსი“



# იგორ კვესელავა: გამსახურდიას მკვლელობის შესახებ იგორ გიორგაძესა და ავთო იოსელიანზე უფრო მეტი ინფორმაცია მიხეილ ოსაძეს ჰქონდა!





მიხეილ ოსაძე, იგორ გიორგაძე , ავთანდილ იოსელიანი

დასაწყისი მე-10 გვერდზე

## ბოლომდე კონტროლდებოდნენ შევარდნაძის უშიშროების მიერ!

ავთანდილ იოსელიანი რომ ამბობდა — **„პრეზიდენტის გარემოცვის გარემოცვას ვაკონტროლებდითო!“** — სწორედ ამ ხალხს გულისხმობდა. საერთოდ, ზვიად გამსახურდიამ მგონი, თავადაც არ იცოდა, ვინ მოუყვანა მას **რობიზონ მარგველანი** დაცვის უფროსად. სამეგრელოში ზვიადის დაცვის უფროსი, ჩემი ინფორმაციით, უნდა ყოფილიყო **ანდრო კანკავა,** მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი ადგილი დაიჭირა **მარგველანმა,** რომელიც არ იცნობდა არც სამეგრელოს და არც მეგრული იცოდა... არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ მარგველანი აფხაზეთში ომის გაჩაღებამდე შევარდნაძემ დაიჭირა და სოხუმის იზოლატორში გამოამწყვდია, სადაც ის ინახულა ე.წ. „პრემიერ-მინისტრმა“ **თენგიზ სიგუამ.** მარგველანს ხელს ვერ დავადებ და არაფერს ვაბრალებ, იმაშიც დარწმუნებული ვარ, მარგველანმა, დიდი ალბათობით, არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ქურქში, რომელიც მას **ავთო მარგიანმა** აჩუქა, შესაძლოა, მოსასმენი აპარატურა ყოფილიყო ჩამონტაჟებული, მაგრამ ფაქტია, რომ **ზვიად გამსახურდიას მკვლელობა თუ თვითმკვლელობამდე მიყვანა, ამ საქმეში მისი გარემოცვის მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა!** აი, სწორედ ამაზე მიანიშნებდა **ავთო იოსელიანი** — „გარემოცვის გარემოცვას ვაკონტროლებდითო!“ საერთოდ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ **იგორ გიორგაძესა და ავთო იოსელიანზე** უფრო მეტი ინფორმაცია გენერალ **მიხეილ ოსაძეს** ჰქონდა!

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რასაც **ოსაძე** პირადად მეუბნებოდა! პლეხანოვზე, ერთ-ერთ დაწესებულებაში, მე და გენერალ **მიხეილ ოსაძეს** ამ თემაზე არაერთხელ გვისაუბრია... ერთხელ უკვე გითხარით, რომ ოსაძეს ჩემთვის უნდა გადმოეცა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, თუ როგორ მზადდებოდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა და სოხუმის ჩაბარება. **ეტყობა, ჩვენი უკანასკნელი სატელეფონო საუბარი მოისმინეს და გენერალ მიხეილ ოსაძესთან დათქმული ჩემი შეხვედრა ვერ შედგა, რადგან ის მოკლეს.**

კიდევ ერთხელ მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს: ბატონო ირაკლი, მოძებნეთ გენერალ **მიხეილ ოსაძის საქაღალ-**



ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილი უფროსი რობიზონ მარგველანი



მანანა არჩვაძე, გიორგი და ცოტნე გამსახურდიები ზვიად გამსახურდიას კუბოსთან, გროზნო, 1993 წელი

## „მანანა არჩვაძე-გამსახურდია გროზნოში ჩასულმა რობიზონ მარგველანმა დაარწმუნა, რომ ზვიადმა თავი მოიკლა!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



გვაქვს კონკრეტული ამოცანები — **ვცვლით ხელისუფლებას,** ვხდებით ევროკავშირის წევრი.

„აიპრესი“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში*



საზოგადოების შესაშინებლად არ ვამბობ, თუმცა, **საქართველოში რეალურია დესტაბილიზაციის საფრთხე** — შეიძლება 2024 წლის არჩევნებამდე მშვიდად ვერც კი მივიდეთ.

„კვირის პალიტრა“

**რომან გოცირიძე**
*საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის, „ევროოპტიმისტების“ დეპუტატი*



შანსი არსებობს, **ავანსად მივიღოთ სტატუსი,** რადგან ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, ქვეყნის ინტერესი კი რჩება — დიდი ალბათობით, **ერთი წლის შემდეგ სხვა ხელისუფლება იქნება** და ყველა რეკომენდაცია შესრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

**კახაბერ მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



თუ საქმე ასე დადგება — **ევროპა და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი თუ „ქართული ოცნება“,** რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი ევროპას აირჩევს და „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ სანაგვეზე გაუშვებს.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ჩემს **ხაბეს, ჭიჭე ვაშაძეს,** რუსული ფულით რომ ფინანსდება წლების განმავლობაში, **ლიაკას და ბიჭ ჯაფარას** ჰგონიათ, რომ ქართველი ხალხი მხარს დაუჭერთ? **გამორიცხულია!**

„იმედინიუსი“

**„სამეგრელოს დედასამშობლოსგან ჩამოშორების უბინძურესი და მზაკვრული გეგმა შევარდნაძესა და მის ამფსონებს ჩაეშალათ... ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან კავშირშია და სწორედ ამის გამოაშკარავებას ერიდებიან!“**



# წელს, 30 წლის წინათ, ჟიული შარტავა უნდა მოკვდეს!



ედუარდ შევარდნაძე ჟიული შარტავას ნეშტის საპატიო ყარაულში




## მაყვალა ბერიანიძე:

# ჟიული შარტავას დაკრძალვის დღეს შევარდნაძემ მისი ოჯახისგან გასვენებაში მისვლის ნებართვა ითხოვა!

***საქართველოს ეროვნული გმირის, აწ განსვენებული ჟიული შარტავას თანამებრძოლი, ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე სოხუმის დაცემიდან 30 წლისთავზე იმ სისხლიანი და ქარიშხლიანი ისტორიის ქრონიკებს იხსენებს და აცხადებს, რომ ჟიულის მკვლელობის გახსნა ფარდას ბევრ რამეს ახდის:***

**— წინა საგაზეთო საუბრისას ახსენეთ და აღარ ჩაგეძიეთ, მაგრამ ახლა მიპასუხეთ, შევარდნაძის მაღალჩინოსანთაგან ვინ ესწრებოდა ჟიული შარტავას დახვრეტას?**

— დღეს ის ცოცხალი აღარ არის, კარგა ხანია, რაც სწრაფად და მოულოდნელად გარდაიცვალა პანკრეასის თავის სიმსივნით და ეს მოხდა 2007 წლის ნოემბერში. როგორც მაშინ ითქვა, **ჟიული შარტავას** დახვრეტას შევარდნაძის უშიშროების მინისტრის მოადგილე და შემდგომში საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორი, გენერალ-მაიორი **ავთანდილ იოსელიანი** ესწრებოდა!

**— რას ამბობთ?! ავთანდილ იოსელიანი შევარდნაძის დავალებით ზვიად გამსახურდიას რომ დასდევდა მოსაკლავად ტყე-ტყე, ქვეყანამ იცის, მაგრამ ჟიულის მკვლელობაშიც გარეულია?**

— მოკლედ გეტყვით — **მაშინ ასე ითქვა!** მოგვიანებით **ავთო იოსელიანმა** ჟიულის მკვლელებს შორის **ასლან აბაშიძეც** მოიხსენია და განაცხადა — ჟიულის როცა ხვრეტდნენ, ასლანიც იქ იყო! კიდევ ერთხელ ვიდე და გამოამზეურეთ ზვიად გამსახურდიას მკვლელები! ძალიან დიდ პატივს ვცემ **ჯოჯარ დუდაევს,** მის მეუღლეს, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მშვენიერი წიგნი მიუძღვნა, მაგრამ დღემდე ეჭვი მღრღნის, **რა უნდოდა დუდაევს 1992 წლის თებერვალში ბაქოში, სადაც შევარდნაძესა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ელჩიბეის შეხვდა?**

თებერვალში შევარდნაძე ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული საქართველოში, ის ჩამოვიდა 7 მარტს და საინტერესოა, რაზე ესაუბრა **დუდაევი** შევარდნაძეს და იცოდა თუ არა გამსახურდიამ ამ შეხვედრის შესახებ?

**— თქვენ პრივატულ საუბარში ისიც ბრძანეთ, კაცმა არ იცის, ზვიად გამსახურდია „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტით არის თუ არა მოკლულიო!**

— დიახ, „სტეჩკინის“ პისტოლეტის გავარდნას გამაყრუებელი ხმა აქვს, რაც პრეზიდენტის ამალის მძინარე წევრებს არ გაუგონიათ და მათ სხვა ხმა გაიგონეს, რაც „ტაშტის დავარდნის ხმას“ ჰგავდა. **რატომ არის, რომ პრეზიდენტის ამალის წევრები დღემდე ქარაგმებით ლაპარაკობენ?**

**— რას გულისხმობთ?**

— ერთხელ **ბესარიონ გუგუშვილს** ტელევიზიით ჰკითხეს — **„თქვენ ამბობთ, რომ ეს თვითმკვლელობა იყო? — მე იმას ვამბობ, რაც ვნახე!“** ბუნებრივად დაისმის კითხვა — **რა ნახა გუგუშვილმა — ზვიად გამსახურდიას მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?** ე.ი. გუგუშვილმა ნახა, ზვიად გამსახურდია თავს რომ იკლავდა და ჩუმად იყო, არაფერი გააკეთა? ეს ხომ ტყუილია ყველაფერი? ეს ხომ ძალიან მრავლისმთქმელი განცხადებაა, რაც განათლებულ და ალღოიან გუგუშვილს არ უნდა დაცდენოდა? ამიტომ ამ შემთხვევაში გამოსავალი ერთადერთია —

**ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამოგვიყვანოს ამ ოცდაათწლიანი სიბნელიდან და გვითხრას სიმართლე პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ!**

არც იმას გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, უკიდურეს სიტუაციაში ზვიად გამსახურდიამ მართლაც მოიკლა თავი, რაც ნებისმიერ შემთხვევაში **თვითმკვლელობამდე მიყვანად** უნდა შეფასდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **შევარდნაძისთვის იდეალური სცენარი იყო ზვიადის თვითმკვლელობა...** დარწმუნებული ვარ, ეს ზვიადმაც იცოდა... ამიტომ არ მჯერა, რომ ზვიად გამსახურდია ამ ნაბიჯს გადადგამდა და შევარდნაძეს ამ „საჩუქრით“ გაახარებდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

— ჩვენი ინტერვიუს შემდეგ, რომელიც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა, შევარდნაძის მაღალჩინოსანმა ერთი ადამიანის პირით, რომელსაც თქვენც ძალიან კარგად იცნობთ, შემომითვალა — **შევარდნაძეს თავი გაანებეო!**

ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ ტერორს არ ვექვემდებარები, ამიტომ **არც შევარდნაძეს და არც იმათ, რომლებმაც ჟიული შარტავა დაღუპეს და აფხაზეთი ჩააბარეს, თავს არ გავანებებ! მინდა, ხალხმა იცოდეს, რასაც ვამბობ, ყველაფრის უკან დგას სიმართლე, დოკუმენტები და კონკრეტული ფაქტები! აქედან გამომდინარე, მზად ვარ, ნებისმიერ თქვენს შეკითხვას ვუპასუხო!** მეორებ:

**დოკუმენტურად, საათობრივად მაქვს შესწავლილი 1993 წლის 27 სექტემბერს ასლან აბაშიძის გადაადგილების გრაფიკი და კატეგორიულად შემიძლია, განვაცხადო, რომ იოსელიანი ასლან აბაშიძეს ცილს სწამებდა!**

**— ვინ დახვრიტა ჟიული შარტავა?**

— როგორც **ავთო იოსელიანი** თავიდან ამბობდა, მკვლელი იყო ვიღაც ახალგაზრდა აფხაზი **ალეშკა პაპასკირი.** ამის შესახებ **ავთანდილ იოსელიანმა** 1997 წელს ინტერვიუში განმიცხადა, მაგრამ მეორე ინტერვიუში მითხრა, რომ მკვლელი იყო **ვინმე ზარანდია** და ამ საკითხს **ბესარიონ გუგუშვილთან** დააზუსტებდა. ცოტა ხანში ბესო გუგუშვილმაც დაადასტურა, რომ ჟიულის მკვლელი იყო ვინმე **ზარანდია.** ავთო იოსელიანი ამბობდა, რომ ზარანდიას გარ-

***გაგრძელება მე-14 გვერდზე***

## კვირგვინოსნები



**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*

სამწუხარო მოცემულობაა, რომ **გვყავს მოღალატე ნაცოპოზიცია,** რომელიც ევროინტეგრაციას კი არა, **სახელმწიფოს მტრობს** ყველა შესაძლო ვითარებაში. **„ნაცჭაობი დასაშრობია!“**

„რეზონანსი“



**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*

**2024-ში** არაფერს არ ველოდები. ალბათ, უფრო **2028-ისთვის** შეიძლება რაღაც მოხდეს. **დღევანდელ ოპოზიციას დაკარგული აქვს როგორც მხარდაჭერა, ისე ნდობა.**

„ახალი თაობა“

**„1994 წლის 17 აგვისტოს შოთა ნიშნიანიძემ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა გამაოგნებელი ლექსი „ტროას ცხენი“, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა ასეთი რამ – „ეძღვნება საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ნათელ ხსოვნას!“ შოთას ამის გამო შევარდნაძისგან ძალიან მაგრად „მოხვდა!“**



# «როგორც მაშინ ითქვა, ჟიული შარტავას დახვრეტას შევარდნაძის უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი ესწრებოდა!»

*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

და იქ კიდევ ერთი ქართველი იყო, მაგრამ მისი ვინაობა არ დაუკონკრეტებია...

**— იოსელიანი ბადრი ზარანდიას ხომ არ გულისხმობდა?**

— ეგ არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხართ, რომ იოსელიანი ხელს ადებდა **ვინმე ზარანდიას!**

**— ბორის პასტუხოვთან შევარდნაძის აუგად მოხსენიების გარდა, რომლის ჩანაწერიც ედუარდს უშიშროებამ წინ დაუდო, კიდევ რა იყო შევარდნაძის მიერ ჟიული შარტავას გაწირვისა და სასიკვდილოდ გამეტების მთავარი მიზეზი? იმას, რომ ზვიად გამსახურდიას გროზნოში ურეკავდა და ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში დეტალურად აყენებდა, შევარდნაძე ჟიულის აპატიებდა?**

— არამარტო ეს იყო მიზეზი! **ჟიული რომ გამსახურდიას ღამის 2 და 3 საათზე გროზნოში ურეკავდა, ეს თქვენთან საგაზეთო ინტერვიუში ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამაც დაადასტურა სკანდალურ ინტერვიუში სათაურით — „დიახ, ეს არავინ იცის!“** უფრო მეტიც, 2005 წლის 26 სექტემბერს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა თქვენი ინტერვიუ აწ განსვენებულ **ვალტერ შურღაიასთან**. ორივე ეს ინტერვიუ ჩემს წიგნში მაქვს შეტანილი, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია. ვალტერი იქ ამბობს, რომ **1991 წლის 22 დეკემბრამდე, ვიდრე რუსთაველზე ტყვია გავარდებოდა და შეიარაღებული გადატრიალება დაიწყებოდა, დაახლოებით ხუთი-ექვსი დღით ადრე, უზენაეს საბჭოში დაურეკა ჟიული შარტავამ და გააფრთხილა — გადაეცით ბატონ ზვიად გამსახურდიას, რომ მოსალოდნელია შეიარაღებული თავდასხმა, ნუ გეგონებათ, რომ არ გესვრიან, ოპოზიცია სისხლისღვრისთვის ემზადება!**

## ვადასტურებ, რომ ჟიულის ზვიად გამსახურდიასთან აფხაზეთის ომის დროს ახლო კონტაქტი ჰქონდა...

**— მერედა, ჟიული შარტავამ ხომ იცოდა, შევარდნაძე რასაც ამზადებდა და რატომ გაჰყვა ასეთ მოღალატეს ომში? დანამდვილებით ვიცი, რომ, როცა შევარდნაძე მოსკოვში გადაიყვანეს, ედუარდი ჟიული შარტავას სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა და ტელეფონიც კი გამოცვალა, რათა ჟიულის მისთვის აღარ დაერეკა. რატომ ურეკავდა, ასეთ მედროვესა და გამყიდველს, ჟიული შარტავას შევარდნაძესთან რა დარჩენოდა და მოღალატეს რატომ ენდო?**

— **ჟიული შევარდნაძეს კი არ ენდო, ჟიული აფხაზეთში გაგზავნეს!** რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ პასუხობდა შევარდნაძე ჟიულის სატელეფონო ზარებს, არ უნდოდა და არ პასუხობდა! დავიწყოთ იმით, რომ შევარდნაძე და ჟიული მეგობრები არ ყოფილან! ჟიულის უპირველესი მეგობარი იყო აწ განსვენებული **რობერტ ღარიბაშვილი** — აკადემიკოს **სიმონ ხეჩინაშვილის სიძე.** სწორედ რობერტმა გაახმაურა ეს ფაქტი თავის წერილში — **„შეთქმულება თაობის წინააღმდეგ!“** — და დაწერა, რომ მოსკოვში გადასული ედუარდი ჟიულის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. **„ჟიული შარტავას ფონდი“**, რომელსაც **რობერტ ღარიბაშვილი** ხელმძღვანელობდა, სხვათაშორის, ჟიული შარტავას მკვლელობაზეც მუშაობდა და არ გამოვრიცხავ, რომ რობერტ ღარიბაშვილს სიკვდილში „დაეხმარნენ“... სხვათაშორის, რობერტ ღარიბაშვილმა მაშინ ძალიან მთხოვა, რომ მეც ჩავრთულიყავი ჟიულის მკვლელობის გამოძიებაში. სწორედ იმ პერიოდში ჟიულის მამამ **კალისტრატე შარტავამ** კატეგორიულად მოითხოვა, ჟიული შარტავას მკვლელობის შესახებ გამოძიების მასალებს გასცნობოდა. მან ამის თაობაზე **გაზეთ „უკვდავებისთვის“** მიცემულ ინტერვიუში განაცხადა...

**— რა ქნეს, მასალები აჩვენეს?**

— **კალისტრატე შარტავას** თავისი შვილის **ჟიული შარტავას** მკვლელობის შესახებ გამოძიების მასალები არ მისცეს! ამის გამო ჟიულის მშობლები — ბატონი კალისტრატე და ქალბატონი ფენია ძალიან ნერვიულობდნენ.

**საერთოდ, ჟიულის მკვლელობის გახსნა ძალიან ბევრ რამეს ახდის ფარდას.** თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ 1994 წლის 17 აგვისტოს **შოთა ნიშნიანიძემ** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა გამაოგნებელი ლექსი **„ტროას ცხენი“**, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა ასეთი რამ — „ეძღვნება საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ნათელ ხსოვნას!“ შოთას ამის გამო შევარდნაძისგან ძალიან მაგრად „მოხვდა“, რადგან მაშინ ჟიული შარტავას „ეროვნული გმირის“ წოდება მინიჭებული არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, **1993 წლის 4 ოქტომბერს შევარდნაძემ ჟიული შარტავა სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო 5 ოქტომბერს დაასაფლავა.** სხვათაშორის, ჟიულის დაკრძალვის დღეს შევარდნაძემ შარტავების ოჯახისგან გასვენებაში მისვლის ნებართვა ითხოვა!

**— როგორც ვიცი, ჟიულის დედამ შევარდნაძეს მიაძახა — შვილი შენ მომიკალიო!**

— ჰო, იყო ეგეთები... სხვათაშორის, **სოლიკო ხაბეიშვილის** დედაც ყვიროდა პანაშვიდებზე — **შევარდნაძემ შვილი მომიკლაო!** ჟიულის გამოსვენებისას მის უახლოეს მეგობარს, **გიორგი ყარყარაშვილის** ყოფილ სიმამრ **აპოლონ აბაშიძეს** ძმაკაცები იჭერდნენ და აჩუმებდნენ, რათა შევარდნაძისთვის რამე არ დაეძახა! ძალიან ცუდი სიტუაცია იყო... ახლაც ყურში ჩამესმის **ჯაბა იოსელიანის** სიტყვები, რომელიც მერე დაამახინჯეს და ბოლო ნაწილი მოჭრეს. ჯაბამ ჟიულის გამოსვენებისას თქვა — **ვურეკავ ჟიულის და ვეკითხები — როგორ ხართ? — უკვე მესამე სართულზე არიან, ისვრიან! — მპასუხობს მშვიდად. ბოდიშს გიხდით, ბატონო ჟიული, არ მეგონა, თუ ასეთი კაცი იყავით... არ ეგონათ და არ მეგონა!** აი, ეს ბოლო ფრაზა, რომელიც აშკარად შევარდნაძის გასაგონად იყო ნათქვამი, მერე გააქრეს...

## შევარდნაძეს არაერთხელ ვთხოვეთ, ჟიული შარტავასთვის დავით აღმაშენებლის ორდენი, ანდა ეროვნული გმირის წოდება მიენიჭებინა, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ შეისმინა.






ავთანდილ იოსელიანი



რუსლან აბაშიძე

ბედის ირონიით, 2004 წლის 26 აგვისტოს ჟიული შარტავას „ეროვნული გმირის“ წოდება სააკაშვილმა პირველს მიანიჭა, ხოლო იმავე 26 აგვისტოს, ოღონდ 2008 წელს, რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „დამოუკიდებლობა“ აღიარა!

წინა ინტერვიუში უკვე ვახსენეთ, რომ ჟიული შარტავას მკვლელობის შესახებ ყველაფერი მოიწერა ტამბოველმა თუ ხარკოველმა ეთნიკურად უკრაინელმა სამხედრომ, რომელიც ჟიულის დახვრეტას შეესწრო. ის პატრიარქს პატიებას სთხოვდა... პატრიარქმა ჟიულის ცოლი — ქალბატონი **ლია შარტავა** თავისთან დაიბარა და ეს წერილი წააკითხა. მაშინ ძალიან მოგვერიდა, პატრიარქისთვის ამ წერილის ქსეროასლი გვეთხოვა... როცა ეს წერილი მოგვიანებით მოვითხოვეთ, ვერსად ვიპოვეთ. პატრიარქის მდივანმა, ქალბატონმა **შორენა თეთრუაშვილმა** გვითხრა — წერილი ჩემი ხელით ჩავაბარე პრეზიდენტის კანცელარიაშიო!

**— პრეზიდენტი შევარდნაძე იყო?**

— დიახ, ცხადია! სხვათაშორის, უამრავი აფხაზი ჩამოდის ბათუმში, თბილისში და იცით, რა შემომითვალეს? — ჩვენ რომ გვცოდნოდა, 1991 წელს სოხუმში **ბინ ლადენი** იყო ჩამოსული, ყველაფერს გავაკეთებდით და ქართველები და აფხაზები ერთმანეთს არ დავუპირისპირდებოდითო! **ბინ ლადენის** ხსენებამ ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია აფხაზებს შორის... **გაიგოს ყველამ, რაც აფხაზეთში მოხდა, ეს არ იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.** ამის შესახებ წერს **სვეტლანა ჩერვონნაია,** რომელმაც 1988-1992 წლებში აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ „ბრალდების მოწმობა“ გამოაქვეყნა და დაწერა — ამ ომის გააზრება საქართველოს ისტორიის გარეშე წარმოუდგენელიაო! **თემურ იაკობაშვილი** 1990 წელს „ახალგაზრდა მასონთა“ თავმჯდომარედ რომ აირჩიეს და მერე, სააკაშვილის დროს, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დანიშნეს, აი, აქ უნდა ვეძებოთ უბედურება! უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში აფხაზეთში რუსული და სომხური მოსახლეობა სამოცდაათჯერ გაიზარდა, ხოლო ქართული — სამნახევარჯერ! **1988 წლამდე აფხაზები მთელ საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე იყვნენ ყოველ ათი ათას კაცზე მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნების რაოდენობით. ვამზადებ ძალიან სერიოზულ მასალას და თუ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ამ მასალებს გაეცნობა, საქართველოსთვის ძალიან კარგი იქნება!** ხოლო, თუ რას აკეთებს დღევანდელი აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება და რა ხდება **რუსლან აბაშიძის** უწყებაში, ამის შესახებ უახლოეს მომავალში წვრილად მოგახსენებთ.

**ცოტა ხნის წინათ ერთი დევნილი ქალბატონი გარდაიცვალა, რომელმაც აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების შესახებ უამრავი მასალა დატოვა — კარგიც და ცუდიც. საზოგადოებას სწორედ ამ მასალებს გავაცნობ!**



## *მაყვალა ბერიანიძე:*

## სხვათაშორის, სოლიკო ხაბეიშვილის დედაც ყვიროდა პანაშვიდებზე – შევარდნაძემ შვილი მომიკლაო!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

№51 (219) ★ 2023 წლის 4 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# საწოლი, რომელიც ქვეყანაზე ფართოა!

**აქ ეძინა მას!** ★

**ამ სურათზე სტალინი** არ ჩანს, მაგრამ **ამ სურათზე** ჩვენ ვხედავთ **სტალინს** მთელი თავისი **სიდიადით,** რასაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **უბრალოება,** გნებავთ, **ასკეტიზმი** ჰქვია!

**ეს იოსებ სტალინის საწოლია. ეს კი — მისი კარადა** — ორად ორი ან, შესაძლოა, ერთადერთი შინელისათვის, რომელიც **დრომ საგულდაგულოდ** გაცრიცა.

მაგრამ იმავე დრომ თუ დროებამ თუ ეპოქებმა **ვერ გაცრიცეს** სახელი დედამიწის უდიდესი ქვეყნის უდიადესი მბრძანებლისა, რომელიც **ამ ვიწრო საწოლზე** ეტეოდა! სწორედ იმიტომაც არ გახუნდა მისი სახელი, მისი სიტყვა, მისი გამარჯვება! **გამარჯვება, რომლის ხსენებაც აგრერიგად აშინებთ რუსეთის დღევანდელ მესვეურებს.** აშინებთ, რადგან ისინი ინერციით მობანცალებენ იმ ატომური ზესახელმწიფოდან, რომელიც ამ კაცმა თავის დროზე კავის რუსეთიდან აღაზევა და რომელიც დიადი აღმშენებლობისა და ტიტანური კოსმოსური ესტაფეტის კვალდაკვალ **საკუთარ თავთან და საკუთარ რესპუბლიკასთან მებრძოლ ტერიტორიად იქცა!**

**ეს ვიწრო საწოლი** სოჭის მახლობლად, სტალინის ყოფილ აგარაკზე დგას. **ეს მომცრო კარადაც** ბელადის ყოფილ საძილე ოთახში ითვლის ხალხისათვის **უძილო** და ფაშისტებისათვის **დაუძინებელი** მტრის — **იოსებ ჯუღაშვილის** არყოფნის უკვე შვიდ ათეულ წელიწადს.

არადა, როგორ ეტანებოდნენ და ეტანებიან შავიზღვისპირა მარგალიტებს **რუსეთის ძალგულოვანი მმართველნი,** რათა იქ, **რაც შეიძლება განიერი და ფართო საწოლები** დაიდგან! აგერ, სულ რაღაც, 40 წლის წინათ ბიჭვინთის სიახლოვეს, მიუსერაში, ტყლიპიანი **გორბაჩოვი** და მისი **რაის**-კანცლერი მეუღლეც აშენებდნენ ფეშენებელურ აგარაკს, უამრავჯერ გადაკეთებულს და მაინც მათ სიხარბეზე ვერმორგებულს.

**დღეს აღარც პრეტენზიებით დახუნძლული გორბაჩოვები ამძიმებენ მიწას და აღარც — მათი ანგლო-საქსური შევარდნები, აღარც — მავზოლეუმიდან სტალინის გამომტანნი და აღარც — ლეონიდეს მიტანებული გვამები...** დღეს სხვანი ცდილობენ, იყვნენ სტალინზე დიადნი, რისთვისაც ერთადერთი რამ არის საჭირო — **მისი სახელი დაივიწყონ, მისი ძეგლები გათელონ, სამამულო ომში მისი გამარჯვება დააკნინონ!**

ვაგლახ, მათგან დღემდე ვერავინ შეძლო, ეთქვა, რომ ფაშიზმი ამ კაცის უდიდესმა ძალისხმევამ დაამარცხა, ხოლო **იმავე ფაშიზმის რეანიმაცია მაშინ იწყება, როდესაც ფაშიზმზე გამარჯვების ტრიუმფატორებს ივიწყებენ.**

... და დგას გენერალისიმუსის **ვიწრო** საწოლი სოჭის მუზეუმად ქცეულ აგარაკზე, **როგორც დაშლილი ქვეყნის დაუშლელი სიმბოლო;** რაც მთავარია, იმაზე გაცილებით **ფართო,** ვიდრე ამ გულნამცეცა ნაძირალებს წარმოუდგენიათ!

***დავით ხუროშვილი***





## სვიმონ მასხარაშვილი:

# შევარდნაძის სახით საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა კრემლის ერთგული ფავორიტი და ფარისეველი, რომელიც კარიერის გულისთვის აბსოლუტურად ყველაფერს გაწირავდა და გაწირა კიდეც!



**„შევარდნაძის სიმამაცეს ზნეობა და ეროვნულობა არ ახლდა!“**

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ სპექტაკლების, სამთავრობო ცვლილებებისა თუ ინტრიგების შესახებ მოგვითხრობს, რომლებსაც საქართველოს ცეკას პირველი მდივნის სავარძელში მოკალათებული ედუარდ შევარდნაძე კრემლის გულის მოსაგებად არასოდეს ერიდებოდა:***

— **ლაზიშვილები,** რომლებიც, ფაქტობრივად, საარტელო საქმიანობას ეწეოდნენ და სტალინის დროს უცილობლად სოციალისტური შრომის გმირობისათვის იქნებოდნენ განწირული, შევარდნაძემ მხოლოდ იმიტომ გაწირა, რომ მოსკოვისთვის ყურმოჭრილი მონობა დაემტკიცებინა. არადა, ისინი არაფერს აშავებდნენ, გარდა იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკას წარმოუდგენელ გასაქანსა და მასშტაბებს სძენდნენ. კოლექტივი, ფაქტობრივად, სხვა არაფერი იყო, თუ არა სასოფლო არტელი... საქალაქო კოოპერატივიც არტელი იყო. მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიხაკო ორაგველიძეც** ნებადართული საბჭოთა მილიონერი გახლდათ, რომელსაც სამთავრობო „ზიმი“ კერძო საკუთრებაში ჰყავდა, ყოველმხრივ უზრუნველად ცხოვრობდა და, ამავდროულად, სოციალისტური შრომის გმირიც იყო. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: **მიუხედავად იმისა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვმა არტელები აკრძალა და სტალინის ბოლმით კოსიგინ-ბრეჟნევმა წარმოების ეს ფორმა არ აღადგინეს და ე.წ. ეკონომიკური რეფორმა გაატარეს, რომელსაც პირობითად ე.წ. „სამეურნეო ანგარიში“ ეწოდება, ლაზიშვილები ეკონომიკის ამ მოდელის წინაშეც კი უდანაშაულონი იყვნენ.** მაგრამ შევარდნაძემ ეს საქმე ისე შეფუთა, რომ საკავშირო ხელისუფლების უკეთური წარმომადგენლები — **რომან რუდენკო, იური ანდროპოვი და ნიკოლაი შჩოლოკოვი** ქართველებზე დაბოლმა და ლაზიშვილები გაანადგურა.

**— მაინც რა იყო ის ფაქტორი, რომლითაც შევარდნაძემ საქართველოს მოსახლეობა და, უპირველს ყოვლისა, ის ინტელიგენცია მოხიბლა, რომელსაც ლაზიშვილები მფარველობდნენ და ფუფუნებაში აცხოვრებდნენ?**

— თუ გვინდა, შევარდნაძის რეალური პორტრეტი შევქმნათ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ედუარდმა ქართველი ხალხი სიმამაცით „დააბა“! ის, რომ მან წარმოუდგენელი გავლენების მქონე ლაზიშვილები გაანადგურა, რომლებსაც **ვასილ მჟავანაძე და გიორგი გეგეშიძე** მფარველობდნენ, იყო ძალიან დიდი სიმამაცის გამოხატულება. ის, რომ შევარდნაძემ იომა, სასწორზე შეაგდო თავისი კარიერა და ლაზიშვილები მაინც მოინელა, გაგიკვირდებათ და, ქართველმა საზოგადოებამ შევარდნაძეს პოზიტივში ჩაუთვალა. მაგრამ შევარდნაძის უბედურება ის გახლდათ, რომ მის სიმამაცეს ზნეობა და ეროვნულობა არ ახლდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ, მაგალითად, **თემურ-ლენგი** უმამაცესი პიროვნება, მაგრამ აბსოლუტურად ამორალური ლიდერი და ნამდვილი სატანა იყო. რაც შეეხებ **ჩინგიზ-ხანს,** ის არც მამაცი ყოფილა და არც ზნეობრივი ფიგურა... მამაცი როგორ იქნებოდა, როცა 10-ათასკაციანი დაცვით დადიოდა?! მაგრამ ჩინგიზ-ხანი იყო უდიდესი მენეჯერი... მოკლედ, **შევარდნაძეს სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ ამის მიუხედავად, 1975 წლამდე ედუარდმა საქართველოს ხელისუფლებაში რადიკალური ცვლილებების გატარება ვერ გაბედა!** მაგრამ, როცა ეს ცვლილებები დაიწყო, იმთავითვე ცხადი გახდა, რომ შევარდნაძის სახით საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა კრემლის ერთგული ფავორიტი და ფარისეველი, რომელიც კარიერის გულისთვის აბსოლუტურად ყველაფერს გაწირავდა და გაწირა კიდეც!

**— მაინც რა ცვლილებები განახორციელა შევარდნაძემ 1975 წლიდან?**

— შევარდნაძემ, როგორც წინა ინტერვიუში მოგახსენეთ, **როინ მეტრეველი** მაშინვე გაანადგურა, ხოლო **შოთა ჭანუყვაძე** ძალიან დააქვეითა. ლავრენტი ბერიას უახლოესი მეგობრის, უნიჭიერესი **ვალერიან ბაქრაძის** შემდეგ, 1953 წლის შემოდგომიდან 1975 წლამდე, მთელი 22 წელი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ ბრწყინვალე მეურნე **გივი ჯავახიშვილი.** იგი იმდენად კარგი კაცი და მენეჯერი იყო, ხალხმა მას 1961 წელს მოსკოვში კომპარტიის 21-ე ყრილობაზე საქართველოს დელეგაციის სახელით განცხადების გაკეთება და მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოტანაზე თანხმობა აპატია. ხალხი ყველაფერს ხვდებოდა და დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილია, თუ როგორ „აჭკიდეს“ ამ განცხადების გაკეთება **გივი ჯავახიშვილს** და როგორ ყლაპავდა მთელი დღე ვასილ მჟავანაძე ყინულებს, რათა ანგინა დამართნოდა, ვერ ელაპარაკა და ამით ყრილობაზე სიტყვით ვერგამოსვლა გაემართლებინა. შევარდნაძემ **გივი ჯავახიშვილის** ნაცვლად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ჩააბარა **ზურაბ პატარიძეს,** რომელიც ჭიათურის ქალაქკომის მდივანი იყო. **პატარიძეში შევარდნაძე აშკარად შეცდა, რადგან იგი არ გახდა შევარდნაძისა და მოსკოვის მონა და ხალხმაც შეიყვარა...** სხვათაშორის, ზურაბ პატარიძის გარდა, შევარდნაძე **სოლიკო ხაბეიშვილში, გურამ ენუქიძესა და ჯუმბერ პატიაშვილშიც** შეცდა...

**— მოკლა თუ არა ზურაბ პატარიძე შევარდნაძემ?**

— როგორც პაპაჩემისგან ვიცი, **ზურაბ პატარიძეს** არანორმალურად უყვარდა სწრაფად სიარული და მძღოლს სულ ამას უყვიროდა — **„ჟმი ნა პედალ!“** სწორედ ამ სისწრაფეს ემსხვერპლა მისი სიცოცხლე, მაგრამ პატარიძე ხალხს იმდენად უყვარდა, მაშინაც და დღესაც, საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება, რომ შევარდნაძემ ზურაბ პატარიძე მოაკვლევინა. ხალხი ასე იმიტომ ფიქრობდა და ფიქრობს, რომ შევარდნაძემ იმთავითვე გამოამჟღავნა საშინელი შეუბრალებლობა და დაუნდობლობა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. პატარიძე კი ნამდვილად იყო შევარდნაძის ოპონენტი, რადგან ედუარდის მსგავსად, ის მოს-



გენადი კოლბინი და ზურაბ პატარიძე

**„ვასილ კოვანოვისგან განსხვავებით, გენადი კოლბინი არც ქართველებთან ქეიფობდა, არც სანადიროდ დადიოდა და არც ვინმესთან ძმაკაცობდა. ერთადერთი, ვისაც თვალებში უყურებდა, ეს იყო კრემლი და შევარდნაძე, რომელსაც ის მოსკოვში შუამავლობდა!“**





**„ზურაბ პატარიძის გარდა, შევარდნაძე სოლიკო ხაბეიშვილში, გურამ ენუქიძესა და ჯუმბერ პატიაშვილშიც შეცდა!“**



ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი და სოლიკო ხაბეიშვილი

# ისტორიკოსის თვალით



გივი ჯავახიშვილი, ვასილ მჟავანაძე და ვასილ კოვანოვი

კოვს არ ემონებოდა, რის გამოც ხალხს ძალიან უყვარდა. **გივი ჯავახიშვილის** შემდეგ ედუარდმა ასევე წირვა გამოუყვანა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, აკადემიკოს **გიორგი ძოწენიძეს,** რომელიც გახლდათ უნატიფესი, დახვეწილი და უაღრესად განათლებული, კეთილშობილი პიროვნება, რომელსაც ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების ელიტაში ეთაყვანებოდნენ. 1976 წელს ძოწენიძის ნაცვლად შევარდნაძემ მოიყვანა **პავლე გილაშვილი...** ეს კაცი სინამდვილეში **გელაშვილი** იყო და მოსკოვში პასპორტში შეცდომით **„გილაშვილი“** ჩაუწერეს... პავლე გილაშვილი გახლდათ შევარდნაძისა და მოსკოვის ყურმოჭრილი მონა, რომელიც 1989 წელს, 9 აპრილის შემდეგ გაათავისუფლეს. გათავისუფლების მიზეზი საქვეყნოდ ცნობილია — ქვემო ქართლში აზერბაიჯანელებსა და ქართველ მოსახლეობას შორის კონფლიქტი რომ დაიწყო, ქართველებმა გილაშვილს შესჩივლეს — ქართული ამათ არ იციან, ვერაფერს ვაგებინებთო! პავლე გილაშვილმა ქართველები „დააკვალიანა“ — **მაგათ თუ არ იციან ქართული, თქვენ ისწავლეთ აზერბაიჯანულიო!** აი, სწორედ ამას შეეწირა მისი კარიერა... შევარდნაძე რომ საქართველოს ცუდ მომავალს უმზადებდა, ეს ყველაზე უფრო მაშინ გამოჩნდა, როცა მან საქართველოს ცეკას მეორე მდივნის პოსტიდან **ვასილ კოვანოვი** მოიშორა და მის ნაცვლად **გენადი კოლბინი** დანიშნა.

**— ვასილ კოვანოვი ქართველების მოყვარული კაცი იყო?**

— **ვასილ კოვანოვი** ოფიციალურად კრემლის თვალ-ყურად ითვლებოდა, მაგრამ ქართველებთან ძმაკაცობდა. რაც შეეხება ულიანოვსკში დაბადებულ და სვერდლოვსკის ქალქკომის მეორე მდივან **გენადი კოლბინს,** ის უშუალოდ შევარდნაძის კაცი იყო. ცნობისათვის, სვერდლოვსკის ოლქი რუსეთის ფედერაციაში ყველაზე დიდი სამრეწველო ოლქი იყო. **კოლბინი** საქართველოსა და ქართველებისთვის ბოლომდე გაუცხოებულად დარჩა. **ვასილ კოვანოვისგან** განსხვავებით, **გენადი კოლბინი** არც ქართველებთან ქეიფობდა, არც სანადიროდ დადიოდა და არც ვინმესთან ძმაკაცობდა. ერთადერთი, ვისაც თვალებში უყურებდა, ეს იყო კრემლი და შევარდნაძე, რომელსაც ის მოსკოვში შუამავლობდა.

**— ერთი სიტყვით, შევარდნაძემ ხელისუფლებაში ზუსტად თავისნაირები მოიყვანა?**

— თუ **ზურაბ პატარიძე**ს სათვალავში არ ჩავთვლით, შევარდნაძემ ხელისუფლებაში მოიყვანა თავისი და მოსკოვის ყურმოჭრილი მონები! რაც შეეხებათ **ჯუმბერ პატიაშვილს, გურამ ენუქიძესა და სოლიკო ხაბეიშვილს,** რომლებმაც შევარდნაძეს იმედები აშკარად არ გაუმართლეს, რადგან ყურმოჭრილი მონები არ გახდნენ, მათი დანიშვნის საკითხს მხოლოდ შევარდნაძე ვერ წყვეტდა. ამიტომაც მოუვიდა ედუარდს „იაღლიში“...

**— კიდევ რით „დაება“ შევარდნაძემ ქართველი საზოგადოება?**

— სწორედ ამ პერიოდში, როცა შევარდნაძე თავისი ყურმოჭრილი მონების დაწინაურებით და თანამდებობებზე დანიშვნით იყო გართული, მოხდა ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რამაც შევარდნაძის მიმართ საზოგადოება დადებითად განაწყო. პირველი შემთხვევა უკავშირდება **1977 წლის 23 ივლისს,** როცა „დინამო“ თბილისი ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ეთამაშებოდა. მაშინ თბილისის „დინამო“ გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე იყო, ხოლო პირველ ადგილს კიევის „დინამო“ იკავებდა. ბალტიისპირელმა მსაჯმა **რიმუალდას იუშკამ,** რომელიც ვოროშილოვგრადელთა უხეშობას მთელი მატჩის განმავლობაში „ვერ ამჩნევდა“, თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, საჯარიმოში **რევაზ ჩელებაძის** წაქცევის გამო პენალტი არ მოგვცა და თამაში მაშინვე, ნაადრევად დაასრულა. თამაში 0:0 დამთავრდა, რასაც ხალხის საშინელი რეაქცია მოჰყვა და მაყურებელი მინდორზე გადავიდა. ხალხი მსაჯს დაედებდა... დიდი იყო საფრთხე, რომ თბილისში 1956 წლის 9 მარტის მოვლენები განმეორებულიყო. ხალხს დასაშოშმინებლად მიმართეს: **კოტე მახარაძემ, დავით ყიფიანმა...** ორჯერ გამოვიდა მეგაფონით **შევარდნაძეც,** მაგრამ მაყურებელი სტადიონს არ ტოვებდა. მაშინ ედუარდი პირდაპირ გადახტა სტადიონზე, დიდი ალაყაფის ჭიშკრისკენ წავიდა და ხალხიც თან გაიყოლა. ზაფხულის პაპანაქებაში ხალხი გზაში მალე დაიფანტა და საქართველო იმ დღეს დიდ უბედურებას გადაურჩა. შევარდნაძის ეს საქციელი ხალხმა მაშინ ძალიან პოზიტიურად მიიღო... არც უიმისობა იქნებოდა, რომ შევარდნაძის აგენტებს ხალხში ხმა დაეყარათ — **„ხალხო, შევარდნაძემ გადაგვარჩინა!“** — რაც საზოგადოებამ აიტაცა...

**— მეორე მომენტი რომელი იყო?**

— მეორე გახლდათ **1978 წლის 14 აპრილი...** მოგეხსენებათ, 1977 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. ამის შემდეგ განსახილველად და დასამტკიცებლად კრემლიდან ყველას გამოუგზავნეს მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციები, სადაც 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, სახელმწიფო ენის შესახებ არაფერი ეწერა. ამის გამო შევარდნაძემ თადარიგი წინასწარ დაიჭირა, უნივერსიტეტის პროფესურა შეკრიბა და გამოუცხადა — ასეთი და ასეთი ამბავია და თქვენ რას იტყვით? მოკლედ, შევარდნაძემ, იმისათვის, რათა „ქართული ენის მგმობელის“ სახელი არ შერქმეოდა, საქმეში ინტელიგენციაც გაიყვანა.

**— ინტელიგენციამ, როგორც წესი, შევარდნაძის წინაშე მანჭვა-გრეხა დაიწყო?**

— დიახ, ინტელიგენციის ნაწილმა მიიღო პეტიცია და გაუგზავნა კრემლს, სადაც მოითხოვა ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება. ამასობაში გამოვიდა სტუდენტ-ახალგაზრდობა, რომელიც **1978 წლის 14 აპრილს** უნივერსიტეტთან შეიკრიბა და დაიძრა მთავრობის სასახლისკენ. ეს იყო კარგად ორგანიზებული და წინასწარ მომზადებული აქცია... სწორედ იმ დღეს მიმდინარეობდა უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომა, რომელსაც კონსტიტუციის პროექტი უნდა მიეღო. მახსოვს, ტელევიზიით ქართულ ფილმს უჩვენებდნენ — **„კეთილი ადამიანები“...** შევარდნაძე ტელევიზიით გამოვიდა და თქვა — **მოსკოვთან მივაღწიე შეთანხმებას და კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად დარჩება ქართული, როგორც აქამდე იყოო!** ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა სპექტაკლს, მაგრამ ამან შევარდნაძეს მაშინ ძალიან დიდი ავტორიტეტი შესძინა, რადგან აღმოჩნდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთადერთი საქართველო იყო, რომლის კონსტიტუციაშიც ეწერა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა იყო ქართული. დანარჩენი თოთხმეტი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ეს მუხლი არ იყო... მოგეხსენებათ, 40-იან წლებში, როცა მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნები დაიწერა, მხოლოდ საქართველოსა და ესტონეთის ჰიმნებში არ ეწერა ფრაზა — **„დიდი რუსი ერი“...** ასევე საქართველოს საბჭოთა გერბზე ჯერ გამოსახული იყო შვიდქიმიანი ვარსკვლავი და მერე საბჭოთა სიმბოლიკა. 1983 წელს შევარდნაძემ კისერი წაიმტვრია, რადგან მოსკოვის გულის მოგების მიზნით, კიდევ ერთი სპექტაკლი დადგა...

„გივი ჯავახიშვილის შემდეგ ედუარდმა ასევე წირვა გამოუყვანა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძეს, რომელიც გახლდათ უნატიფესი, დახვეწილი და უაღრესად განათლებული, კეთილშობილი პიროვნება!“



პავლე გილაშვილი



გიორგი ძოწენიძე

„1976 წელს ძოწენიძის ნაცვლად შევარდნაძემ მოიყვანა პავლე გილაშვილი... ეს კაცი სინამდვილეში გელაშვილი იყო და მოსკოვში პასპორტში შეცდომით „გილაშვილი“ ჩაუწერეს!“

„ზურაბ პატარიძეს არანორმალურად უყვარდა სწრაფად სიარული და მძღოლს სულ ამას უყვიროდა - „ჭმი ნა პედალ!“

**— გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს გულისხმობთ?**

— დიახ!.. ცნობისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის 100 წლის იუბილე თვით რუსეთის იმპერიას არ აღუნიშნავს 1883 წელს. **შევარდნაძემ მოუფიქრებელი რამ მოიფიქრა, 1980 წელს მივიდა მარიკა ლორთქიფანიძესთან და ტყუილი უთხრა — სუსლოვი მაწვევა, რომ 1801 წლის 12 სექტემბერი, ანუ საქართველოს რუსეთთან შეერთების 180 წლისთავი 1981 წელს აღვნიშნოთ. ხომ არ ჯობს, 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი ვიზეიმოთ, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ტრაქტატი ანექსია მაინც არ იყო!**

**— კრემლიდან არავითარი მსგავსი მოთხოვნა არ ყოფილა?**

— არავითარი იუბილეს აღნიშვნის მოთხოვნა კრემლიდან არ ყოფილა! ეს ყველაფერი შევარდნაძემ მოიგონა, რათა კრემლს უკეთ შეძვრომოდა, ერთგულება კიდევ ერთხელ დაედასტურებინა და თან ქართველი საზოგადოების წინაშე თავი მოეწონებინა, რათა მასზე ეთქვათ — **ედუარდი რა მაგარი კაცია, ქართველები რა სირცხვილს აგვაცილა, როცა ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაუქმების 180 წლისთავის ზეიმი ჩაშალა! გეორგიევსკის ტრაქტატს არა უშავს, ჯანდაბას, იყოს!**

**— მარიკა ლორთქიფანიძემ შევარდნაძეს რა უთხრა?**

— **მარიკა ლორთქიფანიძემ** შევარდნაძეს პირდაპირ განუცხადა, რომ 1801 წლის საქართველოს ანექსიის იუბილეს აღნიშვნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა! — მეც სწორედ მასე ვფიქრობ და ამიტომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილე 1983 წელს აღვნიშნოთო, — მიუგო მარიკა ლორთქიფანიძეს შევარდნაძემ. ასე დაგეგმა და მოახვია საქართველოს თავს გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილე ედუარდმა, რომელმაც ეს ყველაფერი პატრიოტულ აქციად გაასაღა და **გიგა ლორთქიფანიძეს** 1983 წელს რვასერიიანი **„წიგნი ფიცისა“** გადააღებინა. თავიდან შევარდნაძის ეს მზაკვრობა ქართველმა საზოგადოებამ „ჭამა“, მაგრამ სწორედ 1982-1983 წლებში დაიწყო ეროვნულმა მოძრაობამ აზვირთება, რასაც მოჰყვა **„თვითმფრინავის ბიჭების“** საქმე და სრულიად უდანაშაულო მღვდლის, მამა **თეოდორე ჩიხლაძის** დახვრეტა. სწორედ აქ წაიმტვრია შევარდნაძემ კისერი, როცა მას მთელი საქართველო აგინებდა და წყევლიდა!

**— ყველა ამ უბედურებას შევარდნაძემ ზედ დაამატა როკის გვირაბიც, რომელიც 1975-1983 წლებში შენდებოდა და 1986 წელს გაიხსნა.**

— ცნობისათვის, როკის გვირაბის მშენებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ გენერალი **ირაკლი ჯორჯაძე** და საქართველოს „კაგებეს“ შეფი, გენერალ-პოლკოვნიკი **ალექსი ინაური,** რომლებსაც შევარდნაძემ არ მოუსმინა. სწორედ ეს გვირაბი გახდა ოსური სეპარატიზმის გაძლიერებისა და საქართველოს გაუბედურების წყარო. **მელვინეებისა და მანაშეროვების რეპრესიებიც** შევარდნაძემ ისევ და ისევ მოსკოვისთვის უკანალის ალოკვის მიზნით ჩაატარა, რის შესახებაც დეტალურად ვისაუბრებთ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## საინტერესოა, გეგმავდა თუ არა სტალინი ტერაქტს ჰიტლერის განადგურების მიზნით და, შესაბამისად, ჰქონდა თუ არა მსგავსი გეგმები საბჭოთა ბელადთან დაკავშირებით გერმანელ ფიურერს?

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, **სტალინი ჰიტლერის** ფიზიკურ ლიკვიდაციას არ თვლიდა აქციად, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებდა მტერზე გამარჯვებაში. და თუმცა, საბჭოთა დაზვერვა მსგავს ვარიანტებს მთელი ომის განმავლობაში ამუშავებდა, მათი ამოქმედების საბოლოო ბრძანება ბელადს არ გაუცია. **ჰიტლერზე** პირველი თავდასხმა ჯერ კიდევ **1942 წელს** მზადდებოდა, მოსკოვთან ბრძოლისთანავე. იმავე წელს, ფიურერის ჩასვლისათვის უკრაინის ქალაქ **ვინიცაში,** სადაც მისი საველე შტაბი იყო განლაგებული, დამუშავდა მისი ლიკვიდაციის მეორე გეგმა. **ჰიტლერი ვინიცაში 1942 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე** იმყოფებოდა, ტერაქტისთვის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ **სტალინს** მისი ნებართვა არ მიუცია. კიდევ ერთი გეგმა ფიურერის ბერლინში ლიკვიდაციას ითვალისწინებდა. ის საბჭოთა მზვერავ **მიკლაშევსკის** უნდა განეხორციელებინა, რომელიც გერმანიის დედაქალაქში ცნობილი მსახიობის **ოლგა ჩეხოვას** (წარმოშობით გერმანელი) დახმარებით იყო ლეგალიზებული. **ჩეხოვა НКВД**-ს აქტიური აგენტი გახლდათ, ფიურერის საყვარელთან **ევა ბრაუნთან** მეგობრობდა და ხშირად სტუმრობდა **ჰიტლერის** სახლში. მაგრამ **სტალინმა** თანხმობა არც ამაზე მისცა. ეს **1943 წელს** მოხდა. ჩეკისტებმა — უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილემ **მერკულოვმა** და სამმართველოს უფროსმა **სუდოპლატოვმა** მოახსენეს **სტალინს,** რომ აქცია სრულიად მომზადებულია და შეიძლება მისი განხორციელება. **სტალინმა** მოუსმინა და მოულოდნელად თქვა: **„ამის გაკეთება საჭირო არ არის“. „ორივე, მეც და მერკულოვიც ფრიად გავოცდით,** — იხსენებს სუდოპლატოვი, — **სტალინმა ეს შენიშნა და აგვიხსნა: „ჰიტლერი გერმანიის სრული განადგურებისთვის გვჭირდება. სანამ ის ცოცხალია, ლაპარაკიც არ შეიძლება დასავლეთთან გერმანიის სეპარატულ შეთანხმებაზე. დასავლეთი ამაზე არ წავა. სხვა საქმეა, თუ ჰიტლერი გაქრება. მაშინ გერმანიაში შესაძლებელი გახდება ხელისუფლებაში ნაკლებად ოდიოზური ფიგურის მისვლა, რომელთანაც დასავლეთის სახელმწიფოები მოლაპარაკებას შეძლებენ. ეს კი ჩვენ ხელს არ გვაძლევს, რადგან გერმანიის სრულ დამარცხებასთან ახლოს ვართ. ჰიტლერს ხელი არ ახლოთ.“**

მეტსაც გეტყვით, იმავე **სუდოპლატოვის** მოწმობით, **სტალინი** კმაყოფილებას არ ფარავდა, რომ **1944 წელს ჰიტლერის** წინააღმდეგ შეთქმულება ჩაიშალა. მან მაღალი შეფასება მისცა შეთქმულების მეთაურის — **პოლკოვნიკი კლაუს ფონ შტაუფენბერგის** სიმამაცეს, მაგრამ თქვა: **„ახლა ალარაფერი გველობება, რომ მხეცი თავისსავე ბუნაგში ჩავკლათ.“**

ახლა ომის წლებში **სტალინზე** თავდასხმის მცდელობაზე ვისაუბროთ. ჩვენთვის მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევაა ცნობილი. ტერაქტის შესასრულებლად გერმანელებმა ყოფილი საბჭოთა ოფიცერი, ასეულის მეთაური **პეტრე ტავრინი** შეარჩიეს, რომელიც მათთან ტყვედ ჩავარდა. **ტავრინს** აბვერის აგენტი, ვინმე **„ლიდა“** მიამაგრეს (ნამდვილი გვარი უცნობია). ორივემ საგანგებო მომზადება გაიარა, ისინი სათანადოდ აღჭურვეს და **1944 წლის სექტემბრის** დასაწყისში თვითმფრინავით **სმოლენსკის** რაიონში გადასხეს. **ტავრინი** საბუთების მიხედვით „СМЕРШ“-ის კონტრდაზვერვის **მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი** იყო. **„ლიდა“ — საგანგებო განყოფილების ლეიტენანტი. სმოლენსკიდან ტერორისტები მოსკოვში** უნდა ჩასულიყვნენ — **ტავრინი** ვითომ დაჭრის შემდეგ შვებულებით, **„ლიდა“** როგორც მისი ცოლი. იქ კი თავდაცვის სახალხო კომისარიატში მომუშავე გერმანელი აგენტის დახმარებით რომელიმე საზეიმო შეკრებაზე უნდა შეეღწიათ, სადაც **სტალინიც** იქნებოდა. **ტავრინს** მოწამლული ტყვიები უნდა ესროლა, რომლებიც ნებისმიერ ადგილას მოხვედრისას კლავდა. არსებობდა სათადარიგო ვარიანტიც — ყუმბარმტყორცნიდან **სტალინის** მანქანის დაცხრილვა მომცრო, მაგრამ მძლავრი ყუმბარებით.

მაგრამ **სმოლენსკში** გადასხდომისას გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. საბჭოთა მეზენიტეებმა თვითმფრინავს ცეცხლი დაუშინეს, ის დაზიანდა, **ტავრინი** და **„ლიდა“** ავარიის ადგილიდან მოტოციკლეტით მიიმალნენ. მაგრამ პირველივე სოფელში — **კარმანოვოში** ტერორისტები წითელარმიელთა პატრულმა დააკავა და ჯაშუშური მოწყობილობა აღმოუჩინა. **ტავრინმა** იქვე აღიარა ყველაფერი. **„ლიდამ“** კალიუმციანიდიანი ამპულის გაკვნეტა მოასწრო. პირველივე დაკითხვაზე **ტავრინმა** დაასახელა ამ აქციის ყველა მონაწილე, მათ შორის გერმანელი აგენტი თავდაცვის სახალხო კომისარიატიდან.

ასე დასრულდა **სტალინის** მკვლელობის მცდელობა.




## იაპონია გერმანიის მოკავშირე იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირთან ომში არ ჩაბმულა. ცნობილია, რომ ჰიტლერის თავდასხმის შემდეგ სტალინმა მოსკოვში იაპონიის ელჩი მიიღო და მასთან საიდუმლო საუბარი ჰქონდა. მაინც რა უთხრა ასეთი სტალინმა ელჩს, რომ იაპონიამ ომის დაწყება ვერ გაბედა?

მართალია, **იაპონიამ** მთელი ომის განმავლობაში **სსრკ-ის** წინააღმდეგ აგრესია ვერ გაბედა და ეს თავიდან ბოლომდე **სტალინის** დამსახურებაა, რომელიც არა მხოლოდ დიდი მხედართმთავარი, არამედ უბადლო დიპლომატიც იყო. გადამწყვეტი როლი მართლაც **სტალინის** შეხვედრამ შეასრულა, მაგრამ არა **იაპონიის ელჩთან,** არამედ საგარეო საქმეთა მინისტრთან **ესუკა მაცუოკასთან** (1880-1946), თანაც ეს შეხვედრა გერმანიის თავდასხმის მერე კი არა, **1941 წლის მაისში** შედგა. ბერლინიდან ტოკიოში მიმავალი მაცუოკა გზად მოსკოვში შეჩერდა, სადაც სტალინსა და მოლოტოვს შეხვდა. ამ მოლაპარაკების შინაარსზე თითქმის არაფერია ცნობილი, მაგრამ **მოლოტოვი მწერალ ფელიქს ჩუევთან** საუბრისას იხსენებდა, რომ **სტალინმა** იაპონელი მინისტრი უძვირფასესი სტუმარივით მიიღო, გამუდმებით მის გვერდით იყო, უმასპინძლდებოდა და „ისე ათრობდა, რომ იაპონელი ფეხზე ძლივსღა იდგა“. ყველა დიპლომატიური პროტოკოლის დარღვევით ბელადი პირადად წავიდა სადგურზე **მაცუოკას** გასაცილებლად და მატარებლის გასვლის მოლოდინში მხარზე ხელგადახვეული დაასეირნებდა ბაქანზე. ამ სეირნობის დროს **სტალინმა** იაპონელს თითქოს ასეთი რამ უთხრა: **„ჩვენ აზიელები ვართ და ერთმანეთს გავუგებთ. გერმანიის თავდასხმა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მთელი ძალის მობილიზება ვერ მოვახერხეთ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც უნდა წაგვივიდეს საქმე გერმანიის ფრონტზე, წითელ არმიას ეყოფა ძალა (თუ, რა თქმა უნდა, ომში ჩაებმებით), გაანადგუროს იაპონია და პირდაპირი მნიშვნელობით ოკეანეში ჩაძიროს ის.“**

ითქვა თუ არა ეს სიტყვები? — ალბათ, მაინც ითქვა, რამეთუ **იაპონია** ომში **სსრკ**-ისთვის ყველაზე ტრაგიკულ მომენტშიც კი არ ჩართულა, როდესაც **გერმანელები მოსკოვიდან** რამდენიმე კილომეტრში იმყოფებოდნენ, საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ფრონტი კი საგრძნობლად დასუსტდა დივიზიების დედაქალაქში გადასროლის შედეგად.

მოსკოვთან გამარჯვების და, განსაკუთრებით, სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ კი ეს საკითხი თავისთავად მოიხსნა.



## ჩემი თაობა გასული, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გამუდმებით ომის მოლოდინში ცხოვრობდა, იმის შიში, რომ „ცივი ომი“ ცხელ, მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდება. ამას მუდმივად გვიმტკიცებდა იმ წლების პრესაც. მტკიცდება თუ არა ეს დოკუმენტურად?



სამწუხაროდ, ამის საფუძველი არსებობდა. დასავლეთმა, რომელსაც ე. წ. **„სტალინური ექსპანსიის“** ეშინოდა და ხელთ ბირთვული იარაღი ჰქონდა, **1946 წლის გაზაფხულზევე** სასწრაფოდ დაიწყო **„თავდაცვის დოქტრინის“** დამუშავება. ამის სიგნალი გახდა **ჩერჩილის** ცნობილი სიტყვა ფულტონში (მისურის შტატი, აშშ), რომელშიც მან პირდაპირ განაცხადა, რომ **„ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ძმურ ასოციაციას წითელი საფრთხე ემუქრება“.** ბრიტანეთის ლიდერი მაშინ ინგლისურ-ამერიკული სამხედრო კავშირის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ამ საფრთხეს აღუდგებოდა წინ. **„პრავდის“** კორესპონდენტთან ინტერვიუში **სტალინმა** დასცინა **ჩერჩილის** ამ წინადადებას, თქვა, რომ **ჩერჩილი „ჰიტლერის რასობრივი თეორიის“** შეცვლას საკუთარი **„რასობრივი თეორიით“** აპირებს, რომლის თანახმად მხოლოდ ინგლისურენოვანმა ხალხებმა **„უნდა იბატონონ მსოფლიოს დანარჩენ ერებზე“.** თუმცა, აღნიშნა **სტალინმა, „ერებს 5 წლის განმავლობაში სისხლი იმისთვის არ უღვრიათ, რომ ჰიტლერელთა ბატონობა ჩერჩილთა ბატონობით შეეცვალათ“.** ამავე ინტერვიუში **სტალინმა ჩერჩილს, ტრუმენს** და მათ მოკავშირეებს **„ახალი ომის გამჩაღებლები“** უწოდა.

ჰქონდა თუ არა მას ამის თქმის საფუძველი? ვფიქრობ, ჰქონდა. ეს ჩვენთვის მხოლოდ ახლა ხდება ცხადი, ის კი, როგორც ჩანს, დაზვერვის ხაზით მაშინვე იყო ინფორმირებული, რომ იმავე **1946 წელს** აშშ-ში დამუშავდა საგანგებო მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო: **„... შეირჩეს დაახლოებით 20 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ატომური დაბომბვისთვის გამოსადეგი მიზანი სსრკ-ში და მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე...“** ხოლო ორი წლის შემდეგ (1948 წლის მარტი) პრეზიდენტისთვის განსახილველად წარდგენილ მეორე მემორანდუმში აღნიშნული იყო: **„საბჭოების ხელმძღვანელობით მსოფლიო კომუნიზმის ძალების განადგურებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აშშ-ის უსაფრთხოებისთვის. ამ მიზნის მიღწევა თავდაცვითი პოლიტიკით შეუძლებელია. შესაბამისად, აშშ-მა თავის თავზე უნდა აიღოს მსოფლიო კონტრშეტევის ორგანიზების ხელმძღვანელობა“.**

ამ პროგრამის განხორციელებისათვის, დაწყებული **1948 წლიდან,** აშშ-ში თანმიმდევრულად მუშავდებოდა **„საბჭოების ნეიტრალიზაციის“** გეგმები — **„ბროილერი“, „ბუშვეკერი“, „კრონკშაფტი“, „ჰაფმუნი“** და სხვ. მათ შორის ყველაზე სრული იყო **„დროპშოტის“** გეგმა (1950), რომელიც ითვალისწინებდა **„რუსეთის მსხვილ ქალაქებზე მოულოდნელ ატომურ დარტყმებს“,** რის შედეგადაც უნდა **„განადგურებულიყო ეკონომიკის 85 პროცენტი“,** ხოლო ამის შემდეგ **„ტერიტორიაზე 250 დივიზიის შეჭრას 7 400 თვითმფრინავისა და 750 სამხედრო ხომალდის მხარდაჭერით.“**

როგორც ხედავთ, **ჰიტლერის** ცნობილი გეგმა **„ბარბაროსა“** ჩერჩილ-ტრუმენის **„დროპშოტმა“** შეცვალა.

საბჭოთა კავშირის მზარდმა ბირთვულმა სიმძლავრემ ამ გეგმის განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა. მაშინ **„ომის გამჩაღებლებმა“ „მცოცავი ექსპანსიის“** და **„დოლარით შეტევის“** ახალი კონცეფციის გატარება დაიწყეს, რაშიც, როგორც ცნობილია, უდავო წარმატებას მიაღწიეს.


2023 წლის 4 სექტემბერი. №51 (219)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.



# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად




# სახლიდან არგასაშვებები

მაშ, თქვენ ხალხი ხართ?

კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა„ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**გერმანიაში არ გაუშვით!**

**უკრაინაში არ გაუშვით!**

**შვეიცარიაში არ უშვებთ!**

**პოლონეთში არ უშვებთ!**

**ბელგიის სამეფოში არ უშვებთ!**

**დანიის სამეფოში არ უშვებთ!**

**არაბთა გაერთიანებულ საემიროებში არ უშვებთ!**

**ბულგარეთში არ უშვებთ!**

**ჩეხეთში არ უშვებთ!**

**ისრაელში არ უშვებთ!**

**მა სადღა უშვებთ?** მარტო ლობიოს საჭმელად და საპირფარეშოში?

☺

**ეხლა რო მადამ პლეზიდანმა სასახლი კარი გამაიხუროს, გასაღები ტილოს ქვეშ არ დატოვოს და საერთოდ წავიდეს, ღირსები არ იქნებით?**

ჰა, ხო იქნებით ღირსები, ყველაფერზე ვეტო დაგიდოთ და კარიც გამაიხუროს?

**წასულიყო, ემოგზაურნა, თვალებითვინ წყალი დეელევინებინა, გული და გუნება გეეხარებინა, რაზე უთხარით უარი?**

**ჰა, რაზე უთხარით უარი, ფული მოუოუკეთ? იქნებ არც მოუოუკეთ და აღარ ენდობით?**

**ააააა... მიგიხვდით, სადაც ჩადის, ყველგან საქმეს აფუჭებს, ხო?**

**ხუმრობა იქით იყოს და... კარგად მოგიფიქრებიათ!**

**ზოგი თუ სახლში შესაშვები არ არი, ზოგი კიდე სახლიდან გასაშვები არ არი!**



☺

ისე, რაღა დაგიმალოთ და გონივრული ეჭვი მაქვს, **მადამ პლეზიდანი** ცხენს შემოახტება და რომელიმე სამეფოსკენ გაჰქუსლავს. რაო-რაო, უკვე გაქუსლა? თანაც გერმანიისკენ ჩვეულებრივი რეისითა? მერე თქვენ რასა დარდობთ, **ისემც უქნია — პოლიტიკური თავშესაფარი მოუთხოვია შოლცითვინა!**






# პლეზიდანის არამარკეტული გათვლა

თვით **მარკეტაც** შოკირებულია, **კუბილიუსიც** შოკირებულია, ფოტიგაც შოკირებულია, **კინზინბერიც** შოკირებულია... **მაკკეინიც** შოკირებულია...

განა რამდენ უსამართლობას უნდა გაუძლოს ამათმა ფაქიზმა გულმა და გრძნობებმა?

მალე სიმაღლისა და სიგანის მიხედვით გამოლაგდებიან და დაიწყებენ ჯაჯღანს იმ გარემოებაზედ, თუ როგორ უარყოფითად აისახება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე **მადამ პლეზიდანის იმპიჩმენტი...** როგორ დიდ საფრთხეს უქმნის მმართველი პარტიის გადაწყვეტილება ქართულ დემოკრატიასა და პლურალიზმს...

☺

ჩასვრილი ოპოზიცია რაღას იზამს?

მაგათ კიდე ხო მიეცემათ სალაპარაკო და საყბედო... სალომესაც უვაზელინოდ შეეტენებიან — რა ოსტატურად გაეპარე „ოცნებას" უცხოეთშიო. არადა, **მარკეტასა** და სხვა **მარკეტელოების** გასაგონად მინდა ვთქვა: პლეზიდანის **მარკეტული** გათვლა ის იქნებოდა, ჯერ „ვივამედის" დაჩამიჩებული ტუსაღი რომ შეეწყალებინა და ისე დათესილიყო!

# გასვით ან დასვით რამეზე!

მეც ვიცოდი და თქვენც იცოდით, რომ გაჭირვების ჟამს არ მიგვატოვებდა... რომ ჩვენი დედაქალაქის დარდსა და ვარამს გაითავისებდა, თბილისის წყალდიდობას **პირად კონტროლზე** აიყვანდა, სამომავლო გეგმასაც დასახავდა და იმედსაც ჩაგვისახავდა!

☺

ეგე, გამაიტანა თუ არა ვერდიქტი? დაარტყა თუ არა ,,სტოლზე" მუშტი?!

მა როგო გინდათ?

ამოვიდა ყელში, ამის ყურება უკვე წარმოუდგენელია, როდემდე და სადამდე? **აბა, მიშას დროს თბილისი იტბორებოდა? არა, მაშინ ამდენი წვიმა არც კი მოდიოდა... წვიმა საერთოდ არ მოდიოდა!**

12 წელია, ინერციით მიდის ქვეყანა, სუ კინწისკვრით უნდა გავყაროთ ესენი და მერე თვითონ მიხედავს სამშობლოს, დედულს, მამულს... არა, მარტო არ იქნება, იქით **ვანო მერაბიშვილი** იმუშავებს ისევ ხერხემლის თანამდებობაზე, აქეთ **კეზერა** მიხედავს სამხედრო საქმეებს, საღამოობით **მიშასთან** ავლენ ბიბლიოთეკაში და მიიღებენ სასარგებლო რჩევებს... ისტორიული პიროვნება რომ გირჩევს და ჭკუაზე დაგარიგებს, მაინც სხვა არი.

რა, **ჭიჭე ვაშაძე** ნაკლები ჯეელია?

რა, **პეტო ცისკარიშვილს** ნაკლები გამოცდილება აქ მიღებული პანკისში?

**კირკიტა? გოტკო? წითლანა? გივია?** რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს? რომელი ერთი დაასახელოს? თან ეშინია, ემანდ არავინ გამორჩეს!

☺

არა, მართლა ვიცოდი, განა არ ვიცოდი? **„დაუე" ისიც ვიცოდი, რომ მთელ ქალაქს გააკონტროლებდა, იატაკქვეშეთში გაფართოებულ კრებასაც მოიწვევდა.**

არა, ეგ უკვე ნაცმოძრაობის ჩარჩოებში ვეღარ ეტევა და უფრო **მაგარი** თანამდებობის ღირსია. ხოდა, **გასვით ან დასვით რამეზე,** სასარგებლოც რო იყოს მაგისათვის და სასიამოვნოც!

# ის მერი და ეს მერი!



**ის მერი** აეგრე ჩათლახობდა, ბიუჯეტიდან მოპარული ფულებით ქალებში დადიოდა!

თან ცოლი დაჰყავდა საზღვრებს გარეთ და დუნდულების კორექციას უკეთებდა!

ვირთხობდა, წაასწრეს, ციხეში მიაყუდეს და იმდენი ქნა, თავი **სალომე ბაბოს** შეაწყალებინა. მადამ პლეზიდანი მაგას მუქთად არ იზამდა, ფეხებზე არ ეკიდა? ტელევიზორში გამობობღდა და ორი თახსირი ჯერ პოლიტპატიმრად შერაცხა, მერე კიდე თავი იმართლა, მე პოლიტიკურ ამბიციებს საქართველოს ვერ გადავაყოლებო.

რა ამბიციები და რა პოლიტიკური, ქალო? **უგულავას** და **რურუას** გადაჰყვებოდა საქართველო?

**იმ ყოფილ მერს,** ბიუჯეტს რომ წოვდა წურბელასავით, კიდე დიდი ენა აქვს გადმოგდებული და ხანდახან გეშინია, თავისივე ენას ფეხი არ წამოკრას!



☺

**ეს მერი?**

**ამ მერს კი ხედავთ, რასაც აკეთებს და როგორც აკეთებს.**

**ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმას არ კადრულობს, რასაც ის კადრულობდა — სახელიც, ავტორიტეტიც და ქონებაც საკუთარი შრომით მოიპოვა.**

სწორედ ამიტომაც მოეკიდნენ მტრებად... **არადა, რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ, რაც გინდათ, ის დააბრალეთ, რაც გინდათ, ის მოუგონეთ, თბილისს ასეთი მერი არასდროს ჰყოლია და, ალბათ, არც მომავალში ეყოლება.**

ეგ არი, ვისაც არ გსიამოვნებთ, ცივი წყალი დალიეთ... თუ გინდათ, თბილი წყალი დალიეთ!

☺

**განა იმ მერისა და ამ მერის შედარება შეიძლება?**

**არ შეიძლება და არც ვადრი... უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა და ვთქვი!**

**არა, ერთი ნახეთ, როგორ მიგდებულა ბურვაკივით და როგორ უფრიალებენ ცხვირწინ დოლარებს...**



# კურკლუსკლანელი

ხან სად ამოჰყოფს თავსა, ხან სად. ეგე, ახლაც ამოგვხედა საკანალიზაციო ლუკიდან და თქვა:

**ჩვენს ქვეყანაში ინგრევა სახლები, გზები, ნადგურდება კურორტები, ზოგიერთს კი ჰგონია, რომ ყველაფერს სტიქიას დააბრალებენო...**

ჰმ... დახატა ვითომ **შავი სურათი შაგ-ნოდარასავით** — ინგრევა სახლები, ნადგურდება კურორტებიო, მომრავლდა ჭუჭყი და ტალახიო, ძონძიო, ტლაპოიო, წუნწუხიო, ნეხვიო... **ჰო, ჩაამუქა ნამეტნავად სიტუაცია და ეგრევე გააგორა საკუთარი კურკლი ორი თითით.**

ისე, რახანია, „ვივამედის" მედპერსონალიც შეწუხებულია — დღენიადაგ თავისი **კურკლით თამაშობს** და აქეთ-იქით ისვრისო.

რა გინდა, შვილო, მიდი, გვერდი იცვალე, გადაბრუნდი, დედულის მოტანილი მაწვნი სუპი ჭამე. **კურკლის სროლაში** „საბას" პრემიის ლაურეატ „უბორნიის მჯღაბნელებს" მაინც ვერ აჯობებ.

გაგრძელება მე-20 გვერდზე

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-19 გვერდზე

# უშუბლძარღვო თუ უძარღვშუბლო?



გოგა ონიანი

ამ ტიპზე მეცინება, **წინა ცხოვრებაში გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსის მოადგილე რომ იყო,** თავის უფლებამოსილებას რომ გადაამეტა, პატიოსან ხალხს ნარკოტიკებს რომ უდებდა, მოსამართლემ დარბაზშივე რომ დააპატიმრა, თითქმის 5 წელიწადი რომ მიუსაჯა, შემდეგ რომ გამოვიდა, **ახლა რომ თბილისის საკრებულოს წევრია „ნაცების" კვოტით** და დილა-საღამოს ამტკიცებს, „ქართული ოცნება" კანონებს არღვევსო.

**არ დაიჯერებთ, ეს ნარკოტიკების ჩამდები ტიპი უფლებადამცველობს კიდევაც!**

**აეგრე, „ჩაგრულთა" და ბედკრულთა უფლებებს იცავს „ქართული ოცნებისგან"!**

☺

ახლა ხვდებით, რატომ მეცინება?

ჰმ... გამეცინება, აბა, რა იქნება... როცა ინდაური ვექილობს, ბატი ფილოსოფოსობს, ჯორი ბალეტმაისტერობს, ვირი უფლებადამცველობს, სირაქლემა პოლიტიკოსობს, მგელი პატიოსნებაზე ლაპარაკობს, ჩუტრუკი ექსპერტობს და რავი, ქათამი კიდე ყარაჩოხლობს, **რა, თქვენ არ გაგეცინებათ?**

☺

**ამას წინებზე თვალი მოვკარი, ყოფილი პოლიცმაისტერი ვიღაც ქალთან ერთად პროკურატურაში მისულიყო, განცხადება მიეტანა, არიქა, „ქართული ოცნება" კანონებს არღვევს და სასწრაფოდ რეაგირება მოახდინეთო.**

აი, ამაზეა ნათქვამი, თუ შუბლის ძარღვი ერთხელ მაინც გაიწყვიტე, მერე ცხოვრება იოლიაო. აბა, თქვენ წარმოგიდგენიათ, ცხოვრება როგორი იოლი იქნება, როცა შუბლზე ძარღვი საერთოდ არ გაქვს?!

# ლაქიებიც აღარ ულაიქებენ!




ეხლა აღარ მოგწონთ მიშა, ხო?

**აბა, ერთი ისევ პრეზიდენტი იყოს, თუ არ დაულაიქებდით. იიიი... დაულაიქებდით კი არა, ფეხებსაც აულაიქებ-ჩაულაიქებდით.** აკი, ქვეყნიერება შეჰყარეთ — ოღონდ შენ ჩამო და მილიონობით **ლაიქი** ჩვენზე იყოსო.

☺

**კურკუმალ ვაითი** იძახდა — როგორც კი პარტიის „უმფროსი" გავხდები, ეგრევე შევვარდები „ვივამედში" და **სააკაშვილს დავულაიქებო.** მაგანაც გადააგდო, დაიკიდა!

**გია ბარამიძე** დღენიადაგ იჯდა ჭუტაანებში და მოუწოდებდა — **ჩა-მო, ჩა-მო, ჩამო, უნდა დაგილაიქოვო.** ჩემი ფეხები, ულაიქებს კი არა, იქით გამხედი აღარ არი!

**მარტო ემიგრანტები მილაიქებენო, მარტო ქვეყნიდან გასულებსღა ვაინტერესებო!**

☺

ტიპი ქვეყნის დახსნას აპირებს **ბიძინა ივანიშვილის** კლანჭებიდან და **ათიოდე ლაიქსაც ვეღარ აგროვებს, წარმოგიდგენიათ?**

სირცხვილი და თავის მოჭრა!

ცოლებმაც კი პირი იბრუნეს, მისაღები მიიღეს და ჩუსტებზეც არა ჰკიდიათ?!

ამ **გიულ-დედულის** კიდე **სალაიქოდ სადა სცალია? დღეში სამჯერ მიაქ „ვივამედში" სალათის ფურცლები, თითო ცალი კიტრი, ნახევარი „ბანკა" ბულიონი და გალურჯებული მჭადი.** იქიდან თავის უნივერსიტეტში გარბის, გოგო-ბიჭები ევროპიულ კულტურას უნდა აზიაროს.

☺

არა, მართლა რატომ აღარ ულაიქებთ, თქვე **ლაქიებო და მოლაქლაქენო?!**



# მივალ გურიაში? არა!

***ეს ფოტო პირველად რომ ვნახე, რა თქმა უნდა, როგორც ყველა ადეკვატურმა ადამიანმა, არ დავიჯერე და ფეიკი მეგონა! მაგრამ ნამდვილი აღმოჩნდა — ტელეკომპანია „გურია ტვ"-მ გადაიღო ადგილზე...***




მოკლედ, ამის შემხედვარე, ისეთ დღეში ვართ, რომ ვიტიროთ თუ ვიცინოთ, ვერ გაგვირკვევია! **არა, ეს რომ ჩვენს ბედკრულ სამშობლოში არ ხდებოდეს, იცოცხლეთ, გასკდებოდა სიცილით კაცი ჭაჭებზე, მაგრამ უბედურებაც ის გახლავთ, რომ ეს ჩვენს სამშობლოში — 21-ე საუკუნის საქართველოში ხდება!**

ფაქტია, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩარჭობილი ეს ორი ფირნიში სხვადასხვა დროს დაამონტაჟეს — აბა, ერთდროულად, თუნდაც ძალიან გონებაშეზღუდული ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მუშაკებიც კი ვერ მოახერხებდნენ ამას!

**მოკლედ, სააკაშვილის რეჟიმის დროს, მიყრუებულ სოფლებში, სადაც ორი დედაბრის მეტი არავინ ცხოვრობდა, საქანელები რომ დაამონტაჟეს, აი, ზუსტად იმ „ნაცოპერიდან" არის ეს „გურული არიაც"...**

გაგანია საბჭოთა დროს გენიალურ **მიხეილ ჟვანეცკის** ჰქონდა ასეთი იუმორისტულ-სატირული ნოველა:

ქალაქის აღმასკომმა გამწვანების სამუშაოებისათვის გამოყო სამი ბრიგადა: პირველს ორმოები უნდა ამოეთხარა, მეორეს ამ ორმოებში ნერგები უნდა ჩაეყარა, მესამეს კი ეს ორმოები უნდა ამოევსო!

ჰოდა, დილით გამოსულმა პირველმა და მესამე ბრიგადამ პირნათლად შეასრულეს თავისი საქმე — პირველმა ამოთხარა, მესამემ კი ორმოები ამოავსო! მაგრამ გამწვანება არ შედგა — მეორე ბრიგადა სამუშაოზე არ გამოვიდა...

**ნუთუ ასეთი „გაგანია კომუნიზმი" ბობოქრობს გურიაშიც?!**

შეიძლება კაცმა ისიც იფიქროს, რომ გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ბევრად წინდახედული და ბრძენი ხალხი მუშაობს და ეს ყველაფერი მტრისთვის თავგზის ასაბნევად მოიფიქრეს, მაგრამ **არც ოზურგეთია რაიხსტაგის ადგილსამყოფელი და არც ჩოხატაურშია სტრატეგიული საიდუმლო სამხედრო ბაზა და...**

და პრინციპში, არც მტრის თავდასხმას ველით ახლო მომავალში, რომ ასეთი თავგზაასაბნევი ტრიუკები ვატაროთ გურიაში!

არადა, გურულებს, რომლებიც რას-რას და ფანტაზიის ნაკლებობას არასოდეს უჩიოდნენ, უამისოდაც ეყოფოდათ შთაგონება წვეტიანი სხარტულების მოსაგონებლად!

თუმცა, მგონი, ტყუილად ვიმტვრევთ თავს — გურულებს აქვთ ძველი ხალხური სიმღერა, რომელშიც გეგონება, წინასწარმეტყველურად არის გაცემული პასუხი ყველა კითხვაზე!

დიახ, **„გურიაში მივალ, მარა"**-ს ვგულისხმობ, სწორედ! ამ სიმღერაში პირველივე სტრიქონებშივე წერია ყველაფერი:

**„მივალ გურიაში, მარა,**
**სულმა წინ-წინ გეიპარა,**
**მივდიე და არ დაბრუნდა და**
**არც მიიღო ქრთამად ფარა...".**

ანუ გურულებმა ათწლეულების წინ იწინასწარმეტყველეს, რომ „აქანა" ქრთამია გადახდილი და ფარად **(ფულად)** გაკეთებული! ოღონდ,

ამ ინფრასტრუქტურული აბსურდის ჰიმნს **„მივალ გურიაში, მარა"** კი არა, ამ არეულ-დარეული კილომეტრაჟის გამო უკვე **„მივალ გურიაში?! არა!"** ჰქვია!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ანდრიაძე**
*საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი*



პატრიარქი **აბსოლუტურად საღ გონებაზეა,** ზუსტად ისეთია, როგორიც ჩვენს საზოგადოებას ახსოვს. თუმცა, **ფიზიკურად ცოტა დაუძლურებულია.** სულიერადაც ძალიან მხნედაა, რისი გამოხატულებაც არის ის, რომ **ყველა დიდ დღესასწაულს ტაძარში ატარებს.** ეს ბევრ ახალგაზრდასაც უჭირს.

„სარკე"

**ლადო კილასონია**
*20-წლამდელთა მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი*



დაპყრობილ ან დანგრეულ ქვეყანაში **ადამიანები საკუთარი მარცხის სიმწარეს, იმედგაცრუებას სპორტით ანელებენ** და რაც უფრო გუნდურია და კონტაქტური სპორტის სახეობა, მით უფრო მძლავრია ეს შეგრძნება, იმიტომ, რომ სულ ვუგებთ რუსეთს!

„კვირის პალიტრა"

**გიორგი გურგულია**
*მსახიობი*



მე ვეღარასდროს ვითამაშებ ორმოცი წლის კაცს. როცა ყველაზე მეტი პოტენციალი მქონდა, მაშინ ირგვლივ ყველაფერი მკვდარი იყო. **მერე მოვიდა სააკაშვილის პერიოდი, როცა მე მებრძოდნენ და ჩემი კინოებიც აკრძალული იყო.** აქ, როგორც **„ჩარეცხილი"**, აკრძალული ვიყავი.

„თბილისელები"

**ნატო დუმბაძე**
*ჟურნალისტი*



მინდა, **სიცოცხლე ისეთივე ენერგიულმა დავასრულო,** როგორიც ახლა ვარ. არ მინდა, მოვიხარო, ფეხები მტკიოდეს და ასე შემდეგ, მოკლედ რომ ვთქვათ, **მინდა, ამქვეყნიდან ჯანმრთელი წავიდე.** მე არასდროს მივდივარ ექიმთან, არც წამლებს ვსვამ.

„თბილისელები"

# გიჟნაცუები

## მიკირტუმ გასპარაჩი

ვა, სად აჸრილან, ბევრი დაიმალოთ, მაინც, ემე, უნდა პერემენაით ქნათ ვექსილმა. (იმღერის ღიმილით)

***წლების წინათ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ცნობილი წერილი — „ბაკუების შესახებ“, რომელიც გოკა, ანუ იმავე ბაკუ კოტეს ძე გაბაშვილს ავკაცობასა და ძაღლთაპირობაში ამხელდა! ეს წერილი, რომელიც გიჟნაცუებს ეძღვნება, სისხლხორცეულ კავშირშია წერილთან „ბაკუების შესახებ“...***

*ტერმინი **„გიჟნაცუა“**, რომლისგანაც წინამდებარე წერილის სათაური — **„გიჟნაცუები“** წარმოდგება, ნაწარმოებია **„გიჟვრაცუასგან“**, რომელსაც **გიორგი ერისთავის** საქვეყნოდ ცნობილ კომედია **„გაყრაში“** სომეხი ჩარჩი **მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი** უყაირათო, მუცელღმერთა, წინდაუხედავ და ძაღლებზე, ქეიფსა და ნადირობაზე გადაყოლილ ქართველებს უწოდებს!*

ტერმინი **„გიჟნაცუა“**, რომლისგანაც წინამდებარე წერილის სათაური — **„გიჟნაცუები“** წარმოდგება, ნაწარმოებია **„გიჟვრაცუასგან“**, რომელსაც **გიორგი ერისთავის** საქვეყნოდ ცნობილ კომედია **„გაყრაში“** სომეხი ჩარჩი **მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი** უყაირათო, მუცელღმერთა, წინდაუხედავ და ძაღლებზე, ქეიფსა და ნადირობაზე გადაყოლილ ქართველებს უწოდებს!

თუ **„გიჟვრაცუა“ „გიჟ ქართველს“** ნიშნავს, **„გიჟნაცუა“ გაგიჟებული ნაცის** აღმნიშვნელია, რომელსაც ეროვნება არ გააჩნია და მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის ცნობილი ბებია-ბაბუები — **ვიოლა ფონ გერინგი, ანა ფოტიგა, დავით არახამია თუ ჟიგიმანტას პავილიონისი** ისეთივე **გიჟნაცუები** არიან, როგორიც **ხატია დეკანოიძე, სოფო ჯაფარიძე, გიორგი ჩალაძე თუ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე.**

**გიჟნაცუები** რომ მართლაცდა გიჟები და სექტანტები არიან, ეს საბოლოოდ დამტკიცდა წინა კვირას, როცა საქართველოს მოსახლეობა უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდა. ამა წლის 24 აგვისტოს, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, **უკრაინელ დეზერტირებთან ერთად სწორედ გიჟნაცუები შეიკრიბნენ.** უკრაინელი დეზერტირებიც და მათი მოკავშირე ქართველი გიჟნაცუებიც ჰინკებივით დახტოდნენ და თან რუსულად გაჰყვიროდნენ — **„კტო ნე სკაჩეტ, ტოტ მოსკალ!“** („ვინც არ დახტის, რუსია!“)

ვაფრთხილებთ ყველას: **ეს მოხტუნავე უკრაინელი დეზერტირები, რომლებიც უკრაინიდან ომს იმისთვის გამოექცნენ, რათა ნაცსექტანტებთან ერთად თბილისში „მაიდანი“ მოაწყონ და საქართველო ომში ჩაითრიონ, სულ მალე იმ ბნელი და საშიში ძალის ავანგარდში აღმოჩნდებიან, რომელიც 2019 წლის 20-21 ივნისისა და 2023 წლის 7-8 მარტის ღამეს ხელისუფლების დამხობას, პოლიციელების ცოცხლად დაწვასა და პარლამენტის შენობის გადაბუგვას** ცდილობდა. მართალია,

### ჩვენი ამერიკელი „დაუძინებელი მეგობრები“ იმედგაცუებულები არიან,

რომ სააკაშვილისგან „ვივამედის“ კლინიკაში **„ძღ...ბურთით“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* მოთამაშე სექსოტის გარდა სხვა ვერაფერი გამოჩორკნეს, მაგრამ ის **„გაცუებული“** იმედიც კი ყველაზე გვიან კვდება და ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, სადამდე მიუშვებს ხელისუფლება **უკრაინელ დეზერტირებსა და გიჟნაცუებს,** რომლებიც საქართველოს მოსახლეობისთვის წლევანდელი შემოდგომის ჩასამწარებლად ემზადებიან!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ხელისუფლებას ასი თვალისა და ყურის გამოჩენას ვურჩევთ და მოვუწოდებთ, რომ უკრაინელი დეზერტირები, რომელთათვისაც მოსახვედრი ტყვია ქართველ მებრძოლებსა და იმ ჯუმბერ სილაგავას მოხვდა, რომელიც დნეპროპეტროვსკში ცოლ-შვილის თვალწინ დახვრიტეს, სასწრაფოდ ქვეყნიდან გაყაროს!**

**არ შეიძლება,** საქართველოს უპირველეს გამზირზე საპროტესტო აქციებს უცხო ქვეყნის მოქალაქენი, უფრო სწორად **სამხედრო დეზერტირები** აწყობდნენ!

**არ შეიძლება,** ვიღაც ობგუნაჯუ საპრეზიდენტო არჩევნებში იმაზე მეტ ხმებს ღებულობდეს, ვიდრე **ჭიჭე ვაშაძემ** აიღო და ამის მიუხედავად ვაშაძე მაინც ოპოზიციის ავანგარდში ყელყელაობდეს!

**არ შეიძლება,** ვიღაც ბუხრიდან ჩამოვარდნილი შავი კაცი ტელევიზიით თითს გვიქნევდეს და გვეკითხებოდეს — რა „ფრითენზიები“ გაქვთ?

ბოცო, ანუ იგივე **ნუგზარ წიკლაური,** რომელიც **ევგენი პრიგოჟინს** ლექსებს უძღვნიდა, ტიპური **გიჟნაცუაა!**

**გიჟნაცუაა ჭიჭე ვაშაძეც,** რომელიც ევროპაში კედელს ელაპარაკებოდა, ხოლო საქართველოში ჩამოსულმა სოციალურ ქსელში თავის თავს წერილი მისწერა — **ბატონო გიორგი, თუ შეგიძლიათ, ვარკეთილში გვესტუმრეთ, რათა ჩვენი გასაჭირის შესახებ გამცნოთო!**

**გიჟნაცუაა** პრეზიდენტრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც დაკრა ფეხი და, მთავრობის უარის მიუხედავად, ევროპაში გაფრინდა, რათა იქაურობა წაბილწოს და ცოცხზე გადამჯდარი **ქელი დებნანების** მიერ მომზადებულ სახელმწიფო გადატრიალებას პოლიტიკურად საფუძველი გაუმაგროს!

**გიჟნაცუაა ის ტრუსიკიანი ქალი, რომელიც ვაკეში, მრგვალ ბაღთან სააკაშვილის მხარდასაჭერი პლაკატით ხელში გერმანიიდან გამოგვეცხადა და განგვიცხადა — გიული ალასანია სექს-ბომბაა და მაგასთან სექსი ყველას უნდაო!**

გიჟნაცუაა **ირმა გორდელაძეც,** რომელიც დამბაჩებითა და ქამარ-ხანჯლით ხან ამერიკის საელჩოში მიიწვიეს, ხანაც ამერიკაში გაუშვეს და რახათლუხუმი გაალოკინეს, აქაოდა, ამ მთავრობას კარგად დასცხეო!

აღარაფერს ვამბობთ **გიჟნაცუა ირმა ნადირაშვილისა და ლელა ქებურიას** შესახებ, რომლებმაც ერთი ვერსიით, ამ რამდენიმე წლის წინათ, პარლამენტში **„ასდ“** მოასხეს, ხოლო მეორე ვერსიით ფარული სტრიპტიზით გამოიწვიეს მასობრივი გულყრა და სხდომათა დარბაზში დატრიალებული ყროლის მაღალი ხარისხი.

მოკლედ, საგონებელში ვართ და მაშინ, როცა რუსთაველი მკვდარია, ვერავისთვის შეგვიჩივლია და ვერსად გაგვირკვევია, საქართველოსთვის რომელი უფრო ნაკლები ბოროტებაა — **გაკუები თუ ნაცუები?**

**გიორგი ერისთავის** კომედია **„გაყრაში“ მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი** უკლებლივ ყველა გიჟვრაცუას თავის აბლაბუდაში ახვევს და ყველაფერს იმორჩილებს!

დიდი ეჭვი გვაქვს, რომ თანამედროვე **გიჟნაცუებიც** სწორედ **მიკირტუმების** ნებას არიან დაყოლილი და საქართველოს იმ ბნელეთისა და უბედურებისკენ ექაჩებიან, რომელიც 1991 წლის 2 სექტემბერს ე.წ. „კინოს სახლთან“ მაშინდელი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ მიერ მოწყობილი პროვოკაციით დაიწყო!

**ისე, სააკაშვილის ნაცუებიც და გაკუებიც არსად გაიშვან!**

***დიტო ჩუბინიძე***

ამ დიდ ბატონს მართებს ფული,
მე ხელში მყავს მისი სული,
ორი წელი მომატყუა,
რა კაცია გიჟ ვრაცუა!
მეორე ძმა ჰყავს ტუტუცი,

ასი იმანაც მივეცი!
კურტყელს იჭერს, ყვირის: უა, უა!
აი კიდევ გიჟ ვრაცუა.
ერთი ძმაც ყამს რუსეთუმე
ტანცი, მანცი, ლავ ხაღუმე,
ამე თავში არ აქვს ჭკუა,
ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!


1900 ქართული თეატრი 1900
კვირას 2 იანვარს
ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან
ქართული თეატრის 50 წლის არსებობის სახსოვრად
გაიმართება
საიუბილეო წარმოდგენა
წარმოდგენილ იქნება
I.
გაყრა
კომ. 4 მოქ. თხუზ. გ. ერისთავისა
მომქმედნი პირნი:
თავ. ანდუყაფარ დიდებულიძე, ქვრივი ბ. ყიფიანი
პავლე, ძმა მისი — — ბ. ქელიძე
ივანე, ძმა ანდუყაფარისა, რუსეთში გაზდილი ბ. შათირიშვილი
მაკრინე, ამისი ცოლი — — ქ. ჩერქეზიშვილისა
ნინო ამათი ქალი — — — ქ. ნებიერიძე
მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი, ვაჭარი ბ. აბაშიძე
თათელა, ამისი ცოლი — — ქ. გაბუნია-ცაგარელი
შუშანა ამათი ქალი — — — ქ. კავთელი
რამაზ, სეკრეტარი სუდისა — ბ. საფაროვი
ბარძიმ, ნათესავი დიდებულიძეთა — ბ. ჯაჯანაშვილი
ბარამ, მოურავი ანდუყაფარისა — ბ. ადამიძე
კომმისიონერი, ძმა თათელასი — ბ. ხოსროევი
გაბრიელ, მსახური ივანესი — — ბ. გედევანოვი
ყარდაშვერდი, გოგია ნინოსი — ქ. ტასო აბაშიძე
მედიატორები, სტუმრები, მსახურები და საზანდრები.
დასასრულ

## კვირგვინოსნები

**მაკა მახარაძე**
*ჟურნალისტი*



მე ვინ დამიჯერებს, თორემ **ყველა ემიგრანტს, სათითაოდ ვთხოვდი, დაბრუნდეს,** ჯობია, სამშობლოში, შენს მამა-პაპის კერაზე ცხოვრობდე, შეიძლება ნაკლები ფული გქონდეს, მაგრამ **შენს შვილებსა და ოჯახთან ერთად ყოფნას ვერანაირი ფული ვერ შეცვლის!**

„კვირის პალიტრა“

**თეკო ჩუბინიძე**
*მსახიობი*



**ხშირად პერსონაჟს მსახიობთან აიგივებენ.** მე მსახიობი ვარ და ხვალ შეიძლება, ძალიან დადებითი როლიც ვითამაშო... ერთ კლინიკაში ვიყავი მამასთან ერთად და მასზე ვზრუნავდი. არც მიფიქრია, რომ ვინმე მიცნობდა, მაგრამ **უცებ ქალბატონი მომიბრუნდა და მეუბნება, ვაიმე, არ ყოფილხარ ისეთი ცუდიო.**

„თბილისელები“

**მანანა კოზაკოვა**
*მსახიობი, ლევან წულაძის მეუღლე*



სულ ფორმაში ვარ, **ვცდილობ, ჩემს ქმართან არ შევრცხვე.** ცოლქმრობაში ყველაზე საჭირო **დათმობაა.** თითოეულმა კარგად უნდა განსაზღვროს, რისი **დათმობა** შეუძლია და რისი — არა.

„სარკე“

***25 აგვისტოს 145 წელი გავიდა იმ უდიდესი ისტორიული მოვლენიდან, როცა ბათუმში რუსთა და ქართველთა გაერთიანებული მხედრობა შევიდა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად საქართველოს ოსმალეთის მიერ მიტაცებული ისტორიული ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუბრუნდა.***

*სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველო ამ უდიდეს გამარჯვებას არ აღნიშნავს, რადგან **ამერიკული სპეცსამსახურების მიერ მოღორებულ და დაშანტაჟებულ ქართველებს, როგორც ოპოზიციაში, ისე ხელისუფლებაში, სიმართლის თქმის უფლება წართმეული აქვთ.** ახლა ისეთი დროა, როცა ქართველები რუსეთს მხოლოდ ანათემას უგზავნიან და გვამში უსაპნოდ უძვრებიან **ბაპრეზიდენტებულ მასხარას — ზელენსკის,** რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის გმირებს უსინდისოდ დასცინოდა. ჯერჯერობით ქართველ ბავშვებს არც იმას ასწავლიან, რომ **ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი, ასპინძა, ადიგენი, ნინოწმინდა და ძაღლთაპირი შევარდნაძის მიერ გაყიდული და ჩაბარებული სოხუმი** სწორედ რუსული ხიშტით დავიბრუნეთ, რადგან რუსეთის იმპერიის თურქეთის იმპერიაზე გამარჯვებას ობიექტურად მოჰყვა საქართველოსთვის დადებითი შედეგი — **სამასი წლის განმავლობაში ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ქართული მიწების დაბრუნება, რასაც საქართველო დამოუკიდებლად ვერასოდეს შეძლებდა!** მოკლედ, **1877 და 1878 წლები** საქართველოში ისეთივე ეიფორიით აღინიშნა, როგორც **1977 და 1978 წლები,** როცა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციები მიიღეს და ქართველობას ქართული ენა დასაცავი გაუხდა. საქართველოსთვის რუსეთის მამობილობა ტკბილი არ ყოფილა... იმ **1877-1878 წლების** ტრიუმფიც, როცა დაკარგული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დავიბრუნეთ, უამრავი შუქ-ჩრდილით არის სავსე. ის კი არა, **გრიგოლ ორბელიანი** დაბრუნებულ ტაო-კლარჯეთში რუსი მოხელეების ქცევით ერთხანს ისე გამწარდა, ვეღარ მოითმინა და აღმოხდა — ასეთ დაბრუნებას, სჯობდა, სულ არ დაგვებრუნებინაო! ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, **1877-1878 წლების** რუსეთის ტრიუმფმა ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს ახალი სიცოცხლე და აღმაფრენა შესძინა.*

***ისტორიკოსი და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ დიასამიძე მიიჩნევს, რომ 145 წლის წინათ, იმ შორეულ 1877-1878 წლებში, ქართველმა ხალხმა რუსეთის იმპერიის მიმართ ყოველგვარი სამართლიანი წყენა გულში ჩაიკლა, შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და სამხედრო-პოლიტიკური არჩევანი საქართველოს მომავლის სასარგებლოდ გააკეთა, რაც ჩვენი ორიენტირი და სახელმწიფოებრივი სტრატეგიის ქვაკუთხედი უნდა გახდეს:***



# ავთანდილ დიასამიძე:

## „1829 წლის 14 სექტემბერს რუსეთ-ოსმალეთს შორის ადრიანოპოლში დადებული ზავით რუსეთმა მიიერთა და ამ გზით დედასაქართველოს დაუბრუნდა ქალაქი ფოთი, სამცხისა და ჯავახეთის მხარეები, კერძოდ, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ადიგენი და ნინოწმინდა!“

# მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ თურქეთის ბატონობისგან გამოხსნილი და საქართველოსთვის დაბრუნებული ქართული ტერიტორიების ფართობი 21 485 კვადრატული კილომეტრი იყო!

— მე-16 საუკუნეში აგრესორმა ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომელსაც **ზემო ქართლს,** იგივე **მესხეთს,** იგივე **სამცხე-საათაბაგოს** უწოდებდნენ.

ოსმალთაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფართობი **58 815 კვადრატული კილომეტრი** იყო. აქედან მტრისგან დაპყრობილი მესხეთის ფართობი — **34 230 კვადრატულ კილომეტრს,** ხოლო ჭანეთ-ლაზეთისა **24 585 კვადრატულ კილომეტრს** შეადგენდა. მტრის მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოში შედიოდა შემდეგი ძირძველი ქართული მხარეები: **სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, თორთუმი, ისპირი, ტაო, კლარჯეთი, ნიგალი და ლაზეთი.**

1578 წლიდან ოსმალეთს ასევე დაპყრობილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ქალაქები — ფოთი და სოხუმი, რომელთა საერთო ფართობი **92 კვადრატულ კილომეტრს** შეადგენდა. ასე რომ, თურქეთს მე-16 საუკუნიდან მიტაცებული ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის **58 907 კვადრატული კილომეტრი,** რაც აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე დარჩენილი დღევანდელი საქართველოს ფართობს უტოლდება!

როგორც **კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე** ამბობდა, 300 წელიწადს გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა. მტრის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობიდანვე სისტემატურად ეწყობოდა ქართველი მოსახლეობის ანტიოსმალური გამოსვლები, თუმცა, მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოხდა ოსმალთა იმპერიისაგან ქართული ტერიტორიების გამოხსნა, თანაც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მეშვეობით!

**— რა ინტერესები ამოძრავებდა რუსეთს, როცა თურქეთს მიტაცებულ ქართულ მიწებს ხელიდან გლეჯდა, ქართველების სიყვარული?**

— ცხადია, სიყვარული აქ არაფერ შუაშია! **რუსეთი იყო და არის იმპერია და თურქეთს ეომებოდა მხოლოდ ერთადერთი მიზნით — გაეფართოებინა თავისი ტერიტორია!** გარდა ამისა, 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებული ხელშეკრულების **მეოთხე სეპარატიული, საიდუმლო მუხლით** რუსეთის იმპერია ვალდებულებას კისრულობდა, საქართველოსთვის დაებრუნებინა მტრისგან მიტაცებული ტერიტორიები, კერძოდ, **მესხეთ-ჯავახეთი, საინგილო** და სხვ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართველები რუსეთ-თურქეთის თითქმის ყველა ომში აქტიურად მონაწილეობდნენ. აი, მაგალითად, 1829 წლის 14 სექტემბერს რუსეთ-ოსმალეთს შორის **ადრიანოპოლში დადებული ზავით** რუსეთმა მიიერთა და ამ გზით დედასაქართველოს დაუბრუნდა **ქალაქი ფოთი, სამცხისა და ჯავახეთის მხარეები, კერძოდ, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ადიგენი და ნინოწმინდა.** საქართველოს ტერიტორიების დაბრუნების შანსი ისევ გაჩნდა 1877 წელს, როცა 12 აპრილს იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** ომი გამოუცხადა ოსმალეთს. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მასშტაბით რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ არაერთხელ ჰქონია ადგილი გამოსვლებსა და შეთქმულებას (1802, 1804, 1812, 1819-1820, 1832, 1841, 1856, 1865 წლები), ქართველი ხალხის ერთსულოვანი და სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომ **1877-1878 წლების** რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მედგრად ებრძოლათ რუსეთის მხარეს. ამ ომში ქართველთა უმთავრესი მიზანი იყო, ესარგებლათ მომენტით და რუს და ქართველ მებრძოლთა



***რუსეთ-ოსმალეთის ომი. ნიკოლაი დმიტრიევ-ორენბურგსკის ნახატი. 1885 წ.***

## კვირგვინოსნები



**გივი ჩხარტიშვილი**
*თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი*

**კოლექტიურ ოპოზიციასთან** ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე საუბარს აზრი არ აქვს, რადგან ისინი **ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეუშალონ ქვეყნის განვითარებას.** ადამიანებთან, რომლებიც **მოღალატეობრივ ქმედებებში არიან მხილებულნი,** ქალაქის განვითარებაზე საუბარი რთულია. ისინი ლობიზმში იმ მილიონებს იხდიან, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოჰპარეს. **ეს თანხები 2008 წლის ომიდან არის წაღებული.**

„იმედინიუსი“



**რევაზ სოხაძე**
*თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე*

თუ ჩვენი ოპონენტები **ქალაქის რეკრეაციაზე** მართლაც ზრუნავენ, დაარწმუნონ **ბატონი ოქრიაშვილი,** რომ კომპენსაციის გადახდის შემდეგ, **დიღმის ტყე-პარკში ტერიტორია ქალაქს დაუბრუნოს.**

„იმედინიუსი“



**ზურაბ აბაშიძე**
*საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*

ჩვენი სხვა ოპონენტები, რომლებიც წარმოდგენილები არიან საკრებულოში, **აწყობენ იაფფასიან სპექტაკლებს და ამბობენ, ნაციონალურ მოძრაობასთან ნუ გვაიგივებთო.** მინდა, მათ მივმართო, ეს ნუ გაგიკვირდებათ იმიტომ, რომ **ხელწერა ერთი გაქვთ, მესიჯბოქსი, განწყობები ერთი გაქვთ** და საზოგადოებას ნუღარ მოსთხოვთ პასუხს, თუ რატომ არ გაძლევენ ხმას. საზოგადოება თქვენში ალტერნატივას ვერ ხედავს. **ალტერნატივა არის ომი, ნაციონალური მოძრაობა და ხალხი ამას არ მიიღებს, იმიტომ, რომ სწორედ თქვენ ერთხელ უკვე დაანგრიეთ ეს ქვეყანა** და მეორედ ამის საშუალებას არ მოგცემთ.

„ინტერპრესნიუსი“



**ავთანდილ ცინცაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*

**ოპოზიციის წარმომადგენლები** დღესაც სასამართლოებში ჩივიან და **პარკებსა და სკვერებში მშენებლობის ნებართვის გაცემას მოითხოვენ.**

„ინტერპრესნიუსი“



**გრიგოლ გურიელი 1812-1891**



**შერიფ ხიმშიაშვილი 1829-1892**

# „1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მხარეს ორმოცამდე ქართველი გენერალი და 30 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი იბრძოდა!“

ერთობლივი ძალისხმევით გაეთავისუფლებინათ ოსმალეთის მიერ მე-16 საუკუნეში მიტაცებული ძირძველი ქართული მხარეები. ასეთ პოზიციაზე იდგა იმდროინდელი მთელი ქართული ინტელიგენცია, თავადაზნაურობა და გლეხობა, რომელთაც მაღალი პოლიტიკური სიმწიფე და აღნიშნულ ომში დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. **ილია ჭავჭავაძემ,** ომი დაიწყო თუ არა, 1877 წლის 28 აპრილის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით პირდაპირ მიმართა ქართველობას — **თუ ჩვენს დაკარგულ ძმებთან შესაერთებლად სიხარულის ცრემლს ჩვენი სისხლის დაღვრა უნდა უსწრებდეს, დაე, ასე იყოს, ქართველი არ შედრკება!**

**— რა ძალებით ჩაერთო საქართველო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში?**

— **1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში** რუსეთის მხარეს 40-მდე ქართველი გენერალი და 30 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი იბრძოდა! ზოგიერთი ქართული ოჯახიდან მამა, შვილი და შვილიშვილი იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ქართველები ამ ომში მონაწილეობდნენ არამარტო მილიციის სახალხო რაზმებით, ანუ ლაშქრით, არამედ მრავალი ქართველი სამხედრო პირი ხელმძღვანელობდა არაერთ რეგულარულ შენაერთებს. ჩვენი სამშობლო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად და ომში ამა თუ იმ სახით მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა.

რუსეთ-ოსმალეთის **1877-1878 წლების ომში** გმირული ბრძოლებით განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ქართველმა გენერალმა **იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილმა.** 1877 წლის მაისში თურქებმა გუდაუთასთან დესანტი გადმოსხეს და სოხუმისკენ დაიძრნენ. რუსებმა **გენერალ ოკლობჟიოს** ხელმძღვანელობით უბრძოლველად დათმეს სოხუმი. მთელ შავიზღვისპირეთს ოჩამჩირიდან ადლერამდე თურქეთი დაეპატრონა, რაც რუსეთის საიმპერატორო კარის შეშფოთებას იწვევდა. ქართველი გენერლის **იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილის** სარდლობით აფხაზეთში დაუყოვნებლივ გაგზავნეს სამხედრო ძალა. 1877 წლის 13 ივნისს გურიის, იმერეთისა და ენგურის რაზმებით გენერალმა ალხაზიშვილმა ილორთან სასტიკად დაამარცხა თურქული დესანტი და 15 ივნისს ოჩამჩირესთან კიდევ ერთხელ დააჩოქა თურქები, რომლებიც უკანმოუხედავად გარბოდნენ.

20 აგვისტოს **გენერალმა ალხაზიშვილმა** ბრძოლით დაიკავა სოხუმი. 1877 წლის 2 სექტემბერს აფხაზეთი თურქეთისაგან მთლიანად გაიწმინდა და რუსეთის არმია არზრუმის მიმართულებით გადავიდა შეტევაზე. გენერალი ალხაზიშვილი ქუთაისის ქვეითი ასეულით ერთ-ერთი პირველი შეიჭრა რუსეთის არმიის მიერ გარემოცულ ქალაქ ყარსში, რომელიც სამკვირიანი ალყის შემდეგ 1877 წლის 6 ნოემბერს დაეცა. დაუვიწყარია გმირობა 16 ქართველი ლიხაურელი გლეხისა, რომლებიც 1877 წლის 23 ოქტომბერს 5 თვის მამაცური ბრძოლის შემდეგ ბათუმის მიმართულებით ურთულესი საბრძოლო დავალების შესრულების დროს დაიღუპნენ.

**რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების** ომის დროს ოსმალეთის მიერ მიტაცებული ძირძველი ქართული მხარეების — **აჭარის, შავშეთის, იმერხევის, კოლა-არტაანის, ტაოს, კლარჯეთის და ნიგალის** დედასაქართველოსთან დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში დიდი როლი შეასრულეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა **გრიგოლ გურიელმა და შერიფ ხიმშიაშვილმა.** აღნიშნული ომის დროს რუს-ქართველთა მხარეს

**„რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დროს ოსმალეთის მიერ მიტაცებული ძირძველი ქართული მხარეების — აჭარის, შავშეთის, იმერხევის, კოლა-არტაანის, ტაოს, კლარჯეთის და ნიგალის დედასაქართველოსთან დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში დიდი როლი შეასრულეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა გრიგოლ გურიელმა და შერიფ ხიმშიაშვილმა!“**

მედგრად დადგნენ ასევე შავშეთის ბეგი **ნური ხიმშიაშვილი,** ქობულეთელი **გულო კაიკაციშვილი** და სხვები, რომლებმაც თავიანთი ეროვნული მოქმედებით დიდად შეუწყვეს ხელი ქვეყნის გამთლიანებას.

**— საბოლოოდ საქართველომ თურქეთის მიერ მიტაცებული რომელი მიწები დაიბრუნა?**

— 1878 წლის 13 ივლისის **ბერლინის კონგრესით,** რომელმაც თურქეთთან დადებული 1878 წლის 19 მარტის **სან-სტეფანოს ზავის** ყველა პირობა გადასინჯა, საქართველოს დაუბრუნდა: **აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, ტაოს ჩრდილო ნაწილი, კლარჯეთი, ნიგალი და ჭანეთის მცირე ნაწილი. საბოლოო ჯამში, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლებისა და 1877-1878 წლების ომების შედეგად** რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემდეგი ტერიტორიები:

1. **ახალციხის მაზრა** — 2706 კვადრატული კილომეტრი;
2. **ახალქალაქის მაზრა** — 2793 კვადრატული კილომეტრი;
3. **ბათუმის ოლქი** — 3779 კვადრატული კილომეტრი;
4. **ართვინის ოლქი** — 3339 კვადრატული კილომეტრი;
5. **ოლთისის ოლქი** — 3051 კვადრატული კილომეტრი.

საერთო ჯამში ეს ტერიტორია შეადგენდა **21 393 კვადრატულ კილომეტრს.**

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად საქართველოს ასევე დაუბრუნდა ქალაქი ფოთი, რომლის ფართობი **65 კვადრატულ კილომეტრს** შეადგენდა, ხოლო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ოსმალეთის კლანჭებიდან გათავისუფლდა ქალაქი სოხუმი, რომლის ფართობი **27 კვადრატული კილომეტრი** იყო. სულ ამ ორი გათავისუფლებული ქალაქის ფართობი **92 კვადრატულ კილომეტრს** აღწევდა. ასე რომ, მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ თურქეთის ბატონობისაგან გამოხსნილი და საქართველოსთვის დაბრუნებული ქართული ტერიტორიების ფართობი **21 485 კვადრატული კილომეტრი** იყო!

**— რა ტერიტორია დარჩა ოკუპანტი თურქეთის მფლობელობაში?**

— სამწუხაროდ, ოსმალეთის მფლობელობაში კვლავ რჩებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკმაოდ დიდი მოცულობის ტერიტორია **37 422 კვადრატული კილომეტრი** მიწის ფართის მოცულობით.

**— როგორ აღნიშნა 1878 წლის ტრიუმფალური გამარჯვება საქართველომ?**

— ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით **დიმიტრი ყიფიანის, გრიგოლ ორბელიანის** და სხვათა ინიციატივით, თბილისში **1878 წლის 20 ნოემბერს** მოეწყო დედასაქართველოში დაბრუნებული ქართული მხარეების წარმომადგენლებთან მოწინავე ქართველი საზოგადოების შეხვედრა. ნადიმზე **გრიგოლ ორბელიანმა,** რომელსაც თამადობა მიანდეს, როგორც **სერგეი მესხი** აღნიშნავს, *„ჩინებული გრძნობით აღსავსე სიტყვა“ წარმოთქვა და აღნიშნა: „ერთი დედის შვილნი, შავი ბედისა გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულით!“*

ამავე ნადიმზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდნენ **აკაკი და ილია...** სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი **ჯუანშერ ვათეიშვილი,** როცა ამბობს — *„რუსეთის იმპერიამ მე-19 საუკუნის დამდეგიდან არამხოლოდ ხელი შეუწყო, არამედ განაპირობა პოლიტიკურად დანაწევრებული საქართველოს თავის ისტორიულ საზღვრებში მნიშვნელოვნად აღდგენა-გაერთიანება!“*

ასეთი იყო რუს და ქართველ მებრძოლთა ერთობლივი ბრძოლის შედეგი მე-19 საუკუნეში, რაც დასაფასებელი და გასათვალისწინებელია.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ბაქრაძე**
*ქალაქმგეგმარებელი, არქიტექტორი*



თბილისს **კორპუსებს შორის დაშორების** ყველაზე მაჩინჯი ნორმები აქვს. პოლიტიკური ნებაა, **რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს ინვესტორმა ან კერძო პირმა,** რომ ჰექტარზე მეტი შენობა დაეტიოს. საბურთალოს ბაზრის ადგილას შენდება **38-სართულიანი სახლი.** იქიდან 4 მეტრში, მეზობელ ნაკვეთზე, **ორი ოთხსართულიანი შენობა** დგას. რაღაც რომ მოხდეს, **38-სართულიანი იმ ოთხსართულიანებს გაჭყლეტს.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ფაჩულია**
*„თბილისელების ჭკუის“ ხელმძღვანელი*



თუ **მოქალაქეების თვითშეგნება** არ გაიზარდა, რომ **არ შეიძლება ქუჩაში ნარჩენები დავყაროთ,** საქალაქო სამსახურები ვერ გაჰყვება მათ უკან და ვერ დაუსუფთავებს დაბინძურებულ ადგილს.

„ინტერპრესნიუსი“

**ვაჟა ბერიძე**
*პოლიტოლოგი*



პოლიტიკა არ არის **კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი,** სადაც ყველა ზრდილად იქცევა, განათლებული და კულტურულია; **პოლიტიკა დაუნდობელი ბრძოლაა.**

„თბილისელები“

**გია მურღულია**
*ჟურნალისტი*



სჭირდება თუ არა **„ვეფხისტყაოსანს“** დაცვა? დიახ, სჭირდება. წარმოუდგენელი სიბეცეა, საჯაროდ აცხადებდე, რომ **„ვეფხისტყაოსანში“ ქალებს არ ამეფებენ ან ნესტანი ცუდი ადამიანია.**

„ახალი თაობა“




# ყველაფერი ფარული, მიძინებული და უსიმპტომო დაავადებების შესახებ

დასაწყისი იხ. „ა-დ" №38



**„ღვიძლის გაცხიმოვნება, რომელიც უსიმპტომოდ მიმდინარეობს, პირდაპირ კავშირშია ლიპთან!"**

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ფარული, მიძინებული და უსიმპტომო დაავადებების შესახებ საუბარს აგრძელებს და აცხადებს, რომ არაერთი ვერაგი სენი, რომელიც საბოლოოდ სიცოცხლისთვის საშიშ კიბოდ ყალიბდება ორგანიზმში 15-20 წლის განმავლობაში ყოველგვარი გამოვლინებისა და ტკივილის გარეშე მიმდინარეობს:***

— ფარული დაავადებების ჩამონათვალი იმაზე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. მსოფლიოს გამოწვევაა **C ჰეპატიტი,** რომლის ელიმინაცია, ანუ განადგურება, დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევით, საქართველოში უკვე მოხდა. ამ თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფომ ასტრონომიული თანხები დახარჯა და მოსახლეობის ის 15-20 პროცენტი, რომელშიც უაღრესად საშიში და მომაკვდინებელი ვირუსი ცირკულირებდა, ფაქტობრივად, უფასოდ განკურნა. არადა, ცნობილია, რომ C ჰეპატიტისგან განკურნების სრული კურსის ჩატარება 100 ათას ამერიკულ დოლარს აჭარბებს და აღნიშნული თანხის გადახდა თვით განვითარებული და დალხინებული სახელმწიფოების შეძლებულ მოსახლეობასაც კი უჭირს.

C ჰეპატიტის გამომწვევ ვირუსს „ჩუმ მკვლელსაც" უწოდებენ. **არანამკურნალები C ჰეპატიტი ყველა შემთხვევაში იწვევს ღვიძლის ციროზსა და კიბოს, რაც სიკვდილით მთავრდება.** ამ ვირუსის სივერაგე მის სტრუქტურაშია. მოგეხსენებათ, ნებისმიერი ვირუსის წინააღმდეგ ორგანიზმის იმუნური სისტემა აქტიურდება და გამომუშავდება ანტისხეულები, რომლებიც საშიშ ვირუსს მეტ-ნაკლებად ებრძვიან. C ჰეპატიტის შემთხვევაში მსგავსი რამ არ ხდება... პროცესები დაახლოებით ასე ვითარდება: ორგანიზმში შეიჭრება ვირუსის ერთი ვარიანტი და ორგანიზმი მის წინააღმდეგ საწყის ეტაპზე მართლაც გამოიმუშავებს ანტისხეულებს, მაგრამ C ჰეპატიტის ვირუსი მაშინვე განიცდის სახეცვლილებას, ანუ მუტაციას, რის გამოც ორგანიზმის იმუნური სისტემა მას ვერ აღმოაჩენს და ვირუსი უპრობლემოდ მრავლდება. ამიტომაა, რომ, B ჰეპატიტისგან განსხვავებით, რომლის თავიდან აცილება აცრის მეშვეობით შესაძლებელია, C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს. ამდენად, როგორც კი ადამიანს C ჰეპატიტის ვირუსი დაუდასტურდება, ის ღვიძლის ქრონიკული ანთებისთვისაა განწირული. თუმცა, არსებობს 10-15-პროცენტიანი ალბათობა, როცა ძლიერი იმუნიტეტის პირობებში, სისხლში C ჰეპატიტის ვირუსის მოხვედრის მიუხედავად, ორგანიზმი მას ამარცხებს.

**— ე.ი. C ჰეპატიტის პრევენცია შეუძლებელია და ვინც ამ საშიში სენისგან ერთხელ უკვე განიკურნა, ჰიპოთეტურად, შესაძლოა, კიდევ დასნეზოვნდეს?**

## კახა საბახტარიშვილი:

# ვინც C ჰეპატიტი დაამარცხა, ნუ იფიქრებს, რომ ღვიძლი ჯანმრთელი აქვს!



— დიახ, ეს ძალიან ადვილი შესაძლებელია, რადგან არ არსებობს ვაქცინა, რომელიც წინასწარ დაგვაზღვევს და C ჰეპატიტს თავიდან აგვაცილებს. ქრონიკული C ჰეპატიტი წლების განმავლობაში აბსოლუტურად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ადამიანს ერთი შეხედვით არაფერი აწუხებს. მოგვიანებით შესაძლოა, გამოვლინდეს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: დაღლილობა, შარდის გამუქება, საერთო სისუსტე, განავლის გაბაცება, სხეულის ტემპერატურის მომატება, დისკომფორტი მუცლის არეში და ა.შ. ასეთ დროს, ფაქტობრივად, ღვიძლის დაშლის პროცესია დაწყებული. როგორც კი C ჰეპატიტის ვირუსი ღვიძლის უჯრედებში, ანუ ჰეპატოციტებში შეიჭრება, ვითარდება ღვიძლის ანთება, რასაც თან სდევს ჰეპატოციტების კვდომა და მათ ადგილს ავსებს უხეში შემაერთებელი ქსოვილი, ანუ კოლაგენი. ეს ხდება იმისათვის, რათა ორგანიზმმა ანთების გავრცელებას ღვიძლის მთელ უბანზე ხელი შეუშალოს. ამ მოვლენას **ღვიძლის ფიბროზი** ეწოდება. ღვიძლის ფიბროზირებული უბნები არ ფუნქციონირებს. დროთა განმავლობაში ფიბროზის ხარისხი მატულობს და ყალიბდება ციროზი, რომელიც ღვიძლის კიბოსკენ მიმავალი უმოკლესი გზაა.

ვისაც C ჰეპატიტი აქვს, მის ორგანიზმში რკინის დონე, როგორც წესი, მაღალია. ამიტომ დამატებით რკინის მიღება ხელს უწყობს ღვიძლის ანთებას, ციროზის განვითარებას და C ჰეპატიტის ვირუსის გამრავლებას. ჩემი რჩევაა: C ჰეპატიტიანებმა უარი თქვან რკინით მდიდარი წითელი ხორცისა და საქონლის ღვიძლის მიღებაზე. ასევე, გვაქვს თუ არა C ჰეპატიტი, ყველამ შევიმოწმოთ სისხლში რკინის შემცველობა. გვახსოვდეს, რომ, როცა რკინის შემცველობა ორგანიზმში მაღალია, ღვიძლის ციროზის ან კიბოს განვითარების რისკი C ჰეპატიტის გარეშეც იზრდება. თუ საკვები დანამატის სახით ადამიანი **ლაქტოფერინს** მიიღებს, მაშინ C ჰეპატიტის ვირუსი რკინას გამრავლებისთვის ვერ გამოიყენებს. C ჰეპატიტზე არანაკლებ საშიშია არაალკოჰოლური ცხიმოვანი ღვიძლი...

**— ესეც უსიმპტომო დაავადებაა?**

— ცხადია! შესაძლოა, ადამიანს არც C და B ჰეპატიტი ჰქონდეს, ალკოჰოლს საერთოდ არ ეკარებოდეს, ჯანსაღი საკვებით იკვებებოდეს, მაგრამ ღვიძლის გაცხიმოვნება ჰქონდეს, რომელსაც ვერავინ გრძნობს. ეს იმდენად გავრცელებული დაავადებაა, თითქმის ყოველ მეოთხე ადამიანს აწუხებს. ამერიკაში ღვიძლის გაცხიმოვნება ყოველ მესამე ადამიანს უფიქსირდება. **ღვიძლის გაცხიმოვნება, რომელიც უსიმპტომოდ მიმდინარეობს, პირდაპირ კავშირშია ლიპთან. ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ ქოლესტერინის დონეს, არადა, ვისაც მაღალი სიმკვრივის, ანუ ე.წ. „კარგი" ქოლესტერინი დაბალი აქვს, ხოლო დაბალი სიმკვრივის, ანუ „ცუდი" ქოლესტერინი — ჭარბი, დიდი ალბათობით, ღვიძლი გაცხიმოვნებული აქვს.** ამავე საფრთხის წინაშე დგანან ადამიანები, რომლებსაც **მეორე ტიპის დიაბეტი** აქვთ.

საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ღვიძლის ციროზისა და კიბოს გამომწვევი ძირითადად არა C ჰეპატიტი და ღვიძლის სხვა დაავადებები, არამედ სწორედ არაალკოჰოლური ცხიმოვანი ჰეპატოზია. არაალკოჰოლური ცხიმოვანი ჰეპატოზი, ანუ ღვიძლის გაცხიმოვნება ღვიძლის ერთადერთი დაავადებაა, რომელიც ღვიძლის კიბოდ შესაძლოა, ციროზის განვითარების გარეშეც ჩამოყალიბდეს! საბედნიეროდ, თუ ღვიძლის არაალკოჰოლური გაცხიმოვნება დროულად იქნა აღმოჩენილი, ადრეულ ეტაპზე მისი სრულად განკურნება შესაძლებელია. ათეულობით პაციენტი მყოლია, რომლებსაც ღვიძლის გაცხიმოვნება ჰქონდათ, ღვიძლის ფუნქციური ანალიზები კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ უნიკალური ჰეპატოპროტექტორული მცენარის — **ბაყაყურას** საფუძველზე დამზადებული ჰომეოპათიური პრეპარატის „კარდუს მარიანუსის" საშუალებით სასწაული მომიხდენია და ღვიძლი სრულად აღმიდგენია.

ბევრი, ვინც C ჰეპატიტს დაამარცხებს, იწყებს ქეიფს და არ უფრთხილდება წონას, რადგან ჰგონია, რომ ღვიძლის ციროზისა და კიბოს საფრთხემ გადაიარა. სინამდვილეში C ჰეპატიტის ვირუსი მოისპო, მაგრამ ვირუსის მიერ დაზიანებული ღვიძლის უბნები ისევ სამკურნალოა. **ამიტომ ვინც C ჰეპატიტი დაამარცხა, ნუ იფიქრებს, რომ ღვიძლი ჯანმრთელი აქვს! ფარულად მიმდინარეობს პროსტატის კიბოც...**

**— სხვადასხვა დროს ჩვენ ამ საკითხზე ბევრი გვისაუბრია... ახალს რას გვეტყვით?**

— პროსტატის კიბო და პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნე, ანუ ადენომა საწყის სტადიაზე ერთმანეთს ძალიან ჰგავს და მათი განსხვავება თითქმის შეუძლებელია. **ორმოცი წლის ზემოთ ყველა მამაკაცმა, პროსტატის ჯირკვალი აწუხებს თუ არა და შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს თუ არა, პროსტატის სპეციფიკურ ანტიგენზე, ანუ „პსა"-ზე სისხლის ანალიზი უნდა ჩაიტაროს.** თუ „პსა"-ს მაჩვენებელი 4 ერთეულზე მეტი აღმოჩნდება, მაშინ პროსტატის კიბოს განვითარების რისკი მაღალია, თუმცა, ამერიკელები მიიჩნევენ, რომ „პსა"-ს მაჩვენებელი 2,5 ერთეულს არ უნდა აღემატებოდეს. თუ „პსა"-ს მაჩვენებლი საგანგაშოა, მაშინ აუცილებლად უნდა ჩატარდეს საშარდე გზების ექოსკოპიური გამოკვლევა.



**„მსხვილი ნაწლავის, მათ შორის, ბრმა ნაწლავის სიმსივნე შესაძლოა, 15-20 წლის განმავლობაშიც კი ფარულად, ყოველგვარი სიმპტომის გარეშე მიმდინარეობდეს!"**



# „ტუბერკულოზის ლატენტური, ანუ ფარული ფორმა გადამდები არ არის და ადამიანს არავითარი ჩივილები და სიმპტომები არ აღენიშნება!“

ორმოცდაათ წელს მიტანებულმა მამაკაცმა, თუნდაც საერთოდ არ ჰქონდეს ჩივილები, წელიწადში ერთხელ უროლოგს უნდა მიმართოს. ის თითით გასინჯავს პროსტატის ჯირკვალს. თუ ზედაპირი თანაბარი, სადაა და გლუვია, მაშინ სახეზე გვაქვს პროსტატის ადენომა, ხოლო თუ ჯირკვალი ხორკლიანია, მაშინ, დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს პროსტატის კიბოსთან. საბოლოო დიაგნოზი მაინც ბიოფსიით უნდა დადგინდეს... პრაქტიკაში მქონია შემთხვევები, როცა უროლოგის მიერ გასინჯული პროსტატის ჯირკვალი გლუვი იყო, ბიოფსიითაც საეჭვო არაფერი ჩანდა, მაგრამ „პსა“-ს მაჩვენებელი საგანგაშო ნიშნულს აღწევდა. ეს ის შემთხვევაა, როცა პროსტატის კიბო, პრაქტიკულად, დაწყებულია, მაგრამ ჯერ არ არის ხილული. ასეთ დროს ოფიციალური მედიცინა დალოდების რეჟიმშია გადასული, არადა, ჰომეოპათიურ მედიცინაში თითქმის სამასი წელია, არსებობს სიმსივნური ქსოვილისაგან ჰომეოპათიური წესით დამზადებული პრეპარატი **„კარცინოზინუმი“**, რომელიც პრინციპით — „მსგავსი იკურნება მსგავსით, ოღონდ უმცირესი დოზით!“ — ჩანასახშივე სპობს კიბოს განვითარების რისკს. ამ პრეპარატის გამოყენებით და გარკვეული წესების დაცვით „პსა“-ს მაღალი მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში დამიბრუნებია.

**ფარულ პათოლოგიაზე მიგვანიშნებს თუ განავალმა უეცრად მუქი ყავისფერი შეფერილობა მიიღო.** ადამიანს შესაძლოა, საერთოდ არაფერი აწუხებდეს, მაგრამ უეცრად იგრძნოს ძლიერი სისუსტე, სახეზე ფერი დაკარგოს, პულსი აუჩქარდეს და წნევა დაუვარდეს. ეს შესაძლოა, კუჭიდან მომდინარე **ფარული სისხლდენით** იყოს გამოწვეული.

**— ეს რა დროს ხდება?**

— ეს ხდება მაშინ, როცა წყლული კუჭში ან თორმეტგოჯა ნაწლავის კედლებში არსებულ სისხლძარღვებს აზიანებს. დაზიანებული სისხლძარღვებიდან წამოსულ სისხლში არსებული რკინა გზაში იჟანგება და ამიტომაც განავალი მუქ ყავისფერ შეფერილობას ღებულობს. ე.წ.

## „მუნჯი წყლულები“ განსაკუთრებით სახიფათოა, რომლებიც შესაძლოა, ადამიანს ჰქონდეს, მაგრამ არავითარ ტკივილსა და დისკომფორტს არ განიცდიდეს!

განავალმა შესაძლოა, მუქი ყავისფერი შეფერილობა ზოგიერთი წამლის, ბოსტნეულის, მაგალითად, ჭარხლის, ანდა წითელი ღვინის ზემოქმედებითაც მიიღოს... ამიტომ **ყველა შემთხვევაში, როცა ფარულ სისხლდენაზე ეჭვი გვაქვს, განავლის ანალიზი უნდა ჩატარდეს, რათა საშიში პათოლოგია არ გამოგვეპაროს!**

**— მსმენია, რომ ბრმა ნაწლავის კიბოც უსიმპტომოდ მიმდინარეობს!**

— ბრმა ნაწლავი მსხვილი ნაწლავების ჯგუფში შედის და მისი სიმსივნე მსხვილი ნაწლავების კიბოებს შორის **20 პროცენტს** იკავებს. **ბრმა ნაწლავის კიბო შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში სრულიად უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს და ადამიანს არაფერი აწუხებდეს.** თუ სიმსივნური მასა ისე გაიზარდა, რომ ნაწლავის სანათურში საკვების გადაადგილებას პრობლემები შეუქმნა, მხოლოდ მაშინ გრძნობს ადამიანი დისკომფორტს და მიმართავს ექიმს. არადა, ამ დროს სიმსივნე უკვე შორს არის წასული... იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, **40-50 წლის შემდეგ, წელიწადში ერთხელ, ყველა ადამიანმა უნდა ჩაიტაროს მსხვილი ნაწლავის გამოკვლევა, ანუ კოლონოსკოპია.** გვახსოვდეს, მსხვილი ნაწლავის, მათ შორის, ბრმა ნაწლავის სიმსივნე შესაძლოა, 15-20 წლის განმავლობაშიც კი ფარულად, ყოველგვარი სიმპტომის გარეშე მიმდინარეობდეს. ამ უსიმპტომობის მიზეზი ის არის, რომ მსხვილ ნაწლავში პრობლემები უმრავლეს შემთხვევაში პოლიპების გაჩენით იწყება, რომელიც პაციენტს არავითარ დისკომფორტს არ უქმნის და შესაძლოა, სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც აღმოაჩნდეს. **დროთა განმავლობაში მსხვილი ნაწლავის პოლიპი აუცილებლად გადაიზრდება სიმსივნეში... ამიტომ პოლიპი დროზე უნდა მოვიცილოთ!** ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს საქართველოში ტუბერკულოზი დამარცხდა, მაგრამ ეს საშიში დაავადება მაინც თავს გვახსენებს. ტუბერკულოზის გამომწვევ **კოხის ჩხირს** ადამიანის იმუნური სისტემა ხშირად ანადგურებს...

**— რა შემთხვევაში ვერ ანადგურებს იმუნიტეტი ტუბერკულოზის გამომწვევ ბაქტერიას?**

— თუ იმუნიტეტი სუსტია, მაშინ ორგანიზმი კოხის ჩხირს ვერ კლავს, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა იმუნიტეტი ამ საშიში ბაქტერიის გამრავლებას ხელს უშლის. სწორედ ეს არის **ტუბერკულოზის ლატენტური, ანუ ფარული ფორმა,** რომელიც გადამდები არ არის და ადამიანს არავითარი ჩივილები და სიმპტომები არ აღენიშნება, მაგრამ საკმარისია, აცივდეს, პაციენტმა სტრესი განიცადოს, ან ქიმიური მედიკამენტებით იმუნიტეტი დაიქვეითოს, რომ მიძინებული ტუბერკულოზის ჩხირები მყისვე გააქტიურდება. ამიტომაც **ყველა ადამიანმა პერიოდულად უნდა გაიკეთოს ტუბერკულოზის აღმოსაჩენი სინჯები და ორ წელიწადში ერთხელ ფლუოროგრაფია და ფილტვების რენტგენული გამოკვლევა ჩაიტაროს!**

დღეს თითქმის არ აკეთებენ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო „ბცჟ“-ეს ვაქცინას, არადა, კოვიდპანდემიის დროს გამოვლინდა, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც „ბცჟ“ ყველას ჰქონდა გაკეთებული, კოვიდპაციენტებში სიკვდილიანობის შემთხვევები ბევრად დაბალი იყო, ვიდრე იმ კონტინგენტში, ვისაც „ბცჟ“ გაკეთებული არ ჰქონდა. სხვათაშორის, ჩემთან საუბრისას იგივე დაადასტურა ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა მეცნიერმა და ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა **ზაზა ავალიანმა.** უფრო მეტიც, ბატონმა ზაზამ ისიც დაამატა, რომ შარდის ბუშტის კიბოს მკურნალობისას ერთ-ერთ ალტერნატიულ და ეფექტურ მეთოდად სწორედ **„ბცჟ“ ვაქცინა** გამოიყენება!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**„პროსტატის კიბო და პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნე, ანუ ადენომა, საწყის სტადიაზე ერთმანეთს ძალიან ჰგავს და მათი განსხვავება თითქმის შეუძლებელია!“**



















რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.***



დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-38




## გია ხუხაშვილი:

## ბიძინამ დავით უსუფაშვილისა და ირაკლი ალასანიას თანამდებობაზე დანიშვნით ხარკი გადაუხადა დასავლეთს!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში ასე იხსენებს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლას:

> ***„გავიმარჯვეთ... მოვედით ხელისუფლებაში...***
>
> ***პირველი ეიფორიის შემდეგ, დადგა ძალაუფლების გადმობარების საკმაოდ რთული და უამრავი პრობლემით დატვირთული პერიოდი.***
>
> ***ადამიანებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ, უბრალოდ, ბრძოლაში გადარჩენაზე ფიქრობდნენ, დაიწყეს ფარული თუ ღია ამბიციების გამოვლენა — ზოგჯერ ძალიან კომიკური, ზოგჯერ კი საკმაოდ გაქნილი კულისური თამაშები მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად.***
>
> ***ერთადერთი წესი, რაც ამ „უწესო თამაშების“ დროს მოქმედებდა, იყო ბიძინას კეთილგანწყობის მოპოვება და კონკურენტების „დამარხვა“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 203).*

და მემუარისტის, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ თავმდაბლური მტკიცებით, ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამ დიდი გამარჯვებით სარგებლობა და რბილ სავარძელში ჩაჯდომა არ სურდა, თავად იყო:

> ***„პრაქტიკულად, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ ყველაფრის მიღმა რჩებოდა, მე გახლდით, რადგან ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროცესის დაწყებამდე განვაცხადე, რომ არანაირ თანამდებობაზე არ მქონდა პრეტენზია, ამ პოლიტიკური ციკლის დასრულების შემდეგ დავტოვებდი კოალიციას და ჩემს საქმიანობას დავუბრუნდებოდი“*** *(იქვე, გვ. 203).*

**ხუხაშვილი** ნაწილობრივ მართალია, მას თავიდანვე არ ჰქონდა პრეტენზია არანაირ თანამდებობაზე, მაგრამ, ამავდროულად, მემუარისტი ცუღლუტობს კიდეც, რადგან **მას შესაძლოა, ბევრ თანამდებობაზე მეტიც ჰქონდა** — ბიძინა ივანიშვილის უახლოეს გარემოცვაში ყოფნა და შესაბამისი გავლენებიც, რომელზეც ბევრი მინისტრი ვერც იოცნებებდა!

**ხუხაშვილი** თავად ამბობს, რომ ბიძინასთვის მისი კარიერული მისწრაფებების არქონა ერთობ კომფორტულიც იყო:

> ***„ბიძინამ ეს კარგად იცოდა და სწორედ ამიტომ მისთვის განსაკუთრებით კომფორტული იყო ამა თუ იმ თანამდებობაზე საკადრო გადაწყვეტილებების ჩემთან ერთად განხილვა“*** *(იქვე, გვ. 204).*

ამის შემდეგ **ხუხაშვილი** იხსენებს, როგორი მოდელი შეარჩია სახელმწიფო მართვისათვის გაპრემიერებულმა ბიძინა ივანიშვილმა:

> ***„ბიძინას წარმოდგენით, მმართველობით სისტემას ისეთი სტრუქტურა უნდა ჰქონოდა, რომ ძალაუფლება მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ყოფილიყო კონცენტრირებული. ამასთან, ეს უნდა მომხდარიყო არა ინსტიტუციური, კონსტიტუციური მოდელის მიხედვით, რომელიც სისტემებს შორის ბალანსსა და ურთიერთკონტროლს გულისხმობდა, არამედ მისთვის სამართავად მოსახერხებელი გამარტივებული სქემით“*** *(იქვე, გვ. 206).*

ხუხაშვილი აქაც ცუღლუტობს, რადგან, **თუ ბიძინამ მემუარისტისთვის ასეთი არადემოკრატიული და მიუღებელი მმართველობის სისტემა შექმნა, ამ სისტემის ჩამოყალიბებაში თავად ხუხაშვილი რატომ მონაწილეობდა დიდი შთაგონებით?!**





ივანიშვილი ჯადოქარი ხომ არ იყო, რომ ასეთი მმართველობითი სისტემა ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით შეექმნა?! ეს ხომ ხანგრძლივი პროცესი გახლდათ, უამრავი გადაწყვეტილებებით, რომელთა მიღებაშიც თავად ხუხაშვილი აქტიურად მონაწილეობდა?!

მაგალითად, ხუხაშვილი იხსენებს, როგორ დაასუსტა ივანიშვილმა საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტის როლი:

> ***„თვითონ პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურაც ისე შეარჩია, რომ დეპუტატთა უმრავლესობას მასთან ჰქონოდა სისტემური, შეიძლება ითქვას, მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ამ ფიგურის გაძლიერებას.***
>
> ***პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აირჩიეს. მასზე არჩევანის შეჩერებას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჰქონდა სხვა „ხიბლიც“. ეს იყო გზავნილი კოლექტიური დასავლეთისთვის, რომ ბიძინა ფსონს ჩამოდიოდა პროდასავლურ პარტიებზე. იმავე მიზნით იქნა დანიშნული ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრად“*** *(იქვე, გვ. 207).*

არადა, ხუხაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პარლამენტის თავმჯდომარედ **დავით უსუფაშვილის** არჩევას ემხრობოდა! უსუფაშვილი იყო კოალიციის ერთ-ერთი დამფუძნებელი მთავარი პარტიის თავმჯდომარე და სხვა უკეთესი ვინ შეიძლებოდა პარლამენტის თავმჯდომარედ აერჩიათ?!

კოალიციის მეორე მთავარი დამფუძნებელი პარტიის — „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე **ირაკლი ალასანია** თავდაცვის მინისტრად დაინიშნა და მაშინ გამოდის, პარლამენტის თავმჯდომარედ რომელიმე ქოცნების ლიდერი უნდა დაესვათ! და როგორ აწიოკდებოდნენ ამაზე რესპუბლიკელები, მგონი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო...

მითუმეტეს, მემუარისტი თავად ამბობს, რომ **ირაკლი ალასანიას** თავდაცვის მინისტრად და **დავით უსუფაშვილის** პარლამენტის თავმჯდომარედ გამწესებით ბიძინამ ხარკი გადაუხადა დასავლეთსო:

> ***„ამ გადაწყვეტილებებით ბიძინამ ხარკი გადაუხადა დასავლეთს, რადგან ესმოდა, რომ ჩვენი პარტნიორები დიდ სურათს უყურებენ, არ შედიან დეტალებში და განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან საქართველოს გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებს ევრო და ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში ჩვენი ინტეგრაციის კუთხით. სწორედ, ამ თვალსაზრისით, მათი გაგებით, ეს ორი საკვანძო პოზიცია იყო“*** *(იქვე, გვ. 207).*

როგორც ხედავთ, **ხუხაშვილი** ისე გაერთო ბიძინა ივანიშვილის ანტიდემოკრატიული მმართველობითი სისტემის შექმნაში დადანაშაულებით, რომ მთელი დასავლეთი პოლიტიკურ ბეცად და პროფანად გამოაცხადა!

აბა, სხვა რა უნდა უწოდო იმას, რომ, თურმე, დასავლეთი პოლიტიკურ დეტალებში ვერ ერკვევა და მხოლოდ პროდასავლელი პოლიტიკოსების გარკვეულ თანამდებობაზე ხილვით იკმაყოფილებდა თავის ინტერესს, საქართველო პროდასავლური ორიენტაციის სახელმწიფოდ დარჩენილიყო.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

**„ეს იყო გზავნილი კოლექტიური დასავლეთისთვის, რომ ბიძინა ფსონს ჩამოდიოდა პროდასავლურ პარტიებზე!“**

— კოვიდპანდემია წარსულს ჩაბარდა, თუმცა, კლინიკები პაციენტებს ძველებურად აიძულებენ, ტესტირება ჩაიტარონ, იმის მიუხედავად, რომ მოქმედი კანონის ფარგლებში სავალდებულო აღარ არის. ეს პროცედურა ფულის კეთების მექანიზმად გადააქციეს! **— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელმა და ლიდერმა ზვიად ტომარაძემ:**

# ზვიად ტომარაძე:

# გააუქმდეს პისიარ ტესტირების მახინჯი პრაქტიკა და შეწყდეს მოსახლეობისგან ფულის გამოძალვა!



— მიუხედავად იმისა, რომ გასულ გაზაფხულზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონაპანდემია ოფიციალურად დასრულებულად გამოაცხადა და მკვლელი ვირუსის გავრცელების აღარანაირი რეალური საფრთხე აღარ არსებობს, **რიგ კლინიკებსა და საავადმყოფოებში დღემდე შემორჩენილია უსარგებლო პრაქტიკა და პაციენტებს ავალდებულებენ ფასიანი პისიარ ტესტის ჩატარებას.**

**— რას ნიშნავს ავალდებულებენ? რა ხდება, თუ პაციენტი ტესტირებაზე პრინციპულ უარს აცხადებს?**

— ტესტირებაზე უარის შემთხვევაში ასეთ პაციენტებს კლინიკები არ უშვებენ სამკურნალოდ, თუნდაც პაციენტი გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდეს. ეს ეწინააღმდეგება სამედიცინო ეთიკას, ჰიპოკრატეს ფიცს და ყოველგვარ მორალურ პრინციპს. არადა, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა **ზურაბ აზარაშვილმა** 21 აგვისტოს აღიარა, რომ მიმდინარე ინფექციები ჩვეულებრივი, სეზონური ვირუსებით არის განპირობებული.

**— მაშ, რაშია საქმე?**

— საქმე იმაშია, რომ ამ გზით კლინიკები და საავადმყოფოები პაციენტებისგან ფულის გამოძალვას ახდენენ! მაგალითად, ჩემს ახლობელს სულ ახლახან **მარდალეიშვილის კლინიკაში** ტესტის ჩატარების მიზნით 185 ლარი გამოართვეს! ეს არის ჩვეულებრივი თაღლითობა, რადგან ამ პისიარ ტესტებს არანაირი ფუნქცია არც ადრე ჰქონიათ, როცა ე. წ. პანდემია პიკში იყო და მითუფრო, ამჟამად არ გააჩნიათ. კოვიდპანდემიის დროს საქართველოს ბიუჯეტს ტესტების შესყიდვა დღეში მილიონ ლარამდე უჯდებოდა! თუმცა, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების, გერმანელი და ამერიკელი ექსპერტების არაერთი დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ პისიარ ტესტი ხშირ შემთხვევებში ჩვეულებრივ ვირუსს კორონავირუსისგან ვერ არჩევს. არადა, პანდემიის მთელი დინამიკა და გაცხადებული მასშტაბები სწორედ პისიარ ტესტით გამჟღავნებულ კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობას ეფუძნებოდა! საქართველოში ტესტის ჩატარება ძირითადად უფასო იყო, მაგრამ კლინიკების ნაწილი სამკურნალოდ მისულ პაციენტებს ამ სავალდებულო მანიპულაციაში ფულს მაინც ახდევინებდა. ტესტირების იძულების პრაქტიკა დღემდე შემორჩა, იმის მიუხედავად, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ „ერი და სახელმწიფო“ ოფიციალური მიმართვის საფუძველზე რეალურ შეღავათს მიაღწია.

**— რა მოიმოქმედა თქვენმა ორგანიზაციამ?**

— მიმდინარე წლის 18 აპრილს ჯანდაცვის სამინისტროს სავალდებულო ტესტირების გაუქმების მოთხოვნით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მივმართეთ. **ჩვენ გვიპასუხეს, რომ უსარგებლო და ყავლგასული სავალდებულო ტესტირების პრაქტიკა ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის 975-ე განკარგულების „კ“ პუნქტს.** ამგვარად, ჩვენი პროტესტი გადაგვამისამართებინეს მთავრობაში. ამის შემდეგ ამ „კ“ პუნქტის გაუქმების მოთხოვნით ჩვენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს **ირაკლი ღარიბაშვილს** მივმართეთ. იგი გულისხმიერად მოეკიდა ამ მოთხოვნას და ჩვენი წერილის პასუხად მიმდინარე წლის 29 მაისს მთავრობის სხდომაზე შეიტანეს ცვლილებები, თუმცა, აღნიშნული „კ“ პუნქტი არ გააუქმეს და მხოლოდ სათაურში სიტყვა **„სავალდებულო“** ჩანაცვლდა სიტყვით **„სარეკომენდაციო“,** თუმცა, ამ ცვლილებამ არსებული სურათი ვერ შეცვალა და პაციენტებს ისევ ავალდებულებენ ტესტირებას!

ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე კლინიკა, რომლის ხელმძღვანელობაც პატიოსანი აღმოჩნდა და ცვლილებას ემორჩილება.

**— ამ მდგომარეობამ რა პრობლემები შექმნა?**






— ჯერ ერთი, ის ტესტი უსარგებლოა, მეორეც, ამაში პაციენტები ფულს იხდიან; მესამე — ეს ყველაზე ცუდად აისახა შეჭირვებულ პაციენტებზე, რომლებიც მკურნალობის ხარჯებზე დამატებით, ფულს უკანონოდ და იძულებით იხდიან უსარგებლო, მაგრამ საკმაოდ ძვირადღირებულ ღონისძიებაში. მეოთხე — **ცხვირში ჩხირების შეყვანა, რა თქმა უნდა, არავის გვრის სიამოვნებას, მაგრამ ისეთი ადამიანების კატეგორიაც არსებობს, რომელთათვისაც ამის გაკეთება ტანჯვის ტოლფასია.**

დამატებით არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ცხვირში ჩხირების არასწორი შეყვანით პაციენტს სერიოზული პრობლემები ელოდება, **თუ პაციენტს ცხვირში ჩხირის შეყვანის მომენტში მედპერსონალის გამოუცდელობის ან მოუხერხებელი მანიპულაციის შედეგად დაუზიანდება ცხვირის ღრუს შესასვლელთან საკმაოდ ახლოს არსებული ტვინის დამცავი შრე — ჰემატო-ენცეფალური ბარიერი.**

ვიცი, რომ ნამდვილად ყოფილა ასეთი შემთხვევები. არამხოლოდ პაციენტებს, არამედ მათ მოსანახულებლად მისულ ახლობლებსაც აიძულებენ ტესტების ჩატარებას.

**— სახელმწიფო რომ ბიუჯეტის ხარჯზე ყიდულობს სატესტო ჩხირებს, გასაგებია. კლინიკებს უფასოდ ურიგებენ?**

— აშკარაა, რომ ტესტი კლინიკებში მნიშვნელოვანი ფასნამატით გამოიყენება, ვიდრე სახელმწიფოს მისი თვითღირებულება უჯდება. პანდემიის დროს ჩვეულებრივი ტესტი სახელმწიფოს — 7 დოლარად, ხოლო პისიარ ტესტი 18 დოლარად შემოჰქონდა. პაციენტს კი სამედიცინო ობიექტები ამ უკანასკნელს 70 ლარად სთავაზობდნენ. ამჟამად სხვადასხვა კლინიკაში პისიარ ტესტზე სხვადასხვა ფასია დაწესებული, თუმცა, თვითღირებულებასთან შედარებით, ფასნამატი ყველგან თვალში საცემია.

**— უკვე ახალ პანდემიებს გვიანონსებენ. ეს ხომ არ იქნება მოტივაცია, რათა პისიარ ტესტის ჩატარების ვალდებულება აღდგეს?**

— არ ვიცი, მომავალში რა მოხდება, მაგრამ საქართველოში ახალი პანდემიის აგორება გაუჭირდებათ, რაც შეეხება ტესტებს, კლინიკების მთავარი მოტივაცია გახლავთ პისიარ ტესტებით ფულის კეთება, რადგან ჯანმოს განცხადების საფუძველზე, კორონაპანდემია დასრულებულია და ამჟამად ტესტირების აუცილებლობა ისედაც არ არსებობს, თუნდაც ტესტირება საიმედო და უტყუარი მანიპულაცია იყოს!

**— იქნებ კლინიკებს პისიარ ტესტების შეძენას სახელმწიფო ავალდებულებს და ისინიც, თავის მხრივ, გადახდილი ფასის ამოღებას ლამობენ?**

— **წარმოუდგენელია, სახელმწიფო კლინიკაზე ზეწოლას ახდენდეს იმ ფონზე, როცა ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ კორონავირუსი ამ ეტაპზე აღარ განსხვავდება ჩვეულებრივი სეზონური ვირუსისგან.** ამის მიუხედავად, არც ის არის გამორიცხული, მორიგი პანდემიის აფერის შემთხვევაში სახელმწიფომ კლინიკებს პირდაპირ უბრძანოს ტესტების შეძენა.

**— საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ თქვენმა ორგანიზაციამ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ახალი ინიციატივით მიმართა. ამჯერად რას ითხოვთ?**

— ამჯერადაც იგივეს მოვითხოვთ, ოღონდ წერილში უფრო მეტი კონკრეტიკა შევიტანეთ — **საერთოდ გაუქმდეს პისიარ ტესტირების მახინჯი პრაქტიკა და შეწყდეს მოსახლეობისგან ფულის გამოძალვა.** დაუშვებელია, ადამიანს გადაუდებელი მკურნალობა სჭირდებოდეს და მას კლინიკაში არ უშვებდნენ, ვიდრე ტესტს არ ჩაიტარებს!

პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** ერთხელ უკვე ჩაერია და მანკიერების აღმოსაფხვრელად იზრუნა, თუმცა, ამან შედეგი ვერ მოიტანა. იმედი გვაქვს, ამჯერადაც დაინტერესდება და მხარს დაუჭერს ჩვენს წინადადებას პისიარ ტესტირების სრულად გაუქმებასთან დაკავშირებით, რაც ერთადერთი სწორი გამოსავალია!

## „დაუშვებელია, ადამიანს გადაუდებელი მკურნალობა სჭირდებოდეს და მას კლინიკაში არ უშვებდნენ, ვიდრე ტესტს არ ჩაიტარებს!“

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**თემურ მიქელაძე**
*პედიატრი*



არცერთი ვირუსი ისეთ მავნე გავლენას არ ახდენს ბავშვზე, როგორც **ეკრანდამოკიდებულება.** თუ ცხოვრების ჯანსაღი წესი, **ფიზიკური აქტივობა, სწორი კვება** იქნება ერთდროულად, მაშინ ბავშვებს არ განუვითარდებათ **არც სიმსუქნე, არც მეტაბოლური სინდრომი** და არც 21-ე საუკუნის დაავადებები.

„კვირის პალიტრა“

**ხათუნა ქორღანია**
*მომღერალ ზურაბ ხარიძის მეუღლე*



ძალიან სწრაფი ხელი მაქვს. **სამზარეულოში ფუსფუსი ნამდვილად არ მაღიზიანებს.** როცა საჭიროა, ქალის საქმეს ყველაფერს ვაკეთებ — **ვრეცხავ, ვალაგებ, სადილებს ვამზადებ.** ერთადერთი, რაც ძალიან უნდა მიჭირდეს, რომ გავაკეთო, დაუთოებაა.

„სარკე“

**მარკუს მეტრეველი**
*მოდელიერი*



**შუადღის 1-2 საათამდე მეძინა,** ახლა კი **დილის 7 საათზე** რომ გავდივარ ეზოში სამუშაოდ, დაღამებამდე სახლში არ შემოვდივარ. მეზობლებსაც კი არ სჯერათ, როცა სტუმრად მოდიან ხოლმე, **სულ ხელთათმანებში და სამუშაო ფორმაში** რომ ვხვდები. ყველას ჰგონია, მთელი დღე ჰამაკში ვარ წამოწოლილი.

„სარკე“

**ლაშა ღლონტი**
*მომღერალი*



არანაირ სამსახურს არ ვთაკილობდი. **მტვირთავადაც მიმუშავია, გამყიდველადაც, ბავშვებს ვასწავლიდი გიტარაზე დაკვრას.** თითოეული თეთრი მხოლოდ **პატიოსანი შრომით** მაქვს ნაშოვნი, დიდი შრომით.

„სარკე“

***ინტერნეტში საინტერესო მასალას წავაწყდი. აწ გარდაცვლილი ცნობილი რუსი პოლიტიკოსი არტემ მიხეილის ძე ტარასოვი სიმსივნის მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებზე და მსოფლიოში გაბატონებულ კიბოს იმ მაფიაზე საუბრობს, რომლის მიზეზითაც პლანეტაზე ყოველწლიურად მილიონობით ისეთი ადამიანი იღუპება, ვისი გადარჩენაც მარტივად არის შესაძლებელი! მაგრამ კიბოს მაფია სიმსივნის მკურნალობის უახლესი მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის წინააღმდეგია, რადგან ამის შედეგად დაკარგავს კოლოსალურ შემოსავალს, რომელსაც მილიონობით პაციენტის სასიკვდილოდ გაწირვის ფასად შოულობს!***



არტემ ტარასოვი

# რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი და რუსეთის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი კიბოს საერთაშორისო მაფიას ამხელს!

*არტემ ტარასოვი დაიბადა 1950 წლის 4 ივლისს მოსკოვში, გარდაიცვალა იქვე 2017 წლის 22 ივლისს. აღიარებული იყო საბჭოთა კავშირში პირველ მილიონერად. ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარა სოჭში.*

*1972 წელს დაამთავრა მოსკოვის სამთო ინსტიტუტის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტი „სამთო წარმოების ფიზიკური პროცესების" სპეციალობით, 1993 წელს დაასრულა ასპირანტურა მაკრო და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის სკოლაში.*

*1990-1991 წლებში ის არჩეული იყო რსფსრ სახალხო დეპუტატად. 1991 წელს ამხილა სსრკ პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ინვესტიციების სანაცვლოდ კურილის კუნძულების იაპონიისთვის გადაცემაში, რის გამოც გორბაჩოვმა მას უჩივლა „პატივის და ღირსების" შეურაცხყოფისთვის და რსფსრ უზენაეს საბჭოს მიმართა ტარასოვისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოსახსნელად. ეს გახდა ტარასოვის ემიგრაციაში წასვლის მიზეზიც — 1991 წლის ბოლოდან 1993 წლამდე ტარასოვი ცხოვრობდა ლონდონში..*

*1991 წლის 18 ოქტომბერს მან პრეზიდენტ ბორის ელცინს გაუგზავნა განცხადება რსფსრ სახალხო დეპუტატების რიგებიდან ნებაყოფლობით გასვლის შესახებ. 1993-1995 წლებში იყო რუსეთის ფედერაციის I მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.*

*1996 წელს იგი დასახელდა რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატად. მის მხარდასაჭერად ამომრჩეველთა 1,3 მილიონზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა, თუმცა, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ხელმოწერების ნაწილი ბათილად ცნეს და არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვა.*

*1996 წლის ბოლოდან 2003 წლამდე ცხოვრობდა ლონდონში დაპატიმრების საფრთხის გამო.*

*2003 წელს დაბრუნდა მოსკოვში. იმავე წელს, არტემ ტარასოვის სცენარის მიხედვით, TVC არხზე დაიწყო სატელევიზიო შოუ „Smart Found".*

*2008 წლიდან ტარასოვი არის ინოვაციების ინსტიტუტის გენერალური დირექტორი და ეხმარება გამომგონებლებს ბიოქრონოთერაპიისა ონკოლოგიური დაავადებების რეაბილიტაციისა და პროფილაქტიკისთვის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში.*

როგორ მკურნალობენ სიმსივნეს მსოფლიოს მასშტაბით? რუსეთშიც, ამერიკაშიც, მთელ მსოფლიოში — სულ 3 მეთოდით:

**1. ქირურგია,** როდესაც კვეთენ სიმსივნეს და მის ირგვლივ ქსოვილებს, იმისდა მიუხედავად, რომ სიმსივნე შეიძლება იყოს მცირე, მაგრამ ამოჭრიან ლამის მთელი კუჭი, რათა მეტასტაზების არსებობისგან თავი დაიზღვიონ.

**2. რადიოაქტიური გამოსხივება,** რასაც მიმართავენ სიმსივნისკენ, თუმცა, ეს არის დიდი მოცულობის ბეტა და გამა გამოსხივება, რომელიც გარშემო ყველა ქსოვილს ანადგურებს;

**3. ქიმიოთერაპია.** ყველაზე საშიში მეთოდი, რადგან ეს არის პაციენტისთვის დიდი რაოდენობით მიწოდებული შხამი, რის შედეგადაც ადამიანს ცვივა თმები, იწამლება მთელი ორგანიზმი, მათ შორის, სიმსივნური კერები. **ასეთი „მკურნალობის" შემდეგ თითქმის შეუძლებელია რეაბილიტაცია. პაციენტს სიცოცხლეს უსწრაფებს უკვე არა კიბო, არამედ დასუსტება და განადგურებული იმუნიტეტი.**

დიახ, მთელ მსოფლიოში ფარმაცევტული კომპანიების, სხვადასხვა ინსტიტუტების 27 ათასი წარმომადგენელი ამით არის დაკავებული!

**იცით, არის ერთი რუსი სწავლული, მარტო მუშაობს, 2 ექთანთან და 3 სანიტართან ერთად. ისინი ყველა სახის მე-4 სტადიაში არსებულ სიმსივნესაც არჩენენ!**

მას დიდხანს შარლატანად, თაღლითად მიიჩნევდნენ, მაგრამ მიღწეულ შედეგებს და განკურნების ფაქტებს გვერდს ვერ აუარეს და გერმანიის სახელობის ონკოლოგიის ინსტიტუტში კიბოს შემდგომი რეაბილიტაციის მიმართულების განხორციელება შესთავაზეს. ის ამბობს: **„მე მომაცილეს თაღლითის და ავანტიურისტის „საპატიო" წოდება, ახლა მე გერმანიის ინსტიტუტის პროფესორი ვარ!"**

მაგრამ მას პაციენტების მკურნალობა კი არა, რეაბილიტაცია მიანდეს!

მე ვცადე, მისი მეთოდები ონკოცენტრისთვის შემეთავაზებინა, მაგრამ მიპასუხეს — **არტიომ მიხაილოვიჩ, თქვენ რა, გაგიჟდით? გინდათ, რომ სულ რაღაც ნახევარ წელიწადში მან პაციენტები კიბოსგან განკურნოს? ჩვენ 1500 საწოლი გვაქვს და ყველა დაკავებულია! ყოველდღე ტარდება ოპერაციები, ქიმიოთერაპიის, რადიაქტიური გამოსხივების კურსები, ეს უზარმაზარი შემოსავალია... ვინ შეგვიშვებს ამ სფეროში? დაე, ამერიკაში შეძვრეს! არადა, ამერიკაშიც იგივე მდგომარეობაა, შეუძლებელია ამ სფეროში შეღწევა!**

*„— ყოველწლიურად პლანეტაზე მილიონობით ადამიანი სიმსივნით მარტო იმის გამო იღუპება, რომ კიბოს მაფიას არ აწყობს მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა. კიბოს მსოფლიო მაფია ხომ იმ უზარმაზარი შემოსავლით საზრდოობს, რაც ქიმიოთერაპიით, სხივური თერაპიით და ჰორმონალური თერაპიით შემოსდით!" —*

***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა, პროფესორმა, ინტეგრალური მედიცინის სპეციალისტმა ზურაბ ქუმსიაშვილმა:***



## ზურაბ ქუმსიაშვილი:

# ეს მაფია მსოფლიოს მასშტაბით თავად არის მედიცინის სფეროს სიმსივნე და მეტასტაზი!

— უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მედიცინაში გარღვევები მოხდა. განვითარდა და დაიხვეწა დიაგნოსტიკის მეთოდები, მაგრამ რამდენიმე დაავადებასთან მიმართებაში მკურნალობის ძველი მიდგომები დარჩა! ეს, პირველ რიგში, სიმსივნეს, მწვავე ონკოლოგიურ დაავადებებს ეხება, რასაც ხალხში **კიბოს** ეძახიან. ქიმიოთერაპიას დროთა განმავლობაში დაემატა სხივური და ჰორმონალური თერაპია, მაგრამ სიმსივნით გარდაცვლილთა სტატისტიკაზე ეს ვერ აისახება იმგვარად, რომ კაცობრიობამ გული დაიმშვიდოს. **სიმსივნე დღემდე რჩება „დაუმარცხებელი დაავადებების" ნუსხაში, არადა, არსებობს ტრადიციული მედიცინისგან განსხვავებული, ალტერნატიული მეთოდები, რომლის გაგონებაც კიბოს მაფიის ბოსებს არ უნდათ.**

**— რას წარმოადგენს ეს მაფია?**

— ეს მაფია მსოფლიოს მასშტაბით თავად არის მედიცინის სფეროს სიმსივნე და მეტასტაზი იმიტომ, რომ შედეგიანი მკურნალობის დანერგვას წინ ეღობება, ზუსტად იმგვარად, როგორც სიმსივნური წარმონაქმნი ეღობება და ხელს უშლის ორგანიზმის ფუნქციონირებას! მკურნალობა არ ქვია იმ მეთოდებით მანიპულირებას, რომელსაც თანამედროვე ტრადიციული მედიცინა სთავაზობს პაციენტებს; არამედ, ეს არის თაღლითობა, რომელსაც შედეგი, ფაქტობრივად, არ მოაქვს!

**— პლანეტაზე თუ არსებობს ადგილი, სადაც ამ მაფიას თავისი კლანჭები არ მიუწვდება?**

— ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ნაწილობრივ მოახერხა კიბოს მაფიისგან თავის დაღწევა, ეს არის **იაპონია,** სადაც გაიხსნა სიმსივნით დაავადებულთა ალტერნატიული მკურნალობის ცენტრი. ამ ცენტრში არ იყენებენ არც ქიმიურ, არც სხივურ და არც ჰორმონალურ თერაპიას! თუმცა, აქვთ გასაოცარი შედეგი: 96-პროცენტიანი გამოჯანმრთელება, თვით მე-4 სტადიის სიმსივნის პირობებშიც კი!

**— მაშ, როგორ მკურნალობენ იაპონელები სიმსივნეს ამ ცენტრში?**

— მკურნალობაში ჩართული აქვთ უამრავი მეთოდი: სტრუქტურული წყალი, სპეციალური კვებითი რეჟიმი, რომელსაც ტრადიციული მედიცინის ფარგლებში პაციენტს არ სთავაზობენ და სხვა პაციენტების 96-პროცენტიანი განკურნების სტატისტიკა თავისთავად ყველაფერზე ღაღადებს! მე ვიცი, რომ საქართველოდანაც წასულან ამ ცენტრში სამკურნალოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, საბუთების შედგენას დიდი დრო სჭირდება, მკურნალობაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და ყველას არ მიუწვდება ხელი.

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**გვარამიას,** რომელიც საქართველოს ისტორიაში **სისხლიან ფურცლად ჩაიწერა,** ვერც ერთი ჯილდო ვერ გახდის რეიტინგულს.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის" დამფუძნებელი*



**სტატუსს წელს თუ ვერ მივიღებთ,** არავითარი შესაძლებლობის ფანჯარა არ დაიხურება, **დაიხურება „ქართული ოცნება",** ხოლო საქართველოს ევროკავშირში **2024 წელს ახალი ხელისუფლება** შეიყვანს.

„პირველი არხი"

**გიგი უგულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



მე ნაციონალურ მოძრაობაში **დავბრუნდი** 2021 წელს, ამის მერე **არსად წავსულვარ** და **არც წასვლას ვაპირებ.**

„ინტერპრესნიუსი"

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის" ლიდერი*



სახელმწიფო **უწყებები ჩამოშლილია,** ეგაა, „კუბიკებით" რომ ერთობიან პატარა ბიჭები.

„ინტერპრესნიუსი"

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



დიახ, **პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად სოხუმში აუცილებლად ავაშენებთ აეროპორტს,** ყველაზე დიდ აეროპორტს, ამაში ვარ დარწმუნებული.

„ინტერპრესნიუსი"

**სოსო არჩვაძე**
*ექსპერტი*



წინა ხელისუფლების დროს იყო მოწოდება, რომ **ვენახი აეჩეხათ და სხვა კულტურები დაერგოთ,** ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორებულია.

„რეზონანსი"

და მაინც, როგორ, რა მეთოდით მკურნალობს ეს ადამიანი? თანაც უმტკივნეულოდ და წამლის გარეშე?

**მას პაციენტის ორგანიზმში შეჰყავს ქლოროფილი.** ქლოროფილი მცენარეული ნივთიერებაა, რომელიც ჟანგბადს გამოიმუშავებს და მზის ენერგიასთან ფოტოსინთეზის პროცესში ერთვება.

**როდესაც ქლოროფილი ორგანიზმში ხვდება, მას დიდი სიამოვნებით მიირთმევენ ჯანმრთელი უჯრედები. საქმე იმაშია, რომ სიმსივნური უჯრედიც ცოცხალი და თავისებურად ჯანმრთელია, მაგრამ ჩვეულებრივი უჯრედისგან იმით განსხვავდება, რომ გააჩნია მხოლოდ შესასვლელი, გამოსასვლელი კი არა აქვს.** ჩვეულებრივს კი შესასვლელიც აქვს და გამოსასვლელიც. ის იყენებს ქლოროფილს, ნთქავს იქიდან ვიტამინებს, სუნთქავს ჟანგბადით და ნარჩენ პროდუქტს გამოდევნის. **კიბოს უჯრედი მისგან განსხვავებით, ნარჩენებს აგროვებს.**

როდესაც პირველი 20 დღის განმავლობაში პაციენტი **ქლოროფილს** იღებს, კიბოს ყველა უჯრედი ეტანება მას. თუ 20 დღის შემდეგ პაციენტს გავაშიშვლებთ და მას ჩვეულებრივ ელექტროფანარს მივუშვერთ, შევამჩნევთ მნათ ადგილებს, სადაც ქლოროფილია დაგროვილი. რენტგენის სურათსაც რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ კიბოს მეტასტაზებს იმავე სიზუსტით გვაჩვენებს!

**ქლოროფილით გაჟღენთილი სიმსივნური კერები კანქვეშ მანათობელი სახით მოჩანს!**

ამის შემდეგ ისღა დაგვრჩენია, ავიღოთ სპეციალური ლაზერი, რომლის სხივები კანში აღწევს პაციენტისთვის ზიანის მიუყენებლად, ხვდება ქლოროფილით გაჟღენთილ სიმსივნურ უჯრედში და ფოტოსინთეზის დასაწყებად მუხტს აძლევს. **იწყება ჟანგბადის წარმოქმნა, რომელსაც უჯრედიდან გამოსასვლელი გზა არ გააჩნია! ამიტომ წარმოქმნილი ჟანგბადი კიბოს უჯრედს შიგნიდან წვავს. შესაბამისად, სიმსივნე თვალსა და ხელს შუა იჩუტება და ქრება.**

ჩვენ შევისწავლეთ ამ ექიმის ყველა შედეგი და აღმოვაჩინეთ, 95 პროცენტი სრული განკურნებით დასრულდა!

*მოამზადა*
***ზაზა დავითაია***

## როგორ მკურნალობენ სიმსივნეს მსოფლიოს მასშტაბით? რუსეთშიც, ამერიკაშიც, მთელ მსოფლიოში —

# სულ სამი მეთოდით...

**— კიბოს მაფია რა მეთოდებით უპირისპირდება ნოვატორებს?**

— ყველა საშუალებით ებრძვიან — აცხადებენ გიჟებად და თაღლითებად, უთითხნიან კომპრომატებს, მათ წინააღმდეგ დარაზმულია საინფორმაციო სისტემა; სხვადასხვა ბრალდებით ათავსებენ ციხეებში და განსაკუთრებით დაუმორჩილებლების მიმართ არც ფიზიკურ ლიკვიდაციაზე იხევენ უკან! მაგალითად, ცნობილი იტალიელი მეცნიერი **ტულიო სიმონჩინი,** რომლის ალტერნატიული მეთოდები წარმატებული იყო — ციხეში გამოამწყვდიეს; როდესაც მან სასამართლოზე დასვა კითხვა — **არცერთი ჩემი პაციენტი არ დაღუპულა და რის გამო მიჭერთო?** — მას უპასუხეს, დამნაშავე მხოლოდ იმის გამო ბრძანდები, არატრადიციული მეთოდებით პაციენტს ტრადიციული მედიცინის დაწესებულებაში რომ უმკურნალეო! ასეთი შემთხვევები უამრავია!

მეც ვნახე ვიდეორგოლი, სადაც **არტემ ტარასოვი** კიბოს მაფიაზე საუბრობდა და იმის მიუხედავად, რომ ქლოროფილით სიმსივნის მკურნალი ექიმის ვინაობა ამ ვიდეოში არ დაასახელა, ვფიქრობ, მარტო იმითაც შეუქმნა საფრთხე, მისი ღვაწლი საქვეყნოდ რომ გამოფინა.

უნდა გითხრათ, რომ ქლოროფილის გარდა, სიმსივნის მკურნალობის სხვა, არანაკლებ ეფექტური მეთოდების შესახებაც გახდა ცნობილი, მაგრამ კიბოს მსოფლიო მაფია ყოველგვარი ამორალური საშუალებით ცდილობს ამ მეთოდების ეფექტურობის შესახებ ინფორმაციების ჩახშობას!

**— თქვენ როგორც ექიმი, ამ სიტუაციაში რას ურჩევთ პაციენტებს?**

— განსაკუთრებით ერიდონ თავის არეში დასხივებას, ასეთ შემთხვევაში პაციენტების უმრავლესობა, როგორც წესი, იღუპება! არსებობს საზარელი სტატისტიკა, თუმცა, ამ მონაცემებს არ აქვეყნებენ. წინა მთავრობის პერიოდში აცხადებდნენ, რომ საქართველოში ყოველწლიურად კიბოთი დაავადების 7 ათასამდე შემთხვევა ფიქსირდებოდა, ამჟამად კი 10 ათასს გადააჭარბა. **საქართველო კიბოთი ავადობის მხრივ მსოფლიოში მოწინავე ქვეყნად ითვლება.** თურქეთში სამკურნალოდ ჩასული პაციენტების ექიმები ხმამაღლა აცხადებენ — „ქართველებს რაღაც განადგურებთ!“

**— მიგვანიშნებთ, რომ სიმსივნური ავადმყოფობები საქართველოში მიზანმიმართულად შეიძლება იყოს პროვოცირებული?**

— რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებს, კიბოს აღმოცენების უმთავრესი პრობლემა საზღვრებს გარედან შემოსული და თუნდაც ადგილობრივი, პესტიციდებით მოწამლული საკვებია. ეს ის ქიმიური იარაღია, რითიც იშხამება ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტები ან ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდის ამგვარად მოშხამული. ამას ემატება საღებავები, ხელოვნური დამატკბობლები, ა.შ. და ა.შ...

**— ფაქტობრივად, კიბოს მაფია კაცობრიობის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს აწარმოებს და მილიონობით ადამიანის სასიკვდილოდ გამეტებით ხელს ითბობს.**

— მეცნიერული მიდგომები შეეხო თითქმის ყველა დაავადების მკურნალობას. არ იცვლება მიდგომები მხოლოდ კიბოს მკურნალობის მიმართ, რადგან ეს არის ძალიან დიდი ფულის შოვნის წყარო. რეალურად ეს გახლავთ შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ! არცერთ ექიმს სამსახურში არ გააჩერებენ, თუ პაციენტს არ ურჩევს ქიმიო ან სხივურ თერაპიას და მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებზე მიუთითებს!

**— გამოსავალი სად არის?**

— ვერ გეტყვით... ყველა ქვეყანამ ინდივიდუალურად უნდა შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომლითაც გაემიჯნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჰაიდლაინებს და მითითებებს, სადაც კიბოს მაფიის პირველადი კერაა!

**ინფორმაცია, რომ კიბო დაუმარცხებელი სენი არ არის, ფართოდ უნდა გავრცელდეს ხალხში, რათა კაცობრიობამ იცოდეს, საიდან მოდის სიკვდილი და სად არის გადარჩენის გზა!**

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

**„სიმსივნე დღემდე რჩება „დაუმარცხებელი დაავადებების“ ნუსხაში, არადა, არსებობს ტრადიციული მედიცინისგან განსხვავებული, ალტერნატიული მეთოდები, რომლის გაგონებაც კიბოს მაფიის ბოსებს არ უნდათ!“**



# რატომ გაიგუდა სოფელ დიმში ორი კაცი ქვევრში?

***2023 წლის 29 აგვისტოს ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში ტრაგედია დატრიალდა — ორი კაცი ქვევრში გაიგუდა!***



*გავრცელებული ინფორმაციით, ორმოც წლამდე ახალგაზრდა მეზობელს ეხმარებოდა, მარანში საქმიანობდა და ქვევრში იყო ჩასული, საიდანაც ჭაჭას იღებდა, თუმცა, მოულოდნელად გონება დაკარგა და გაიგუდა. ახალგაზრდის მისაშველებლად ქვევრში სამოც წელს გადაცილებული კაცი ჩავიდა, მაგრამ ვერც მისი გადარჩენა მოხერხდა... მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმე 116-ე მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.*

***მეზობლების თქმით, ტრაგედია ჭაჭის მიერ გამოყოფილმა მხუთავმა გაზმა გამოიწვია, რომელმაც ადამიანები გაგუდა. სახელოვანი ქართველი მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე გვაფრთხილებს, რომ ჭაჭა უწყინარი პროდუქტია, მაგრამ, როცა დიდი ხნისაა, სახიფათო ხდება და ჰაერთან ურთიერთობისას ძმარმჟავად გარდაიქმნება:***

**რამაზ გახოკიძე: ძმარმჟავა წარმოქმნის ორთქლს, რომელიც ჩასუნთქვის შემთხვევაში იწვევს ჰაერის უკმარისობას. ვფიქრობ, ტრაგედია სწორედ ამან გამოიწვია!**

— ჭაჭა თავისთავად არ წარმოადგენს ტოქსიკურ ნივთიერებას, პირიქით, მასში შედის სასარგებლო ნახშირწყლები, ორგანული მჟავები, ფენოლური ნაერთები, დაახლოებით 8 პროცენტამდე სპირტიც... გარკვეული ტექნოლოგიური დამუშავების შედეგად ჭაჭას ძეხვისა და ხორცპროდუქტების წარმოებაში საკვებ დანამატადაც კი იყენებენ, მაგრამ საშიში ხდება, თუ ქვევრში დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა.

**— ბატონო რამაზ, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ წინა წელს შენახულ ჭაჭას იღებდნენ ქვევრიდან, რადგან იმერეთში ჯერ რთველი არ დაწყებულა და, შესაბამისად, ახალი ჭაჭა ჭურში ვერ იქნებოდა!**

— ყველა შემთხვევაში ძმარმჟავას წარმოქმნასთან გვაქვს საქმე... გაზავებული ძმარმჟავა კვების მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება, მაგრამ სუფთა სახით ძალიან ტოქსიკური ნივთიერებაა... ძმარმჟავა წარმოქმნის ორთქლს, რომელიც ჩასუნთქვის შემთხვევაში იწვევს ჰაერის უკმარისობას. ვფიქრობ, ტრაგედია სწორედ ამან გამოიწვია!

### ბოლოთქმა

გარდაცვლილთა ოჯახებს ვუსამძიმრებთ და გამძლეობას ვუსურვებთ, ხოლო მოსახლეობას ვეტყვით, რომ **ქვევრში ჭაჭას ნუ დაახანებთ, რადგან ამ შემთხვევაში პროდუქტი კეთილშობილ თვისებებს არათუ დაკარგავს და ობს მოიკიდებს, არამედ შესაძლოა, ხათაბალადაც გვექცეს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველო არ ექვემდებარება **მედვედევის კარნახს,** განსხვავებით 2008 წლისგან, როცა მაშინდელმა ხელისუფლებამ **ქვეყანას საფრთხე ვერ ააცილა.**

„რეზონანსი“

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



ყველაფერი, **რაც ქართულ კულტურას უკავშირდება,** გარკვეულწილად აღიქმება **როგორც ჩვენი კულტურის ნაწილი.**

„რეზონანსი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**მედვედევი** რუსეთის პოლიტიკის საკმაოდ **კომიკური პერსონაჟია** და არ მგონია, მისი ყველა განცხადება ყურადღებას იმსახურებდეს.

„რეზონანსი“

**გრიგორი კარასინი**
*რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რათა სხვა ქვეყნებმა, მათ შორის, **ჩინეთმა და ინდოეთმა,** წინ წაიწიონ **სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებისკენ.**

„პირველი არხი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



უკრაინის გამარჯვება **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში** შეიტანს წვლილს.

„რეზონანსი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



დასავლეთის სტრატეგიაა, რომ **უკრაინელები იბრძვიან და იღუპებიან,** ჩვენ კი მათ ვაძლევთ ფულს.

„რეზონანსი“



# მიხეილ ცაგარელი: პლანეტა პლუტონის რისხვას ანდა ჯილდოს როდის დავიმსახურებთ

**— რა გადააქცევს ადამიანს გაუმაძღარ, ხარბ არსებად და რად შეიძლება გარდაიქმნას დაგროვილი ბოღმა? რა გზით ათავისუფლებს ადამიანს პლანეტა პლუტონი ნეგატივისგან ანდა როგორ უნდა ავუაროთ გვერდი და გადავურჩეთ პლუტონისეულ რისხვას? პლანეტა პლუტონი რით გვასაჩუქრებს და, ამავდროულად, რას ითხოვს? რა იწვევს ენერგიის გადახრას? როდის ვაფერხებთ თავად სასიცოცხლო ენერგიის შემოდინებას ანდა როდის იწმინდება ჩვენი კარმა და გროვდება დადებითი ენერგია და ამ შემთხვევაში რით გვაჯილდოებს პლანეტა პლუტონი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.**

**— როგორც აღნიშნეთ, პლანეტა პლუტონის სასჯელი კარმულ ცოდვებსა და ძლიერ ნეგატიურ ქმედებებს უკავშირდება, მათგან კიდევ რომელს გამოყოფდით?**

— **კიდევ ერთ კარმულ ცოდვად განიხილება გაუმაძღრობა და სიხარბე. ადამიანებს ასეთად ენერგიების დისბალანსი გადააქცევთ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ეხება არამარტო სიმდიდრესა და რესურსებს, არამედ გრძნობებსაც.** თუ ადამიანი დაციკლულია წყენით, სიძულვილით, შურისძიების სურვილით, მას ბოღმა უგროვდება და აუსრულებელი სურვილისგან გამოწვეული ტკივილი ერთ, არცთუ მშვენიერ დღეს გარდაიქმნება მძიმე ავადმყოფობად, ბედის დარტყმად, მოულოდნელ ექსტრემალურ სიტუაციად. **პლანეტა პლუტონი** სწორედ ამგვარად ათავისუფლებს ადამიანს დაგროვილი ნეგატივისგან და აიძულებს, გასცეს ის, რასაც დახარბდა, რაც მიისაკუთრა, რასაც ადრე ვერ შეელია, ეს კი, როგორც წესი, ყოველთვის ძალიან მტკივნეული პროცესია. მაგრამ, თუ ადამიანი შეგნებულად მოჭარბებულისგან გათავისუფლებას შეძლებს და არაფერზე დახარბდება, მაშინ ეს პერიოდი სასიკეთოდ ჩაივლის და პლუტონისეულ რისხვას გვერდს აუვლის. **ცალკე განსახილველია რესურსების უსაფუძვლოდ დაგროვებაც. პლანეტა პლუტონს ძალუძს, ადამიანი დაასაჩუქროს ბევრი ფულით, ძალაუფლებით, დიდი შესაძლებლობებით, მაგრამ, ამავდროულად, იგი მოითხოვს მათ უკიდურესად ფრთხილ და დაბალანსებულ გამოყენებას. ამასთან, ყველაფერი, რასაც პლუტონი იძლევა, ადამიანმა უნდა აითვისოს, რადგან, თუ არ გამოიყენებს რესურსს, მისი ჭარბი რაოდენობა მტკივნეულად მოშორდება.** გარდა ამისა, უნდა გასცეს იმდენივე, რამდენსაც მიიღებს ან უფრო მეტიც. ნივთებს, ფასეულობებს, ადამიანებსაც კი **არ უნდა მიეჭიდოს, რამეთუ წინსვლისთვის აუცილებელია ყველაფრის ცვალებადობა და ტრანსფორმირება. არ უნდა დავივიწყოთ და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ბარძევული დროით გვეძლევა. ყოველი წამი უნდა დავაფასოთ და ამით მადლიერი ვიყოთ.**

**— კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ, რას გვირჩევთ, რა არის პლანეტა პლუტონისთვის მნიშვნელოვანი?**

— **პლუტონისთვის მნიშვნელოვანია, ადამიანმა სწორად შეაფასოს საკუთარი შრომა და შრომის ნაყოფი. წინაამდეგ შემთხვევაში, იქნება ეს გადამეტებულად შეფასებული თუ პირიქით, არასაკმარისად გამოიწვევს ენერგიის გადახრას. თავად ადამიანი კი ნებისმიერ შემთხვევაში შინაგანად უკმაყოფილო დარჩება. ნიშანდობლივია ისიც, რომ უსასყიდლოდ მუშაობის ან ძალიან დაბალი ანაზღაურების შემთხვევაში, ადამიანი ხელს უშლის ენერგიის მასთან დაბრუნებას, რითიც თავად აფერხებს სასიცოცხლო ენერგიის შემოდინებას.** შედეგად კი შესაძლოა, თავადვე ცხოვრება დაინგრიოს ან სერიოზულად დაავადდეს. მაღალი ანაზღაურების შემთხვევაში კი გაუჩნდება პრეტენზია, რომ არ უხდიან საკმარისს, არ აფასებენ ჯეროვნად მის შრომას. ამ დროს ადამიანში იმატებს სიხარბე, სიძუნწე და გამორჩენის სურვილი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, იმუშაოს ემოციების გარეშე და იმ ადამიანებს დაეხმაროს, ვისაც ეს ძალიან სჭირდება. ამგვარად, **პლუტონის მიერ ბოძებული რესურსების ათვისება მოხდება. ასევე მოხდება საკუთარი უნარების გაუმჯობესება, კარმის გასუფთავება და დადებითი კარმის დაგროვება. ნიშანდობლივია ისიც, რომ დადებითი კარმის შემთხვევაში, პლანეტა პლუტონი დაგვაჯილდოებს მხარდაჭერით, რთულ ვითარებაში დახმარებით, ცხოვრების უკეთესისკენ შეცვლითა და იღბლიანობით.** ამგვარად, პლუტონი მცირე პლანეტაა, მაგრამ მას ძალუძს ფუნდამენტური ცვლილებების შემოტანა როგორც საზოგადოებაში, ისე თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. მისი ენერგია სხვადასხვა დროს ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე ზემოქმედებს და იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროზეა კონცენტრირებული ამა თუ იმ დროს, ცვლილებებიც იმ სფეროში მიმდინარეობს. ამასთან, **რაც არ უნდა მოგვწონდეს მის მიერ ბოძებული ცვლილებანი, წინააღმდეგობის გაწევა არ ღირს, რადგან ამ შემთხვევაში ეს პროცესი მტკივნეულად წარიმართება.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***



## 4 - 10 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
ახალი იდეების განსახორციელებლად ყველაფერი ზედმიწევნით უნდა გაამზადოთ. სახლის კეთილმოწყობას ბევრ დროს მოანდომებთ. შემოსავლის მატება ახალი ნივთების შეძენისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საშუალებას მოგცემთ. ახლობლებისთვის სიხარულისა და ბედნიერების მინიჭება დიდ სიამოვნებას მოგგვრით. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ. ფარული სასიყვარულო კავშირი ხან ვნებიანი განცდებით და ხან ურთიერთობების რყევით იქნება სავსე.

**კურო (21.04-20.05)**
ფინანსური წარმატებისთვის აუცილებელია მოთმინება და მიზანდასახულად მოქმედება. მეგობრებთან ერთად დაწყებული საქმე მომგებიანი აღმოჩნდება. ოჯახური ურთიერთობა სიამოვნებითა და სითბოთი აგავსებთ. სასიყვარულო კავშირი უფრო მყარი გახდება. კარგი იქნება, თუ დაგროვილ დაღლასა და აგრესიას ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში გასეირნებით მოიხსნით.

**ტყუპი (21.05-22.06)**
ფინანსებთან დაკავშირებული საქმე დადებითად გადაწყდება, თუმცა, თანამშრომლებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ! განსაკუთრებით ჭორის გავრცელებასა და სხვათა კრიტიკას მოერიდეთ. შესაძლოა, მეუღლესთან ან შეყვარებულთან სიცრუის ან ეჭვიანობის გამო იკამათოთ. სხვა ქალაქში მგზავრობისას კი ეცადეთ, საბუთები წესრიგში იქონიოთ და ყველაფრის მიმართ ყურადღებით იყოთ.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
ფინანსური და მატერიალური საკითხების გადაწყვეტისას გამოცდილი მეთოდითა და კონსერვატიული პრინციპით იმოქმედეთ. ბევრი წარმატებული მომენტის წინაშე აღმოჩნდებით და შესაძლოა, ოჯახსა და ბიზნესში სიტუაციის გაუმჯობესებაზე ან სულაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზეც დაფიქრდეთ. კარგი პერიოდია დასვენებისთვის, განსაკუთრებით, ოჯახთან, ახლობლებთან ერთად.

**ლომი (23.07-23.08)**
ცვალებადი სიტუაცია ადრე მოუგვარებელ პრობლემებს დააბრუნებს ან ადრე დაშვებულ შეცდომებს გაამჟღავნებს. ფინანსური მდგომარეობა არ იქნება სტაბილური და შესაძლოა, ფული მალე დაიხარჯოს. უცხოელებთან ერთობლივი საქმე წარმატებით განვითარდება. თუმცა, მოგზაურობისას აუცილებლად სიფრთხილე გმართებთ. სასიყვარულო სფეროში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ჯანმრთელობას კი სასურველია, მეტი დრო დაუთმოთ.

**ქალწული (24.08-23.09)**
კარგი განწყობა ხელს შეუწყობს ახალი კავშირების დამყარებას. სასიკეთო პერიოდია ინვესტიციებისთვის და დანაზოგის მიზნობრივად გამოყენებისთვის. მოზღვავებული ენერგია და ჩინებული განწყობა სასიყვარულო ურთიერთობას დაუვიწყარს გახდის. ქორწინებაც მყარი და ფინანსურად მომგებიანი იქნება. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ, რათა უსიამოვნო ფაქტების მოწმე არ გახდეთ.

## 4 - 10 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
შრომისუნარიანი იქნებით და შედეგიც კარგი გექნებათ, მაგრამ ფულის უყაირათოდ ხარჯვას მოერიდეთ. მეგობრების საშუალებით გაცნობილი ადამიანები დამატებითი შემოსავლის მიღებაში დაგეხმარებიან. მიმდინარე მოვლენებში არსებული ქაოსი სიზმრებშიც აისახება. მეუღლის ან შეყვარებულისგან შესაძლოა, წინადადება მიიღოთ, რაც ურთიერთობას უფრო მყარს, თუმცა, ნაკლებად რომანტიკულს გახდის. მოგზაურობისას საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ.

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
მიზნისკენ სვლის დროა, როდესაც გადადგამთ საგრძნობ ნაბიჯებს როგორც კარიერული, ისე სოციალურ კიბეზე ამაღლებისთვის, მაგრამ ახალი საქმის დაწყების შემთხვევაში, აუცილებელია სიფრთხილე. ახალ ადამიანებთან თანამშრომლობა და კონტაქტები ბევრ სფეროში გაგიწევთ დახმარებას. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ემოციურობაზე დადებითად აისახება. პირად ურთიერთობაში ჰარმონია და კმაყოფილება დაისადგურებს. მგზავრობისას კი გზებზე განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
ეს კვირა ახალი საქმის დასაწყებად ხელსაყრელი არ არის. სამაგიეროდ, კარგია სახლში სიტუაციის მოსაგვარებლად და რემონტისთვის. თქვენი ამბიციურობა და ფინანსური სტაბილურობის მოთხოვნილება იზრდება, თუმცა, აზარტი, გარისკვა და სპეკულირების მცდელობა მხოლოდ წაგაგებინებთ. სასიყვარულო ურთიერთობა კი უფრო ჰარმონიული გახდება და შესაძლოა, სერიოზული გადაწყვეტილება მიგაღებინოთ. გადაადგილებები კი დროებით სხვა დროისთვის გადადეთ.

**თხის რქა (22.12-19.01)**
თუ კამათსა და გაუგებრობებს თავს აარიდებთ, ზოგიერთ სურვილს აისრულებთ. ამ დროს დაწყებული საქმე კარგ შემოსავალს გიქადით. შეყვარებულის მიერ გამოთქმულ საყვედურებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. შესაძლოა, მემკვიდრეობისა და ალიმენტის საკითხით დაინტერესდეთ. კარგი იქნება, თუ გადაღლით გამოწვეულ აგრესიულობას ბუნების წიაღში გასეირნებით გაანეიტრალებთ, მაგრამ გზებზე გადაადგილებებისას აუცილებელია სიფრთხილისა და ყურადღების გამოვლენა.

**მერწყული (20.01-18.02)**
საქმისადმი დამოკიდებულება უფრო სერიოზული გახდება. საზოგადოებრივი საქმიანობა თქვენს პოპულარობას გაზრდის. შესაძლოა, პოლიტიკურ ან სოციალურ პროცესებში მიიღოთ მონაწილეობა. მიღებულ ინფორმაციას ყურადღება მიაქციეთ. ახლო მანძილზე გადაადგილებები და ახალი ნაცნობთა წრე სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. ჯანმრთელობის საკითხების მიმართ თქვენი ყურადღება გამახვილდება.

**თევზები (19.02-20.03)**
სასურველი ფინანსური მდგომარეობის მისაღწევად მოთმინება და პროფესიონალიზმი უნდა გამოავლინოთ, ოჯახური და სასიყვარულო კონფლიქტის დაძლევაში ახლობლების რჩევები დაგეხმარებათ. ფიზიკურ შრომას მოერიდეთ, ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, გონება არ გადაღალოთ. კარგი პერიოდია დასასვენებლად ან საქმიან მივლინებაში გასამგზავრებლად. სხვა ქალაქში დამყარებული კავშირები კი ხანგრძლივ მეგობრობაში ან საქმიან თანამშრომლობაში გადაიზრდება.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 4, 7, და 8 სექტემბერი

15 სექტემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 05.40 საათზე;
29 სექტემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 13.58 საათზე.

# რას ურჩევს ასტროლოგი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 4 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.29 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 21.50 საათზე, ჩადის 5 სექტემბერს 11.34 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 21.38 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი **პლანეტა ვენერა** დირექტიული (სწორადმავალი) ხდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობას გააუმჯობესებს, ფინანსურ მდგომარეობას დაასტაბილურებს, ძველ ფინანსურ თუ შემოქმედებით საკითხებს მოაწესრიგებს. ტრავმული დღეა, ყურადღებით იყავით! კარმული გამოცდის დღეა. კარგი დღეა აპელაციებისა და სამართლიანობის აღსადგენად, ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ავეჯის შესაძენად, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის და ახალი ნაცნობობისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებანი, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება, ორპირ ქარში ყოფნა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა:** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 5 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.30 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.15) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 22.21 საათზე, ჩადის 6 სექტემბერს 12.47 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 21.53 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.46 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** გამარჯვების მმართველი პლანეტა იუპიტერი რეტროგრადულ მოძრაობას (უკუსვლას) იწყებს, რაც დაგვაბრუნებს ძველ იდეოლოგიასთან, ძველ სამშენებლო და შემოქმედებით, საფინანსო-სავაჭრო პროექტებთან, ძველ ტურისტულ მარშრუტებთან და ქვეყნებთან. ითხოვს ანალიზს, გამოსწორებას ან ახლებურად განვითარებას. კარგი დღეა ძველი მოლაპარაკებების დასაზუსტებლად, სამზარეულოს, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ცხოველების შესაძენად, მშენებლობისთვის, მგზავრობისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის. არ არის სასურველი გარისკვა, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, ცივი და გაზიანი სასმელების დალევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 6 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.31 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 22.58 საათზე, ჩადის 7 სექტემბერს 13.58 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 22.15 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა საკამათო საკითხების აქტიურად გადაწყვეტას, კონტაქტებს, მოლაპარაკებებს. კარგი დღეა სწავლისთვის, ახალი პროფესიის ათვისებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის. ამავდროულად პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. სამყარო გვიმოწმებს ჩვენს სიმტკიცეს, გეგმების მართებულობას. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება, თმის შეჭრა-შეღებვა, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** აკვამარინი, ტოპაზი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

## 7 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 23.42 საათზე, ჩადის 8 სექტემბერს 15.03 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 22.48 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 02.13 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა სწავლისთვის, ადრე მიღებული ინფორმაციის დასაზუსტებლად, რეკლამირებისა და ინტერვიუებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, სავაჭრო გარიგებისთვის, ახალი პროფესიის ასათვისებლად, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის მკურნალობა. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, ზედმეტი ლაპარაკი, ქორწინება, ახალი საქმის დაწყება. იმატებს დაცინვის, ჭორების, ინტრიგების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ციტრინი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 8 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.34 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.33) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 16.02 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.38 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.21 საათიდან 09.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა იმის გააზრებას, რაც გაზაფხულ-ზაფხულში მოხდა. ცდუნებებს ნუ აჰყვებით და ცოდნა-გამოცდილებას დაეყრდენით. დღეს და ხვალ მოერიდეთ უკონტროლო ემოციებს, არამოტივირებულ ქმედებას, ცუდ აზრებსა და ეჭვიანობას. მიღებულ ინფორმაციას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ის შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს. დაეყრდენით ინტუიციას. კარგი დღეა კბილების, ხერხემლის, სახსრების, კანის სამკურნალოდ, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ვაჭრობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. საბუთები კარგად შეამოწმეთ, სანამ ხელს მოაწერთ. გააკონტროლეთ განაწყენება, ხასიათცვალებადობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, მარჯანი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 9 სექტემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.32 საათზე, ჩადის 19.22 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 00.33 საათზე, ჩადის 16.51 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 23.42 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა ინტუიციურად მოქმედებისთვის, მედიტაციებისთვის, სპორტული ვარჯიშისა და ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ცხოველების შესაძენად, კბილების, ხერხემლის, სახსრების, მუხლების, კანის სამკურნალოდ, მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდაზე, ამიტომ შეამცირეთ საკვების რაოდენობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, ოპალი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 10 სექტემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 19.20 საათზე **მთვარე** გადაინაცვლებს (20.55) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 01.32 საათზე, ჩადის 17.31 საათზე (მთვარის 25-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.47 საათიდან 20.55 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს, ტრადიციებს, ინტუიციას დაეყრდენით, შესაძლებელი იქნება ძველი გართულებული საქმის გამოსწორება-განვითარება, გააკონტროლეთ ქედმაღლობა, სიამაყე, ეჭვიანობა, პრეტენზიულობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ანტიკვარიატის, ცხოველების შესაძენად, არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სესხის აღება, ბინის შეცვლა, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, ამეთვისტო, რაუხტოპაზი, ოქსიდიანი. **საღამოს** — ბრილიანტი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



4 სექტემბერი – დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა, საქართველოისად წოდებულისა

✝ 4 სექტემბერი. ორშაბათი. **დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა, საქართველოისად წოდებულისა;** მოწამეთა: აგათონიკესი და მისთანა ზოტიკესი, თეოპრეპესი, აკვანდინესი, სევერიანესი და სხვათა; მღვდელმოწამისა ათანასე ეპისკოპოსისა; ღირსისა ანთუსასი და მსახურთა მისთა, მოწამეთა ქარისიმესი და ნეოფიტესი; მოწამისა ევლალია ქალწულისა.

✝ 5 სექტემბერი, სამშაბათი. **წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაულისა.** მოწამისა ლუპესი; მღვდელმოწამისა ირინეოსისა, ლიონელი ეპისკოპოსისა; ღირსთა ევტიქისა და ფლორენტისა; კალინიკესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

6 სექტემბერი, ოთხშაბათი. **ღირსისა სერაპიონ სასწაულმოქმედისა, ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა;** მღვდელმოწამისა ევტიქისა, მოციქულ იოანე ღმრთისმეტყველის მოწაფისა; მოწამისა ტატიონესი; მოწამისა სირასი, სპარსელი ქალწულისა; ღირსისა გიორგი ლიმნელისა. წმინდა აღმსარებელ ძმათა: სტეფანესი, პოლიევქტოსი, ფილიმონისა; მღვდელმოწამეთა: ანდრიასი და პეტრესი; წმ. ფილიმონ ქორიძისა — ერისათვის თავდადებულისა.

✝ 7 სექტემბერი, ხუთშაბათი. **აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოციქულისა ბართლომესი;** მოციქულისა ტიტესი, კრეტელი ეპისკოპოსისა, 70-



8 სექტემბერი – ხსენება მოწამეთა ანდრიანესი და ნატალიასი



9 სექტემბერი – ხსენება ღირსისა პიმენ დიდისა

თაგანისა. ევლოგისა, ედესელი ეპისკოპოსისა და პროტოგენი აღმსარებელისა, კარიელი ეპისკოპოსისა; მინასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ 8 სექტემბერი, პარასკევი. **მოწამეთა ანდრიანესი და ნატალიასი.**

✝ 9 სექტემბერი, შაბათი. **ღირსისა პიმენ დიდისა;** ოსია აღმსარებელისა, კორდუბიელი ეპისკოპოსისა; ლიბერი აღმსარებელისა, რომის პაპისა; ღირსისა პიმენ პალესტინელისა; მოწამისა ანთისასი; ღირსისა საბასი.

✝ 10 სექტემბერი, კვირა. **დიდმოწამისა დედოფლისა შუშანიკისა;** ღირსისა მოსე შავისა; მართლისა ანა წინასწარმეტყველისა, ღმრთისმიმგებებლისა, ფანოელის ასულისა.



**თარაზულად:** 1. ნაკურთხი წყალი; 8. C ვიტამინის ნაკლებობა, სკორბუტი, იცის სისხლნაკლებობა, ნუნების ანთება, კბილების ცვენა და სხვა; 9. მუსლიმანთა წმინდა წიგნი; 10. გაერთიანებული სამეფო, ინგლისი; 14. რაიმე ახალი ნიშან-თვისების უეცარი გამოვლენა ცხოველებსა და მცენარეებში; 19. კვირის დღე; 20. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 21. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „წითელი და შავი“; 26. ხელობა, სპეციალობა; 30. სახელმწიფო აზიაში; 31. სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო; 32. ბეთჰოვენის ოპერა.

**შვეულად:** 1. გარემოცვა, ბლოკადა. 2. დაფა, რომელზედაც წარწერილია რაიმე დაწესებულების სახელწოდება, ფირნიში; 3. მოკლე კაბა; 4. შავი ფისი; 5. ზომიერების გრძნობა, თავაზიანობა; 6. შიკრიკი, ამბის მომტანი; 7. ძველი ჩვეულება, ტრადიცია; 11. ირმის, შვლის ნაშიერი. 12. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 13. ხმადაბლა (მუს.). 15. ლირიკული პოეზიის მუზა; 16. საგვირგვინე მცენარე; 17. შოკოლადის ხე; 18. ორსაგდულიანი მოლუსკი, რომელსაც „წყლის სანიტარს“ უწოდებენ; 22. ძვირფასი ქვა; 23. ტელეგრაფის „მამა“; 24. ხარების გამრეკი; 25. ძველებური თოფი; 27. სახელმწიფო აფრიკაში; 28. პურის საცხობი; 29. შეკრული დიდი ძელები მდინარეზე დასაცურებლად.

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პაგანინი; 7. დონია; 11. სომელიე; 12. დარი; 13. ტალავერი; 14. ბისტი; 15. დარბაზი; 16. დონი; 17. ორატორია; 21. ლიანა; 22. პირატი; 25. საბო; 26. ანტრესოლი; 27. მინი; 29. ნაგლინი; 30. ნიუ; 32. ტელეგრამა; 34. ნერპა; 35. კილიტა; 38. ჩიპოლინო; 42. მიზანი; 45. სოლი; 47. ლილიპუტია; 48. კაფეტერია; 53. ნესტა; 54. ირიგაცია; 59. როსტევანი; 60. ვაქირი; 63. სპარტაკი; 64. ფიფა; 65. ზამბარა; 66. ლობიო; 67. სანაპირო; 68. ურჩი.

შვეულად: 1. პატიო; 2. გულია; 3. ნევრო; 4. ისიდა; 5. სმერჩი; 6. ალპაკა; 7. დებილი; 8. ნესტარი; 9. ადიდასი; 10. გრენობლი; 18. რონდელი; 19. ტორსედო; 20. რესურსი; 22. პინა; 23. რაგვი; 24. ტაიმი; 27. მინა; 28. ნერგი; 30. ნასა; 31. უატი; 33. მაო; 35. კვო; 36. ლუი; 37. ტურა; 38. ჩელსი; 39. პოლკი; 40. ლეპრა; 41. ნატრი; 42. მზე; 43. ზნე; 44. ნეი; 45. სან; 46. ლისტი; 48. კარი; 49. ფესვი; 50. ტყემალი; 51. რეალობა; 52. არიოზო; 55. რუპია; 56. გორდა; 57. ცვარი; 58. ავიზო; 61. ქამა; 62. რძალ; 64. ფაუ.

**გერმანიამორიელინებიერატომარაკანაპეტრელაჟი**
**სანდინომერინოსირიალიკაპიკითარაშკოდალაჩარი**

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. აიაზმა; 8. სურავანდი; 9. ყურანი; 10. ბრიტანეთი; 14. მუტაცია; 19. ორშაბათი; 20. ტრიბუნა; 21. სტენდალი; 26. პროფესია; 30. იაპონია; 31. ლაზარეთი; 32. „ფიდელიო“.
შვეულად: 1. ალყა; 2. აბრა; 3. მინი; 4. კუპრი; 5. ტაქტი; 6. მაცნე; 7. ადათი; 11. ნუკრი; 12. გარბო; 13. პიანო; 15. ერატო; 16. დაფნა; 17. კაკაო; 18. მიდია; 22. ოპალი; 23. მორზე; 24. მეხრე; 25. სიათა; 27. ჩადი; 28. თონე; 29. ტივი.

| ევროპის სახელმწიფო | ზოდიაქოს ნიშანი | შორენას შვლის ნუკრი | მტკიცე ქსოვილის სათავსი | პატარა დივანი | სამკარედი სარკე |
|---|---|---|---|---|---|

| წმინდა ბუმბული | კლდის თხა | ძველი ბერძნები | ლირიკული პოეზიის ბერძ. მუზა | სტადიონი რიო დე-ჟანეიროში | რუსეთის იმპერატორი | ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 7. მიმართვა ქალისადმი ესპანეთში; 11. ღვინის დეგუსტატორი; 12. კარგი ამინდი; 13. ფანჩატური, თალარი; 14. ლიბრი თვალზე; 15. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანო; 16. მდინარე რუსეთში; 17. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები; 21. ხვიარა მცენარე; 22. მეკობრე; 25. ხისგან გამოთლილი ფეხსაცმელი; 26. სახლის ზედა ნახევარი სართული; 27. მოკლე კაბა; 29. გლინვით მიღებული ლითონი; 30. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 32. დეპეშა; 34. სელაპის სახეობა; 35. ფოლგა; 38. ჯ. როდარის ხარისთავა პერსონაჟი; 42. რისკენაც მიისწრაფვიან, რასაც უნდა მიაღწიონ; 45. ხის გასაპობი რკინის მოკლე ნაჭერი; 47. ქვეყანა, სადაც იმოგზაურა გულივერმა (ჯ. სვიფტი); 48. ერთგვარი კაფე; 53. იტალიელი ფეხბურთელი; 54. მიწების ხელოვნური მორწყვა; 59. ხატაეთის მეფე („ვეფხისტყაოსანი“); 60. სოფელი სიღნაღის რაიონში; 63. მონათა აჯანყების ბელადი; 64. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 65. სპირალის სახით დახვეული ფოლადის დრეკადი ზოლი; 66. პარკოსანი კულტურა; 67. წყლის ნაპირას მდებარე ტერიტორია; 68. კერპი, დაუმორჩილებელი.

შვეულად: 1. შიგნითა პატარა ეზო; 2. აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი; 3. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ნერვიულს; 4. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ეგვიპტური ქალღმერთი; 5. ქარიშხალი, რომელიც აჩენს უზარმაზარ მტვრის სვეტს; 6. ლამების ჯიშის სამხრეთ ამერიკული ცხოველი; 7. გონებასუსტი ადამიანი; 8. ფუტკრის „იარაღი“; 9. გერმანული სპორტული ნაწარმის ფირმა; 10. ქალაქი საფრანგეთში; 18. ქართველი კინორეჟისორი; 19. ფეხბურთის ბრაზილიელი გულშემატკივრები; 20. რისამე მარაგი; 22. სასწორის თეფში; 23. წნელის ღობე; 24. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 27. შუშა; 28. დასარგავი ნორჩი მცენარე; 30. ამერიკული კოსმოსური კვლევის ცენტრი; 31. ინგლისელი გამომგონებელი; 33. ჩინელი ბელადი; 35. სტატუს ..., გარკვეულ მომენტში არსებული მდგომარეობა საერთაშორისო სამართალში; 36. ფრანგ მეფეთა სახელი; 37. გარეული ცხოველი; 38. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 39. საჯარისო შენაერთი; 40. კეთრი; 41. კაუსტიკური სოდა, იგივე მწვავე...; 42. მნათობი; 43. ხასიათი, ბუნება; 44. ნაპოლეონის მარშალი; 45. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 46. უნგრელი კომპოზიტორი; 48. NBA-ს კალათბურთელი; 49. მცენარის მიწისქვეშა ერთ-ერთი ძირითადი ორგანო; 50. საჭმლის შესაკმაზი ხის მჟავე ნაყოფი; 51. სინამდვილე; 52. მცირე არია; 55. ინდოეთის ფულის ერთეული; 56. დ. თორაძის ბალეტი; 57. ნამი; 58. სწრაფმავალი პატარა მზვერავი გემი; 61. სოკოს სახეობა; 62. ბესიკი — „... დედამთილიანი“; 64. გერმანიის მფრინავი რაკეტა მეორე მსოფლიო ომის დროს.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნიკარაგუის ეროვნული გმირი | ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში | იემენის ფულის ერთეული | მანეთის მეასედი | ... ემხვარი – „მთვარის მოტაცება“ | ხეკაკუნა ფრინველი | ოთხი კამა-თელზე |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფრანგი მწერალი ქალი | კონცერტის ცალკე შესასრ. ნაწილი | სოფელი სენაკის რაიონში | ხის ალვირი | ძვ. ბერძ. სიმებიანი საკრავი | ჩეხური ავტო | მხდალი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2023 წლის 4 – 10 სექტემბერი №39 (1503)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰოლდინგ "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

